# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 5 ოქტომბერი 1999 №190 (963) | ფასი 50 თეთრი


5
## ლოკომოტივი აღარ იქნება!

ფედერაციას არ სურს, რომ რეინიგზის დეპარტამენტს გუნდი ჰყავდეს — ამბობს აკაკი ჩხაიძე

5
## იქნება არსენალი?

არმიელები ისევ უხელფასოდ არიან

8
## შთაბეჭდილების ცვლა სტადიო ოლიმპიკოზე

რომაელმა მაყურებელმა ერთ საღამოს რვა გოლი იხილა, მათგან სამი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა

15
## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ვიქტორ სანეევი

16
## ჯულია და თბილისი



CARTU & TBILISI LADIES OPEN

ღია ქალაქის პირველი ქალი

# ტორპედო მალე გამოერკვა, ლოკომოტივი — ვერა

მეშვიდე ტურის მატჩების მიმოხილვა იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდებზე



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

კვირას ქუთაისში: „ტორპედო" — „კოლხეთი". ფოთელთა ახალწვეული მცველი გიორგი დავითნიძე (მარცხნივ) ქუთაისელთა გოლეადორ გიორგი მეგრელაძეს ბურთისთვის ებრძვის

## საქართველოს 11 ჩემპიონატი — 7 ტური

### «ა» ზონა

2 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| თბილისი | 5 |
| სამგურალი | 2 |
| ბათუმი | 1 |
| არსენალი | 0 |

3 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | 3 |
| სიონი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| ლოკომოტივი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 13 |
| ბათუმი | 7 | 2 | 5 | 0 | 3:1 | 11 |
| თბილისი | 6 | 2 | 3 | 1 | 13:10 | 9 |
| სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:9 | 8 |
| სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | 7 |
| არსენალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:8 | 5 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |

### «ბ» ზონა

2 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| იბერია | 2 |
| ხობი | 1 |
| მერანი | 3 |
| დილა | 1 |
| თსუ | 1 |
| გორდა | 0 |

3 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ტორპედო | 4 |
| კოლხეთი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 16 |
| დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:11 | 9 |
| იბერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | 8 |
| თსუ | 5 | 1 | 4 | 0 | 4:3 | 7 |
| მერანი | 7 | 1 | 4 | 2 | 8:9 | 7 |
| გორდა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| ხობი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | 5 |

# სიკვდილი ნაშუადღევს

ლონდონის „ჩელსიმ" 5:0 მოუგო ევროპის საკლუბო ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" და პრემიერლიგის პოტენციური ლიდერი შეიქნა დაკარგული ქულებითა და ორი გამოტოვებული მატჩით. სტუმართა მეკარე მასიმო ტაიბი ისე დახვრიტეს, თვით ყველაზე თავდადებული პარტიზანი რომ არ დაუხვრეტიათ. მთელს „მანჩესტერს" ფეხებზე დოლაბები ჰქონდა მობმული, „ჩელსი" კი შთამბეჭდავად ირჯებოდა შუა მოედანზე. ჩემპიონთა უბედურებას ისიც მოწმობს, რომ დუაიტ იორკი თავის ნახევარზე ცდილობდა ბურთის მიღებას, თუმცა, ეს ყველაფერი 23 წუთს გაგრძელდა. მერე კი „მანჩესტერ იუნაიტედი" საერთოდ აღარ არსებობდა.

იხილეთ მეექვსე გვერდი



REUTERS ლონდონიდან

ორი გოლის ავტორი გუსტავო პოიეტი (№8) და განადგურებულთა მენეჯერი ალექს ფერგიუსონი

საქართველოს 11 ჩემპიონატი 7 ტური

# რად გვინდა ლოკომოტივი?!



ვიტჯორჯიელ ლაშა ნოზაძეს (№9) „ლოკომოტივის“ კარში მეორე გოლი გააქვს

მცხეთა
3 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:1 ლოკომოტივი**

1:0 ყიფიანი (33), 1:1 ჩომახიძე (52), 2:1 ნოზაძე (58), 3:1 ქორიძე (85)
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი, ხართიშვილი, ბარქაია, თოდუა, ზ. გვაზავა, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (საჯაია 65), ყიფიანი (მაზიაშვილი 85), გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (დიღმელაშვილი 65)
*სათადარიგო:* ვ. გოჩაშვილი
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ბაქრაძე (ბარნოვი 46), ლ. მიქაძე, გ. ჩიხრაძე, მ. ქობულაძე, ჩომახიძე, რუსია, ქებაძე, წივწივაძე (შავგულიძე 34, კ. მელქაძე 62), კაციაშვილი
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე, გილაური, ვ. გველესიანი, ბერაძე
გაფრთხილება: რუსია (8), დიღმელაშვილი (69), მიქაძე (90)
მსაჯები: ს. კახიანი; ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ლოკომოტივმა“ კვირას მიმდინარე სეზონში მესამე მარცხი იწვნია და ოთხეულში მოხვედრის შანსი მნიშვნელოვნად გაიუარესა.

„ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივის“ მატჩი „ა“ ზონაში ცენტრალურად ითვლებოდა. ბოლო დროს უცხოელი სპონსორებით კიდევ უფრო გაძლიერებულ ვიტელებს თავიანთი ამბიციების დამტკიცება სურდათ. მოგებისთვის საკმაოზე მეტი მოტივაცია ჰქონდა „ლოკომოტივსაც“. ხუთშაბათს საბერძნეთში პაოკთან შეურცხვენელი რკინიგზელები მეშვიდე ტურს ბოლო ადგილზე შეხვდნენ.

მატჩმა მოლოდინი, შეიძლება ითქვას, გაამართლა. „არმაზზე“ შეკრებილმა ქომაგებმა, მართალია, ლამაზი თამაში ვერ იხილეს, მაგრამ დაძაბულობა და ინტერესი შეხვედრას წუთით არ მოჰკლებია.

„ვიტ ჯორჯიამ“ მატჩის წინ ტრავმების გამო მეკარე სერგო ჭურაძე და მცველი გიორგი ჭანკოტაძე მოისაკლისა. ჭურაძე მამარდაშვილმა შეცვალა. ვიტელებსაც სათადარიგო მეკარის გარეშე მოუხდათ თამაში. უდანაკარგოდ არც „ლოკომოტივი“ ყოფილა, რკინიგზელებს ასევე ტრავმის გამო გოგიჩაიშვილი გამოაკლდათ.

თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. ბურთი ძირითადად ცენტრში ტრიალებდა. ორივე გუნდი განსაკუთრებულ ყურადღებას დაცვას უთმობდა. ამიტომაც იყო, პირველი სახიფათო მომენტი მე-16 წუთზე რომ შეიქმნა — კუთხურიდან დოლიძის ჩაწოდებული ბურთი ნოზაძემ ახლოდან თავით ოდნავ ააცილა. ამას ვიტელთა მეორე შეტევა მოჰყვა — ყიფიანის ძლიერად დარტყმული სანტიმეტრებით ასცდა მიზანს. მალე „ლოკომოტივმა“ პირველ ტაიმში პირველი და უკანასკნელი საგოლე მომენტი შექმნა, თუმცა მახვილი კუთხიდან მეკარესთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩენილ წივწივაძეს მცველებმა კარში დარტყმის საშუალება არ მისცეს.

დაახლოებით 25-ე წუთიდან მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. ვიტელები გააქტიურდნენ, მეტოქეს მწვავედ შეუტიეს და მალე შედეგიც მოიმკეს. 32-ე წუთზე მათ მეტოქის ნახევარზე დიდხანს ათამაშეს ბურთი, რომელიც ჯაბა მუჯირს მიუვიდა. ჯაბამ ერთი გაისწორა და ძლიერად დაარტყა. ასლანაძემ ივარგა, ბურთი მოიგერია, თუმცა დროებით, მასპინძლებმა შეტევა განაგრძეს და გოლიც გაიტანეს — ყიფიანის შორიდან უძლიერესად დარტყმულთან ასლანაძემ ველარაფერი გააწყო, ბურთი მარცხენა ცხრიანში გაეხვია — 1:0. ტაიმის მიწურულს „ვიტ ჯორჯიამ“ ანგარიშის გაზრდის ასპროცენტიანი შანსი დაკარგა — დოლიძემ სამი-ოთხი მეტრიდან კარს ზემოთ გაგზავნა ბურთი.

მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძელთა დაცვამ მთელი თამაშის განმავლობაში ერთადერთი უხეში შეცდომა დაუშვა, შედეგად კი ანგარიში გათანაბრდა. 52-ე წუთზე რუსიას წამოწყებული შეტევა საჯარიმოში უყურადღებოდ დარჩენილმა ჩომახიძემ გოლით დაასრულა. ამან სტუმრებს იმედი ჩაუსახა, თუმცა კვირას ვიტელებს გიორგი ყიფიანი ჰყავდათ. მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშემ 58-ე წუთზე ჩინებული პასით მეკარეს შეატოვა ნოზაძე, რომელიც წინ გამოჭრილ ასლანაძეს იოლად გაუმკლავდა — 2:1.

ხელმეორედ დაწინაურების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ“ კონტრშეტევებზე ააგო თამაში. კოტრიკაძემ დროული შეცვლები გააკეთა, მინდორზე ერთდროულად საჯაია და დიღმელაშვილი გამოიყვანა, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში. სწორედ მათ გადაწყვიტეს მატჩის ბედი. 83-ე წუთზე ვიტელებმა მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს. საჯაიას წამოწყებული კონტრშეტევა დიღმელაშვილმა და ყიფიანმა ერთი შეხებით გააგრძელეს, ქორიძეს კი ასლანიძის მოტყუება და ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია — 3:1. ამ გოლმა „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელთა უკმაყოფილება გამოიწვია, რად გვინდა ასეთი გუნდი, ვაჩუქოთ რობიზონ ქინქლაძესო — სიმწარენარევი ხუმრობითაც კი თქვა ერთმა მათგანმა. არა, „ლოკომოტივი“ გუშინწინ მართლაც ცუდი სანახავი გახლდათ.

რკინიგზელთა ქომაგები მარცხს უეფას თასის საპასუხო მატჩს აბრალებდნენ. თამაშის წინ იმასაც ამბობდნენ, გუნდები არათანაბარ პირობებში არიან, „ლოკომოტივი“ გადაღლილიაო. თუმცა, მათ ნამდვილად ვერ დავეთანხმები, რადგან თუ კვირას „ვიტ ჯორჯიამ“ რამით ვერ აჯობა მეტოქეს, ეს ფიზიკურ მომზადებაზე ითქმის. მატჩის მიწურულს, „ლოკომოტივის“ მსგავსად, ვიტელებიც დაღლილნი ჩანდნენ.

ასეა თუ ისე, „ვიტ ჯორჯიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა. ვიტელებმა კარგად ითამაშეს და, ალბათ, საპატიო სტუმართა ლოჟაში მსხდარ სოფიის ცსკა-ს მენეჯერებსაც მოაწონეს თავი.

ბათუმი
2 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
500 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 1:0 არსენალი**

1:0 მუჯირი (5)
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, პაპიძე, მ. მახარაძე, ქაცარავა, ა. მუჯირი, კობიძე, გელა ქორიძე (რომანაძე 83), მაჭუტაძე, ტულუში (აფხაზავა 80), გადელია (თედორაძე 58)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; სიხარულიძე, ფირცხალაიშვილი
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე (ვ. ღუდუშაური 30), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი ყუფარაძე, გ. სულაძე, ხოსროშვილი, თარგამაძე, რობაქიძე, გონჩაროვი, კვირკველია (ვახტანგ გაგუა 46)
*სათადარიგო:* კუპატაძე
გაფრთხილება: თედორაძე (85), პაპიძე (89)
გაძევება: ირემაშვილი (58)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

# ნეტავ რა უთხრა?

ᲑᲐᲗᲣᲛᲡ ერთ ტურიანი შესვენების შემდეგ, მორიგი თბილისური კლუბი ესტუმრა. თუმცა, დიდი შანსი იყო იმისა, რომ არც სტუმრებოდა. დიახ, მხოლოდ თამაშის წინა დღეს, გვიან გადაწყვიტეს არმიელებმა წასვლა. ცოტა ფედერაციამ შეაშველა ხელი — მგზავრობის ხარჯები გასწია, ცოტა თავად ფეხბურთელებმა გაიღეს და კლუბის გამოუცხადებლობით გამოწვეული სკანდალი დროებით გადაიდო. სანამდის, ეშმაკმა უწყის.

არა, ასე არ შეიძლება. ასე უპატრონოდ გუნდის მიტოვება დანაშაულია და მეტი არაფერი. ლონდონელთა საპატივცემულოდ, მარტო სახელის დარქმევა რომ გვშველოდეს, რა გვიჭირს. არადა, რა კარგად დაიწყეს არსენალელებმა ახალი სეზონი. „ლოკომოტივთან“ სასწაულად შემობრუნებულ მატჩს, თვით მარადი ჩემპიონის ბეჭებზე გაკვრა მოჰყვა. ჰოდა, ამის შემდეგ აირია მონასტერი. ფინანსური არსენალი თანდათან გამოილია, მოთმინების ფიალაც აივსო და აგერ გაფიცვებმაც არ დააყოვნა.

წლევანდელ ხელფას-პრემიას ვინ ჩივის, შარშანდელიც გაუცემელი ჰქონიათ კლუბის თავკაცებს და არც ამაზე ფიქრში იტკივებენ თავს. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, დღე-დღეზე ელისტიდან გემეზაშვილის ტრანსფერის თანხა, 30 ათასი დოლარი უნდა ჩამოვიდესო და მავანთ ამ ფულის მიტაცება უნდათ, ხოლო „არსენალს“ კისერიც უტეხიაო.

უცნაური გუნდია ჯანი კარნევალეს „ბათუმი“. მეორე ტურში, მე-17 წუთზე გიორგი მიქაძისგან რომ მიიღეს გოლი, მას შემდეგ ზღვისპირელებს ერთიც არ გაუშვიათ. მაშინდელ 73-ს, კიდევ ხუთი თამაშის 450 წუთი დაუმატეთ და რა გამოვა? რა და, ტოგონიძის 523 (!) მშრალი წუთი.

გაშვებულზე უკვე ვთქვით, აი, გატანილზე რა გითხრათ. 7 თამაშში სამად სამი გოლი, აშკარად წინა ხაზის უსუსურობაზე მეტყველებს და კარნევალეს სწორედ ამ პრობლემის მოგვარება მართებს მომავალში. ბევრი ფიქრობდა, რომ გოლსმოწყურებული აჭარლები, ნირწამხდარ არმიელებს გადაუვლიანო. ამის საფუძველს ამირან მუჯირის ადრეული გოლიც იძლეოდა, მაგრამ ეს იყო და ეს. ჩლაიძემ მომხვდურთ მეტად არ დაანება გატანა და ჩინებული თამაშით (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) თანაგუნდელები არაერთხელ გაამხნევა.

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო, ისე დაემართა „არსენალს“. 58-ე წუთი იყო. ბათუმელთა პირველი შეცვლისას ბლოკნოტში აღნიშვნით ვიყავი გართული, მოედნის ცენტრში თბილისელთა მიერ ალყაშემორტყმული პაატა დოგრაშვილი რომ დავინახე. ვერ გეტყვით რა მოხდა, მაგრამ ფაქტია — მსაჯმა არმიელი ირემაშვილი გასახდელს მიაბრძანა. თამაშის შემდეგ მსაჯთა ოთახში არ შეგვიშვეს, დოგრაშვილისთვის გაძევების მიზეზი რომ გვეკითხა. ისე კი საინტერესოა — ნეტავ რა უთხრა ასეთი?

დოგრაშვილისადმი სტუმართა უკმაყოფილება ამით არ ამოწურულა. კაცნაკლულობამ „არსენალს“ ძალები შემატა და თამაშიც ერთობ დაიძაბა. გონჩაროვის შეჩერება ხომ არ იქნა. რვა წუთი რჩებოდა, როცა ზღვისპირელებს მეტოქის კონტრშეტევა გაუპარათ. თარგამაძემ და სულაძემ მარტოდ მყოფი გონჩაროვი ტოგონიძეს შეატოვეს. არსენალელი დასარტყმელად გაემზადა, მაგრამ მალხაზ მახარაძემ მაისურაზე დაქაჩა და მოიერიშე მინდორზე წაიქცა. თითქოს უეჭველი პენალტი ჩანდა. დოგრაშვილმა კი, ვითომც არაფერიო და დუმილი არჩია.

თამაშის შემდეგ სტუმრები მსაჯის ქმედებისთვის აღშფოთებას ვერ მალავდნენ. მათ შეხვედრის ამსახველი ვიდეოკასეტა მოითხოვეს და თან წაიღეს. ამას ფედერაციაში ვაჩვენებთ და მტყუან-მართალსაც დავადგენთო. ვნახოთ.



ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

ბათუმელი მაჭუტაძე (№9) და პაპიძე (№2) არმიელებთან თემურ გადელიას (№11) ბრძოლის შესცქერიან

# კოშმარი ორი დღით

**ქუთაისი**
3 ოქტომბერი
16 საათი
ტორპედო
3 500 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 4:1 კოლხეთი**

1:0 მეგრელაძე (7), 2:0 იონანიძე (27), 3:0 მეგრელაძე (29), 4:0 იონანიძე (37), 4:1 ღლანიძე (53)
**ტორპედო:** სომხიშვილი, ახვლედიანი (კ. კვეტენაძე 23), თურმანიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (ვაჩიბერაძე 63), მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 78), იონანიძე
*სათადარიგონი:* ჭანტურია; მახვილაძე, ვ. მაისურაძე, ამისულაშვილი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ანჯაფარიძე, ტორჩინავა, დავითნიძე, შალამბერიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი (ჯღარკავა 46), ხუჭუა, დ. გოგოლაძე (ბულუხია 75), ქუნთელია, ღლანიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ლეჟავა, პაპავა, ჭოხონელიძე, მელაძე
**გაფრთხილება:** ჯანაშია (57), დავითნიძე (57)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), კ. მესხი; ზ. ერქვანია (ორივე ზუგდიდი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**


მამუკა დარჩია ქუთაისიდან

„კოლხეთის" გამნადგურებლები გიორგი მეგრელაძე (№10) და ზურაბ იონანიძე ერთ-ერთი გოლის მერე

უეფაზე ბერძნულ აეკ-თან განცდილი მწარე მარცხის შემდეგ „ტორპედოს" შინაური საქმეებიღა დარჩა მისახედი და რაც უფრო მალე მოიცილებს ათენური კოშმარის დაღს, მით უკეთესი მისთვის.

„ბ" ზონაში თავის მთავარ კონკურენტთან თამაშის წინ ქუთაისელებს, ფაქტობრივად, დროც არ ჰქონდათ გონსმოსასვლელად. „ტორპედო" პარასკევს დაბრუნდა ქუთაისში და იმ დღეს, ბუნებრივია, დაისვენა. შაბათს გუნდმა ერთი ვარჯიშიღა მოასწრო და, სულ ეს იყო. კვირას ტორპედოელები კოლხებთან სათამაშოდ გავიდნენ.

გავიდნენ და...

... სიმწრის ოფლი ადინეს „შავ-ყვითლებს" (აეკ-ში არ აგერიოთ). თამაშის დაწყებიდან რაღაც წამები იყო გასული, რომ ფოთელები აშკარა ხიფათს გადაურჩნენ. იონანიძემ შეუტია სტუმართა დაცვას და მარდადაც შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ ბურთი მარცხნივ ჰქონდა გაგდებული და მეტად მახვილი კუთხიდან მოუხდა გვასალიასგან მიტოვებულ კარში დარტყმა. ბურთი სულ ოდნავ აცდა შორეულ ძელს.

ტორპედოელები საფუძვლიანად დაეუფლნენ უპირატესობას, იმდენად, რომ მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს და მათი მორიგი იერიში, ამჯერად მარჯვენა ფლანგიდან, გოლით დაგვირგვინდა. ჯანაშიას პასის შემდეგ მეგრელაძემ შუაგულ საჯარიმოდან, მეტად ეფექტურად, ვარდნაში „მაკრატელათი" გვასალიას შანსი არ დაუტოვა. „ტორპედო" უდავოდ სჯაბნიდა მეტოქეს, თამაშის ყველა კომპონენტში. მასპინძლები სწრაფად, გააზრებულად მოქმედებდნენ, ბურთი ფლანგიდან ფლანგზე გადაჰქონდათ, ცენტრიდანაც ხშირად უტევდნენ და დიდ გასაჭირში აგდებდნენ მეტოქეს. „ტორპედოსგან" განსხვავებით, „კოლხეთი" არაორგანიზებული, უთავბოლო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვერც დაცვაში ვარგოდა და წინ ხომ საერთოდ არაფერი გამოსდიოდა. ასე განსაჯეთ, ქუთაისელთა მეკარე პირველად 22-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, როცა ტრაპაიძის დარტყმული ფეხით გადააგდო კუთხურზე.

მეორეს გასატანად მასპინძლებს ზუსტად ოცი წუთი დასჭირდათ. მაღლაკელიძემ მარცხენა ფრთიდან დროული გრძელი გადაცემა გააკეთა იონანიძის მისამართით. კოლხი დავითნიძე ამაოდ ეცადა მოგერიებას, მაღალ ბურთს ვერ შეწვდა და ტორპედოელსაც ეს უნდოდა, იონანიძემ საჯარიმოს კუთხიდან შეუჩერებლივ და ძლიერად დაარტყა და მეკარე ვერც ამ ბურთს აღუდგა წინ. მეორეს უმალ მესამეც მოჰყვა. მეგრელაძემ იყოჩაღა, მართალია ცარიელ კარში, მაგრამ საკმაოდ შორიდან და თანაც მეტად მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა.

მართლა ბევრს სცოდავდა სტუმართა დაცვა. აქ ბევრმა, შესაძლოა, ისიც კი გაიფიქროს, კოლხებს წინა შეხვედრაში დაშავებული გურგენიძე და ბორიხინა აკლდნენ და იმიტომაცო, მაგრამ არა გვგონია ამ ორის მოუსვლელობით რაიმე შეცვლილიყო. ანჯაფარიძე, ტორჩინავა, დავითნიძე და შალამბერიძეც ხომ გამოცდილი მცველები არიან.

მეოთხე გოლი კოლხებმა ტორპედოელების მიერ სწრაფად და ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შედეგად მიიღეს. შეყრილაძემ მარჯვენიდან გოგიაშვილი მოძებნა სტუმართა საჯარიმოს წინ, ამანაც ორ მცველს აჯობა და უზუსტესი პასით იონანიძე დატოვა მეკარესთან პირისპირ. გვასალია წინ კი გამოვარდა, მაგრამ ტორპედოელს ვერ დაასწრო.

ტაიმის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, რომ მასპინძლებმა ერთხელაც შეარხიეს კოლხთა კარის ბადე. ჩხეტიანის საჯარიმოს გარედან უძლიერესად დარტყმული გვასალიამ ახლოს მოიგერია, ჯანაშია იქვე გაჩნდა და თავურით კარში გაგზავნა, მაგრამ გოლი არ ჩაითვალა. გვერდითმა ჩიგოგიძემ თამაშგარე დააფიქსირა. საინტერესოა, ვისი?

როგორც ხედავთ, „ტორპედო" პირველ ტაიმში მორჩა საკეთებელს. მეორეში კი თამაშს ინტერესი დაეკარგა. თანაც ქუთაისელებს დაღლა დაეტყოთ. სტუმრებმა შვება იგრძნეს და რამდენიმეჯერ საიერიშოდ მოიცალეს. ფლანგებზე ტრაპაიძე და ხუჭუა გააქტიურდნენ, მაგრამ ამათ გარჯას ნაყოფი არ გამოუღია. „მშრალი" ანგარიშით წაგებას კი კოლხებმა ღლანიძის საფირმო საჯარიმო დარტყმით დააღწიეს თავი. ზაველიმ დაახლოებით 25 მეტრიდან გაისროლა და ზუსტად „ცხრიანში".

„ტორპედომ" „ბ" ზონაში ლიდერობა განიმტკიცა. 12 ოქტომბერს ქუთაისელები თსუ-სთან ადრე გამოტოვებულ მატჩს გამართავენ სტუმრად.

# შაკიაშვილის ტაში და დალაქიშვილის აჩრდილი

**თბილისი**
3 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
3 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 3:0 სიონი**

1:0 წიტაიშვილი (7), 2:0 აშვეთია (63), 3:0 ალექსიძე (77)
**დინამო:** დონდტი, ხიზანეიშვილი (კობიაშვილი 41), დიდავა, ვაშაკიძე (შაშიაშვილი 75), ა. სახვაძე, სიჭინავა, გ. შენგელია (პ. ჯინჭარაძე 54), ანჩაბაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი, აშვეთია
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; ზირაქიშვილი, ვ. გიგიაძე, ღლონტი
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 64), მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, ტარულაშვილი, თ. სამხარაძე (დ. ჯაფარიძე 66), დათუაძე, დ. გოდერძიშვილი (ლ. გაგუა 66)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ი. კაპანაძე, ჩაგელიშვილი, ფ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** დიმიტრიშვილი (5), კ. გოდერძიშვილი (50), შაკიაშვილი (58)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ასკაროლლი, გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი); ს. შალამბერიძე (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

**ვახტანგ ბზიკაძე**


მურად დოლენჯაშვილის ფოტო

ბოლნისელთა კაპიტანი არჩილ შაკიაშვილი მიხეილ აშვეთიას ფეხებში ჩაუვარდა

ერთ ნახვად მარტო შესვენების ცქერა ღირს ეროვნულ სტადიონზე. ეს ჩვენი ერთადერთი და განუმეორებელი, არასდროს შენალობი არენა საყოველთაო სეირნობის სარბიელად იქცევა-ხოლმე. ხშირად ნახავთ, რომ მაშინ, როცა ერთი გუნდის სათადარიგო ნაწილი მოედანზე ვარჯიშობს, მეორე გუნდის ზოგიერთი სამარქაფო უადიტორიის ერთ მესამედს ემასლაათება. ასეთ შემთხვევაში მეტ სიმპატიას, ცხადია, გამრჯე ფეხბურთელები იმსახურებენ, მაგრამ თუ მათ შორის ისეთიცაა, რომ ვერ გაიგებ, ვის დაჰკარგვია... ერთი სიტყვით, ჯერ მატჩზე და მერე საინტერესო უცნობზეც.

ბოლნისელებმა თავიდანვე წააგეს — „დინამოს" გაფრთხილებების გამო მხოლოდ გუჩუა, „სიონს" კი სიდამონიძე და სოლოლაშვილი აკლდნენ.

მეშვიდე წუთზე ხიზანეიშვილის მიწოდებული ბურთი ანჩაბაძემ კარგად გადააწოდა წიტაიშვილს, რომელმაც ძელს გაარტყა და ისე გაიტანა.

ტაიმის ბოლომდე ეს იყო — სტუმართა მიერ შეთავაზებულ დაბალ ტემპზე უარი არც „დინამოს" უთქვამს. წიტაიშვილის და ალექსიძის დარტყმები პირველი, აშვეთიას გარჯასმოყოლილი და მეორე, მოულოდნელი, ვოლკოვმა მოიგერია, წიტაიშვილის მობრუნებული შეტევა კი აშვეთიამ (თანამსაჯის აზრით, მცველმა) თავით კარის სხვენზე ბურთის დაგდებით დაასრულა.

მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში ისევ ვოლკოვის კართან იგრძნობოდა საგოლე სუნთქვა. ბოლნისელთა მეკარემ ორჯერაც სიჭინავას შორეული დარტყმები მოიგერია — ერთი ძლიერი და დამიზნებული, მეორე კი შედარებით სუსტი, მაგრამ უფრო უხერხული.

საქმეში ხარ? ტაიმის შუაწელში მცველებს აშვეთია გაეპარათ და მარცხენა ფრთიდან არჩილ სახვაძის ჩაწოდებული ბურთი თავისუფლად გაიტანა ვოლკოვის კარში.

0:2-ზე „სიონის" თავკაცმა სპარტაკ არჩვაძემ ერთბაშად სამი მოთამაშე შეცვალა, მაგრამ ამან თამაში ველარ გადაარჩინა. მესამე გოლამდე საინტერესო სამი რამ იყო: ერთი, კუთხურისას არჩილ შაკიაშვილის მორგებული თავური, რომლის მოგერიებისთვისაც დენიტ დონდტმა თვით ბოლნისელისგან ტაში დაიმსახურა, მეორე, თანაგუნდელთა გადამკიდე ერთობ უსარგებლო აქტიურობით გამორჩეული დათუაძის ჯარიმა, რომელიც ჯვარედინს მოხვდა და ხელამოვარდნილი ირაკლი ვაშაკიძის ტრავმა, რომელსაც შეცვლასთან ერთად სასწრაფო დახმარებაც დასჭირდა, მაგრამ თაბაშირის დადებას გადაურჩა.

მეასამე გოლი ძნელი სათქმელია ვინ გაიტანა, ალექსიძემ თუ კახა გოდერძიშვილმა. ერთი ცხადია დინამოელის ძლიერად დარტყმული ჯერ გოდერძიშვილს მოხვდა თავში, მერე ხარიხას და კარის ხაზსშიგნით ისე დაეშვა.

თქმა ერთისაც შეიძლება: დათუაძის ჯარიმამდე გოლი უნდა გასულიყო, არბიტრ ფანიაშვილს კარისკენ მიმსრბოლი ლავრენტი გაგუა სასტვენით რომ არ შეეჩერებინა.

ბოლოს ერთხელაც ალავერდი მსაჯობასთან: ეგებ მათ იცოდნენ, ვინ იყო ის უწვერული ყმაწვილი, რომელიც შესვენებისას სტუმრებს კარში ედგათ და ზურგზე №12 ეწერა, ოქმში კი ამ ნომრის გასწვრივ 28 წლის ნუგზარ დალაქიშვილის გვარი იკითხებოდა?

# გარინჩადან დუმბაძემდე

თბილისი
2 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**თბილისი 5:2 სამგურალი**

1:0 კვარაცხელია (2), 1:1 ძოძუაშვილი (8), 2:1 მელქაძე (27), 2:2 ძოძუაშვილი (31), 3:2 მიქაძე (37), 4:2 კვარაცხელია (66), 5:2 მიქაძე (73)
**თბილისი:** ა. ჩიხრაძე, რუხაძე, ზ. ხიზანიშვილი (ი. შენგელია 56), აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, კვარაცხელია (ებრალიძე 78), ქემოკლიძე, გ. მიქაძე (ნორაკიძე 74), ვალერი გაგუა, ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ტყებუჩავა, ენუქიძე, ისიანი
**სამგურალი:** ო. ბობოხიძე (ბოდოკია 46), ჭელიძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, კოხრეიძე (ზ. ქუთათელაძე 56), ძოძუაშვილი, ფხაკაძე, ლონდაძე (პეტრიაშვილი 46)
*სათადარიგონი:* გაბლაია, ჯავახაძე, ნებიერიძე, კოპალიანი
**გაფრთხილება:** მელქაძე (5), ჭელიძე (14), რუხაძე (16), ფრანგიშვილი (27), მიქაძე (45)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

**ხვიჩა სანიკიძე**

პირველად გარინჩამ, დიდმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა მოსწყვიტა ტაში მოწინააღმდეგე გუნდის წევრებსა და მაყურებლებს. პირისპირ გასულმა წაქცეულ მეკარეს არ გაუტანა და ბურთს მოედანი დაატოვებინა. თამაშის განახლება ალდაირმა ითავა, ბურთი გარინჩას თანაგუნდელს გადააწოდა.

მას შემდეგ შეხვედრა არ გამართულა, მსაგვსი ფაქტის მოწმენი არ გავმხდარიყავით. წესად დამკვიდრდა — როცა მინდორზე წაქცეულ ფეხბურთელს დაინახავენ, ბურთს განზრახ გზავნიან მოედნის ფარგლებს გარეთ და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოიმოქმედებს ამას. ბურთის თამაშში შემომტანი ალდაირის დარად იქცევა...

„თბილისი“ — „სამგურალის“ მატჩი სულ ტაშის გრიალში წარიმართა... თითქმის არ დარჩენილა ფეხბურთელი, მინდორზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში 2-3 წუთი მაინც არ გაეტარებინა. და იყო რაინდობის დემონსტრაცია, ნასიამოვნები სახეების სიმრავლე. ფეხბურთი აპლოდისმენტების გარეშე მართლაც წარმოუდგენელია, მაგრამ როცა ტაშის ხმა მეტწილად მოედნიდან მოდის და არა ტრიბუნებიდან, მაშინ...

ნოდარ დუმბაძემ თქვა ერთხელ — ეს ქვეყანა ტაშმა დააქციაო. დაქცეულ ქართულ ფეხბურთს კი „თბილისი“ — „სამგურალის“ მონაწილეთა აპლოდისმენტები სამგლოვიარო მუსიკასავით მიესადაგებოდა და, სამწუხაროდ, ბევრმა ვერ აღიქვა ეს. ბევრმა 7 გოლის ცქერით ისიამოვნა მხოლოდ და ყურადღებაც არ გაამახვილა იმაზე, თუ რატომ დაამატა მსაჯმა 8 წუთი პირველ ტაიმს. ხისტი თამაში კი იყო, მაგრამ არც ისეთი უსაშველო, როგორი სურათიც დაიხატა მინდორზე. ფეხზე ველარ დგებოდნენ ფეხბურთელები, როგორც კი მინდორზე გაიშხლართებოდნენ, ექიმის დახმარებას ითხოვდნენ და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. კუნთები ეჭიმებოდათ მობურთალებს, უვარჯიშებლობისგან მოდუნებული კუნთები და ამიტომაც იყო, რამდენიმე ქომაგმა რომ წამოიყვირა — რა გჭირთ, ბიჭო, დასაძინებლად გამოხვედით მოედანზე!

ასეა. შვიდი, არც თუ ურიგო კომბინაციების შედეგად გატანილი გოლები ვიხილეთ „ეროვნულზე“, მაგრამ ზემოთქმულმა ყველაფერი გააუფერულა.

პირველ ტაიმში სტუმრები საკუთარმა მეკარემ გააწბილა. მან 1:1-ზე ორჯერ ვერ შეძლო ბურთის ხეირიანად მოგერიება და დამატებაზე ჯერ მელქაძემ, მერე კი მიქაძემ იმარჯვეს.

ბობოხიძის შეცდომა შეცდომად, მაგრამ „სამგურალის“ მცველებს აზრადაც არ მოსვლიათ გოლკიპერის დაზღვევა — დინჯად იდგნენ და უყურებდნენ სხარტად მომქმედ თბილისელ თავდამსხმელებს. სტუმართაგან ყველასგან გამორჩეულად ძოძუაშვილმა ითამაშა.

ორი გოლი რომ გაიტანა, ამიტომ არ ვაქებ ახალგაზრდა ფორვარდს. მას კოჭებში ეტყობა ის, რისი მიღწევისთვისაც ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებს მწვრთნელებთან ერთად.

პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მისი შემხედვარე კაცი ნამდვილად ვერ იფიქრებდა, რომ „სამგურალი“ დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა. თუმცა მეორე ნახევარში მოქმედ სტუმართა ნახევარდაცვას თუ



წყალტუბოელთა მეკარის ოთარ ბობოხიძის მოგერიებული ბურთები თბილისელებმა გიორგი მიქაძემ (№13) და ლევან მელქაძემ გაიტანეს

ნუგზარ კვირიკაშვილის ფოტო

კარგად დააკვირდებოდით, ერთი რამ ცხადად ჩანდა — ლონლაძისა და კოხრეიძის გამოცვლის შედეგად სტუმრებმა სრულად დათმეს მოედნის ცენტრი. უფრო სწორად კი მასპინძლები ადვილად გაბატონდნენ იქ. ამან სოლიდური უპირატესობა მისცა „თბილისს“, რომელსაც არ გასჭირვებია ყოველივე მინიმუმ სამ გოლში გარდაესახა.

მსაჯმა მეორე ტაიმს 3 წუთი დაამატა. ესე იგი შეხვედრა სულ 101 წუთს გაგრძელდა. აქედან დაახლოებით 25 წუთი წაქცეული ფეხბურთელების „მოსულიერებას“ დასჭირდა, ერთი ხუთი წუთი ტაშის ფონზე გარინჩასა და ალდაირის დარად მოქცევას. დანარჩენ 71 წუთში კი შვიდი გოლი გავიდა. თუ არ ნახავდი, მშვენიერი თამაში იყო...

# ქალის სურნელი

თბილისი
2 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 3:1 დილა**

1:0 დევიძე (18), 2:0 დავითაშვილი (50), 3:0 დევიძე (56); 3:1 მარლიშვილი (86)
**მერანი:** კოროშინაძე (ნაჭყებია 9), პ. ლურსმანაშვილი (ივანიშვილი 69), ე. ალადაშვილი, ხარებავა, კარიაული, ჭინჭარაული, დავითაშვილი, თოლორდავა (ლ. ჩხაიძე 75), დევიძე, როსტიაშვილი, ბ. ამბიძე.
*სათადარიგონი:* მელიქია, კოშკაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, გაგნიძე, ლომიძე, აკოფიანი, დ. მაისურაძე (მარლიშვილი), თაყაძე, ციცქიშვილი (ბ. ჩიტაია 59), არუთინიანი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი.
*სათადარიგონი:* მდივანი, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი, კარელიძე, ოლგესაშვილი.
**გაფრთხილება:** სოლოლაშვილი (75)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

**კონსტანტინე გოგიშვილი**

მერანმა გაიმარჯვა... და, რა თქმა უნდა, „დილამ“ წააგო. ეს ორი კონტრასტი — წაგება და მოგება, ჩვეულებრივ, ნებისმიერი საფეხბურთო შეხვედრის ანგარიშს იტევს. მაგრამ არსებობს მესამეც, შუალედური შედეგი, ფრე და არა მგონია, რამე ისეთი მომხდარიყო „სინათლეზე“, თუ „მერანი“ — „დილა“ ფრედ დამთავრდებოდა.

აქვს ამ სიტყვებს საფუძველი. 2 ოქტომბერს ავჭალაში თბილისელთა და გორელთა შეხვედრა თავისუფლად შეიძლებოდა, დამთავრებულიყო ფრედ. შეიძლებოდა მოეგო „მერანს“, მაგრამ „დილასაც“ შეიძლებოდა მოეგო... თუკი გორელები სულ ოდნავ მოინდომებდნენ.

მოინდომა „მერანმა“ და მოიგო.

ამ მონდომების გამო იყო, მთელი შეხვედრა „მერანის“ უპირატესობით რომ მიმდინარეობდა, განა საგოლე მომენტების, სათამაშო, ანაც ტაქტიკური უპირატესობით. უბრალოდ, ავჭალელები იყვნენ ოდნავ სწრაფნი, ოდნავ მონდომებულნი, ოდნავ გუნდურნი. და ეს „ოდნავ“ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

და კიდევ, „მერანის“ მწვრთნელი თემურ ჩხაიძე იყო მონდომებული. ყველაზე მეტად, ყველაზე ძლიერ ნერვიულობდა, ყვიროდა, შენიშვნებს აძლევდა, მიუთითებდა ფეხბურთელებს. არ დამჯდარა კაცი და სასიხარულოა, რომ „მერანმა“ მისი თავკაცობით პირველი გამარჯვება მოიპოვა.

თბილისელები უფრო გაშლილ ფეხბურთს თამაშობდნენ. მარცხნივ, როგორც ყოველთვის, დავითაშვილი აქტიურობდა, მარჯვენივ როსტიაშვილი ერთვებოდა-ხოლმე და შესაბამისად, ხშირად აწოდებდნენ სოლოლაშვილის საჯარიმოში მერანელები. დევიძის ორივე გოლიც სწორედ ფლანგებიდან ჩაკიდულებს მოჰყვა. ჯერ კონტრშეტევაზე დაიჭირეს მასპინძლებმა „დილა“, მარცხნიდან ჩამოწოდებული მისთვის უჩვეულოდ, მეათე ნომრით მოთამაშე დევიძემ „ჩაკეტა“ და როგორც იორკმა იცის-ხოლმე, ბურთი თავურით ბადეში ააფართხალა.

მეორედ მეორე ტაიმში, საჯარიმოდან როსტიაშვილის ჩაწოდებულს აუხტა დევიძე და პირველის მსგავსი გოლი გაიტანა. მის გოლებს შორის კი დავითაშვილის კურიოზული გატანილი გახლდათ. ჩვეულებისამებრ, ფრთაზე გაიჭრა აბრეზა, იტრიალა, იწრიალა, მერე ერთი ლონივრად ამოცხო და ის სოლოლაშვილის ცოდვით სავსე ბურთი ზუსტად იქ ჩაეშვა, სადაც მეკარე ვერ მისწვდებოდა. ამ მომენტში ყველა და ყველაფერი დავითაშვილის მხარეზე იყო — ბურთიც (ჩიკორივით ბზრიალებდა), მზეც (მეკარეს თვალები მოსჭრა) და დარტყმულიც (ისე მოიჭრა, ბექმი მოაწერდა ხელს).

პრესტიჟისა მარლიშვილმა გაიტანა. ეს შეხვედრის დამთავრებამდე ოთხიოდე წუთით ადრე მოხდა. ეს გოლიც ფრთიდან შეტევას მოჰყვა.

მოკლედ, გოლები ისე გავიდა, გოლის სუნი არ დატრიალებულა ჰაერში. იმ ოთხმა გოლმა გამოგვაცოცხლა ტრიბუნებზე მსხდომნი, თორემ გინდ ბრმა ყოფილიყავი, გინდ თვალხილული, საფეხბურთოს და მოსაწონს ბევრს ვერას დაინახავდი.

ეს, ვისაც მარტო ეფეხბურთებოდა, თორემ... მართალი გითხრათ, დაახლოებით მეორე ტაიმიდან საერთოდ არ მომიწყენია. ავჭალის ჰაერში გოლის სუნის მაგიერ რომელიღაც ფრანგული სუნამოს სურნელი დატრიალდა (ალ პაჩინოს ჰკითხეთ, ფირმის სახელს ის გეტყვით) და „სინათლის“ ტრიბუნაზე გოგონა დაჯდა...

ისე, ქალი მართლა დიდი გამოგონებაა დედამიწაზე.

ისეთი, ზოგჯერ ცუდ ფეხბურთსაც რომ ალამაზებს.



მერანელ იოსებ დევიძეს (№10) „დილას“ კარში თავურით გააქვს

ნუგზარ კვირიკაშვილის ფოტო

# სასწაული არმაზზე

მცხეთა
2 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:0 გორდა**

1:0 გვაზავა (35)
**თსუ:** მერლანი, სვანაძე, ნინუა, ახალაძე (ჯობაძე 77), წუწუნავა, დეკანოსიძე (თ. ბოკერია 83), მესხი (ადამია 46), გ. გვაზავა, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ინწკირველი, ბ. ნოზაძე, გ. მიქაძე
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბერიძე, ინასარიძე (პატარიძე 53), გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, მიშველიძე, კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ჩიგოშვილი, ჩიტაური, ბაჩილავა
**გაფრთხილება:** კვიციანი (56), გვაზავა (85)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო

**გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან**

თსუ-მ, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. გოლი, რომელმაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტა, სტუდენტმა გრიგოლ გვაზავამ 35-ე წუთზე გაუტანა მთელი შეხვედრის მანძილზე საუცხოოდ მოთამაშე მამუკა ქორიძეს.

ჩემპიონატის დაწყებამდე სტუდენტებს ისეთი ამბიციები ჰქონდათ, ისე იქადნებოდნენ, იფიქრებდით, არიქა, კიდევ ერთი ძლიერი გუნდი შეემატა ეროვნულ პირველობასო, მაგრამ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სურვილი ერთია, შესაძლებლობა კი მეორე.

შაბათს მცხეთაში, „არმაზზე“ მობურთალი 22 ფეხბურთელიდან ერთადერთი, ვისი გამორჩევაც შეიძლებოდა, „გორდას“ ჩინებული მეკარე მამუკა ქორიძე გახლდათ. სანამ მასპინძლები გოლს გაიტანდნენ, მან თსუ-ს თავდამსხმელთა შეტევებს ალლო აულო და არაერთი მკვდარი ბურთი მოიგერია. გაშვებულ ბურთშიც ძნელად თუ დაადანაშაულებ რუსთაველთა გოლკიპერს. სტუდენტთა კაპიტანმა კობა ნინუამ მოედნის თავისსავე ნახევრიდან გიორგი დეკანოსიძეს მიაწოდა ბურთი, ამან კი კარგი პასი გაუჭრა გრიგოლ გვაზავას და ქორიძის პირისპირ დარჩენილმა თავდამსხმელმაც აუღელვებლად გაიტანა. მერე კი თსუ თითქოს მოეშვა და სტუმრებიც შეეცადნენ, ამით ესარგებლად, თუმცა არაფერი გამოუვიდათ. შეტევის ხაზში ერთადერთი კაცი, გამოცდილი ვარლამ კილასონია ცდილობდა თავისი საფირმო ჯარიმებით მერლანის დამწუხრებას, მაგრამ არ უმართლებდა. იგი ყოველი ჯარიმის წინ საგულდაგულოდ იკრავდა ბუცებზე თასმებს, მაგრამ აშკარა იყო, იმ დღეს ფორტუნა მის მხარეს არ იყო.

მეორე ნახევარში „გორდა“ უფრო გამოცოცხლდა და ტერიტორიულ უპირატესობასაც დაეუფლა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ სტუმრები ბურთს საჯარიმომდე მიიტანდნენ. მერე კი მათი ჩანაფიქრი საპნის ბუშტივით სკდებოდა. ტაიმის განახლებისთანავე კოტე დოლიძემ ინერტულად მოთამაშე მესხის ნაცვლად თავდასხმაში გიორგი ადამია ჩართო. სწორედ ადამიას ჰქონდა გოლის გატანის ყველაზე რეალური მომენტი, მაგრამ...

„არმაზზე“ მოსულმა მცირერიცხოვანმა ქომაგმა სასწაული იხილა, სასწაული, რომელიც მამუკა ქორიძემ მოახდინა:

83-ე წუთი. პირველი ლიგის დებიუტანტმა არბიტრმა, გორელმა ზურაბ ანიაშვილმა „გორდას“ კარიდან ოცდახუთიოდე მეტრის მოშორებით ჯარიმა დანიშნა. საჯარიმო კი ყუმბარისებური დარტყმით თსუ-ს კაპიტანმა კობა ნინუამ შეასრულა. ქორიძე ჩინებულ ნახტომში ცალი ხელით იგერიებს ბურთს, იქვე კარიდან ორიოდ მეტრში მყოფი ადამია უძლიერესად ურტყამს. წაქცეული მეკარე წამოდგომას ახერხებს და ბურთს კარში შესვლის უფლებას არ აძლევს, რაშიც ხარიხაც ეხმარება. გადმოვარდნილს ისევ ადამია ამატებს, ამჯერად საპირისპირო კუთხეში. ყველას ჰგონია, მორჩა, გოლი გავაო, მაგრამ... კვლავ ქორიძის ჩინებული რეაქცია და ცხრიანში მიმავალი ბურთი სასწაულებრივი ნახტომით უკუგდებულია. აქ კი გამოფხიზლდნენ რუსთაველი მცველები და ბურთი, როგორც იქნა, თავიდან მოიშორეს.

ზემოთ დებიუტანტი არბიტრი ანიაშვილი ვახსენე. მას აშკარად ეტყობოდა, რომ ღელავდა. ერთ-ერთ ეპიზოდში წაქცეულმა სტუდენტმა გვაზავამ დროის გაყვანის მიზნით ბურთი ხელებში მოიმწყვდია, მერე კი მჯდომარემ, მსაჯს ლაპარაკი გაუბა. რა პრინციპულობაზეა საუბარი, როცა არბიტრი ელოდა, როდის მოისურვებდა ფეხბურთელი ფეხზე წამოდგომას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეოთხე გაჭირდება

სამტრედია
2 ოქტომბერი
16.08 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 14 000)

**იბერია 2:1 ხობი**

1:0 ივეჩიანი (35), 2:0 ხმალაძე (39), დანელია (86)
იბერია: ვარდანიძე, ბიწაძე, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე (ხურციძე 65), ხმალაძე (დარსაძე 69), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ცომაია 82), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; ოდიკაძე, ნ. გიორგაძე, ჟვანია
ხობი: ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ალანია, ხურცილავა (დ. დანელია 64), გოგიტაძე, ქაშიბაძე (ჯამბურია 46), ლ. გვაზავა, ჭიჭინაძე, ვ. ჩიტაია (თორია 46), ლ. ბუკია
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ტყებუჩავა, ვართაგავა
გაფრთხილება: ხურცილავა (32), მეტრეველი (73), ვარდანიძე (77), ხურციძე (86)
მსაჯები: მ. მალაღურაძე; ა. კრიჭაშვილი, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

**იუზა კაციტაძე სამტრედიიდან**

ასე სჯობია, აბა! სალმა აზრმა გაიმარჯვა. ამჯერად „იბერიას“ ზედმეტი ხმაურის გარეშე, დაუმადლებლად და უსასყიდლოდ დაეთმო „ეროსი მანჯგალაძე“. ესეც და, აქაურებს ისე კოხტად გაუკრიჭავთ და დაუხაზავთ სათამაშო მოედანი, თქვენი მოწონებული. ყოჩაღ, გარნოვსკი! ამისთვისაც და იმისთვისაც, რომ არც ჟურნალისტები დაგავიწყდით. ჩვენი წინა სამტრედიული რეპორტაჟის გმირს (თუ ანტიგმირს), „ეროსი მანჯგალაძის“ დირექტორს სამთავრობო ლოჟის ქვემოთ მაგიდა ჩამოუტანია, ორი სკამი მიუდგამს და იქვე კედელზე ფირნიშიც მიუჭედებია — „პრეს ლოჟა“. ორი ადგილი რაღაა, მაგრამ სულ არარაობას, ალბათ, სჯობდა. ეგ იყო, ჟურნალისტებს ვილაც უცნობებმა დაგვასწრეს, სკამები დაკავებული დაგვხვდა...

სტადიონზე „01“-იც დროულად მოვიდა და „03“-იც, ოღონდ სახანძრო მანქანა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე გაუჩინარდა. სადღაც სოფელში ხანძარი გაჩენილიყო და ისიც შემთხვევის ადგილზე გავიდა, მოუბრუნებლად. თამაშს ხომ არ ჩავშლიდით, გვითხრა ამ ფაქტთან დაკავშირებით სფფ-ის დელეგატმა მევლუდ მიმინოშვილმა. ჩაშლით არა და არბიტრმა 8 წუთი კი გადაამეტა თამაშის დაწყებას. მიზეზი? ხობელებს გასახდელში შეაგვიანდათ.

სტუმარ-მასპინძლებმა ძირითადის ორ-ორი მოთამაშე მოისაკლისეს. ხობელებმა ძმები აიანიდეები (ავტოსაგზაო შემთხვევაში ბაბუა დაღუპვიათ), სამტრედიელებმა კი საყოფაცხოვრებო ტრავმამიღებული გივი ქველაძე და „დილასთან“ წინა ტურის მატჩში ფეხნატკენი კონსტანტინე მეტრეველი.

ის, რაც მატჩის საწყის 20 წუთში ვიხილეთ, ფეხბურთს შეგაძულებდათ. თამაში თამაშს არ ჰგავდა. არც ერთი უქნია გამჩენს, არც მეორე. მეტოქეები უნიათოდ, უსუსურად ირჯებოდნენ, იქამდე, რომ ერთმანეთის საჯარიმოს ახლოსაც არ მიკარებიან. 22-ე წუთი იყო, სტუმართა კართან პირველი სახიფათო მომენტი რომ შეიქმნა. ბიწაძემ საკუთარი ნახევრიდან წინ ძლიერად გაგზავნა ბურთი, ივეჩიანიც მარჯვენა ფლანგზე მცველებს დაუსხლტდა, გვერდიდან შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში უხეიროდ ითამაშა, ალანიამაც კარში დარტყმა არ აცალა.

ამის შემდეგ თამაში ცოტა გამოცოცხლდა. 24-ე წუთზე კვეკვესკირმა 20 მეტრიდან ჯარიმა დაარტყა, საკმაოდ სახიფათოდ, მაგრამ ვარდანიძემ იმარჯვა, ადგილზე დაუხვდა ბურთს. ერთ წუთში კი ხობელები აშკარად გადარჩნენ. ბიწაძე მარჯვნიდან აწოდებდა სტუმართა საჯარიმოში, მოულოდნელად ბურთი ისე მოეჭრა, რომ კარისკენ წავიდა და ხარიხასაც მოხვდა, გადმოვარდნილს ხუთიოდე მეტრიდან ივეჩიანმა დაამატა, მაგრამ ძალზედ არაზუსტად. 34-ე წუთზე ხობელ ჭიჭინაძეს შეეძლო დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომისათვის სამტრედიელთა დასჯა, მაგრამ შანსით ვერ ისარგებლა, მართალია ახლოდან, მაგრამ სუსტად დაარტყა და მეკარემაც იოლად აუღო.

ტაიმის ბოლო ათ წუთში კი უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, რასაც მეტოქის კარში გატანილი ორი ბურთიც მოწმობს. ჯერ ივეჩიანმა შეაფასა სწორად სიტუაცია, საჯარიმოში იმ ადგილზე გაჩნდა, სადაც ხობელმა მცველმა უხეიროდ მოიგერია ბურთი, იბერიელმა უნაკლოდ დაარტყა და ანგარიშიც გახსნა. ცოტა ხანში ივეჩიანმა კვლავ გამოიჩინა თავი, ოღონდ ამჯერად ასისტენტად მოგვევლინა. ხობელთა საჯარიმოში მისი ზუსტი გადაცემა ახალგაზრდა ხმალაძემ შეირგო, შეუჩერებლივ გაგზავნა კარში. მეკარე ამ ბურთის ამღები ნამდვილად არ იყო.

სხვა რა გზა ჰქონდათ, მეორე ნახევარში სტუმრებმა თამაშის გადარჩენა სცადეს. ხობელებმა წინა ხაზი გააძლიერეს, ჯერ თორიათი, მერე დანელიათი და, უნდა ითქვას, თამამად შეუტიეს მასპინძლებს. „იბერია“ იძულებული შეიქნა მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ეზრუნა, დიდი ძალებით იცავდა თავს. ასეთ ვითარებაში სტუმრებმა მაინც შექმნეს რამდენიმე საგოლე მომენტი. 62-ე წუთზე გვაზავამ საჯარიმოს გარედან დაურტყა ვარდანიძეს, მეკარემ მოიგერია არცთუ იოლი ბურთი. მერე იმავე გვაზავამ თორიას ჩაუწოდა საჯარიმოში, ხობელმა ძლიერად დაარტყა, ბურთი ვარდანიძის ხელიდან ძელს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. სამტრედიელთა მეკარემ ბუკიას დარტყმულიც ანალოგიურად მოიგერია, ოღონდ ამ შემთხვევაში ბურთმა ხარიხას წაჰკრა. 77-ე წუთზე ვარდანიძემ საჯარიმოს გარეთ ითამაშა ხელით. სახიფათო ჯარიმა. კვეკვესკირმა გაისროლა, მაგრამ არაზუსტად.

მასპინძლები ეპიზოდურად ჩნდებოდნენ მეტოქის ნახევარზე. მიუხედავად ამისა მათ ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ დარსაძეს არ გაუმართლა, ხელსაყრელი პოზიციიდან ჯერ ააცილა, მერე ნიქაბერიძემ აუღო.

თამაშის მიწურულს ხობელებმა ერთი გაქვითეს. „იბერიას“ საჯარიმოში დანელიამ იმარჯვა, მცველებზე ადრე გაჩნდა მარცხნიდან ჩაწოდებულზე და ზუსტადაც გადაგზავნა ბურთი ბადეში.

„იბერიამ“ ამ მოგებით სანუკვარ მეოთხე ადგილზე აინაცვლა „ბ“ ზონაში, ოღონდ ისიც სათქმელია, თუ სამტრედიელებმა თამაშს არ უმატეს, ამ პოზიციის ბოლომდე შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ.



მამუკა დარჩია სამტრედიიდან

იბერიელი გიორგი ხურციძე ხობელ რევაზ ქაშიბაძესა და რონ ონიანს (მარჯვნივ) შორის

# ლოკომოტივი აღარ იქნება!..

*ფეხბურთის ფედერაციას არ სურს, რომ რკინიგზის დეპარტამენტს გუნდი ჰყავდეს — ამბობს აკაკი ჩხაიძე*

*თბილისის „ლოკომოტივი“ იშლება. რკინიგზის დეპარტამენტის გუნდი მიმდინარე ჩემპიონატსაც ჩაამთავრებს და არსებობას შეწყვეტს. არაა გამორიცხული, „ლოკომოტივმა“ მეორე წრეც აღარ განაახლოს.*

*ყოველივე ზემოთქმული გუშინ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა, ბატონმა აკაკი ჩხაიძემ გვითხრა.*

*მეტად სამწუხარო ამბავია. ადრე რომ გვეგონა, რკინიგზელებს არაფერი უჭირთ, არც მომავალში გაუჭირდებათ, გუნდის ზურგსუკან ფინანსურად ძლიერი ორგანიზაცია დგასო, თურმე მთლად ეგრეც არ ყოფილა.*

*არადა, აკაკი ჩხაიძეს სხვა რამის საკითხავად დავუკავშირდით. ბოლო ხანს ხმები რომ დაირხა, რობინზონ ქინქლაძე კლუბის აქციათა თავის წილს, 51 პროცენტს ითხოვსო, დეპარტამენტის შეფსაც ამისი გარკვევა ვთხოვეთ. მან კი...*

— რობინზონ ქინქლაძეს არაფერი ეკუთვნის და ვერც ვერაფერს მიიღებს. მისი პრეტენზია არ მესმის — გვითხრა აკაკი ჩხაიძემ — ვიმეორებ, ქინქლაძეს „ლოკომოტივიდან“ არაფერი ერგება.

**— თავად ქინქლაძე სხვანაირად ამბობს.**

— არ ვიცი, რას ამბობს. მე გეუბნებით, ქინქლაძეს „ლოკომოტივიდან“ არაფერი ეკუთვნის. გუნდი ცოტა ხანში სულ დაიშლება.

**— ეგ როგორ?**

— ჩვეულებრივ. რკინიგზის დეპარტამენტს საფეხბურთო გუნდი აღარ ეყოლება.

**— მოულოდნელი განცხადებაა. უფრო დეტალურად აგვიხსენით, რაშია საქმე?**

— ფეხბურთის ფედერაციას არ სურს, რომ რკინიგზის დეპარტამენტს გუნდი ჰყავდეს. ყველანაირად ხელს გვიშლიან. სანამ ქართულ ფეხბურთს ამჟამინდელი ფედერაცია მართავს, ფეხბურთი მათ ხელშია, შეუძლებელია გუნდის შენახვა. აღარაფერს ვამბობ მსაჯობაზე... ამიტომაც გადავწყვიტეთ „ლოკომოტივის“ დაშლა.

**— კი, მაგრამ...**

— „ლოკომოტივი“ დაიშლება.

**— როდიდან?**

— ჩემპიონატი დამთავრდება და „ლოკომოტივიც“ აღარ იქნება.

**— ეგ როდის გადაწყვიტეთ?**

— ზუსტად არ მახსოვს.

**— პაოკ-თან წაგების შემდეგ?**

— არა, უფრო ადრე.

სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო დეპარტამენტის შეფს მეტი აღარაფერი უთქვამს, არც გუნდის დაშლის სხვა მიზეზები დაუკონკრეტებია, თუმცა შეგვპირდა, ცოტაც მადროვეთ და ვრცელ ინტერვიუს მოგცემთო. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, დანარჩენი ორ-სამ დღეში იყოს. და დღეს...

ამ სენსაციურ განცხადებასთან დაკავშირებით გუშინვე ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, ბატონ ვალერი ჩოლარიას ვთხოვეთ კომენტარი.

— რა კომენტარი უნდა გავაკეთო? საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნულ ჩემპიონატს ატარებს და „ლოკომოტივის“ გარდა მასში თხუთმეტი გუნდი მონაწილეობს. ჩხაიძე ერთს ამბობს, წადით და დანარჩენ თხუთმეტ პრეზიდენტსაც სთხოვეთ თავიანთი აზრის გამოთქმა. აბა, ვნახოთ, რას იტყვიან. წლეულს ჩემპიონატის დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტის განცხადება კი ჩვენთვის გაუგებარია — თქვა ვალერი ჩოლარიამ.

**კობა ინასარიძე**

# ...იქნება არსენალი?

თბილისის „არსენალის“ ფეხბურთელები: „რაც გვეკუთვნის, ის გადაგვიხადონ, ჩვენ მეტს არაფერს ვითხოვთ. ჩემპიონატს არ მივატოვებთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენივე ხარჯებით პირველ ეტაპს მაინც ჩავამთავრებთ.“

*ფეხბურთის ფედერაცია:* „მოვითხოვთ „არსენალის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას, გაგვაგებინონ, რა სურთ, რას აპირებენ, უნდათ, გუნდი ჰყავდეთ, თუ არა.“

*საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ დირექტორი გია ლომიძე:* „ჩვენი რესურსები ამოიწურა. გუნდის შენახვის არავითარი საშუალება არ გვაქვს.“

გუშინ 12 საათზე კლუბის კრება იყო დანიშნული. აქ იყვნენ ფეხბურთელები, მწვრთნელები, ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე მამუკა კვარაცხელია, მაგრამ არ მობრძანდნენ „არსენალის“ მეპატრონე — თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. უფროსობიდან მხოლოდ კლუბის დირექტორი გია ლომიძე გამოცხადდა დათქმულ დროს. ბატონ გიას შეუთავაზებია, ფული უკვე ჩამოვიდა და ნაწილობრივ დავარიგებთო, მაგრამ ფეხბურთელები მაგრად დამდგარან, არავითარი ნაწილობრივ, რაც გვეკუთვნის, უკლებლივ გადაგვიხადეთო. ბოლოს კატეგორიულად განუცხადებიათ, თუ უფროსობისა და ფედერაციის შეხვედრა მოხდება, მას აუცილებლად მთელი გუნდი უნდა დაესწროსო. ჯერჯერობით კი ასე შეთანხმდნენ:

დღეს, საღამოს 5 საათზე, კლუბმა სრულად უნდა გაისტუმროს დავალიანება, თანაც ფედერაციისთვის პირობაც მიუციათ, რომ ხელმძღვანელობა ფეხბუთელებთა შეხვედას უკლებლივ დაესწრება.

გია ლომიძე გუშინდელ კრებაზე გუნდს დაჰპირებია, ფულს ხვალ დაარიგებენ (ესე იგი დღეს), მომავალში რა იქნება, არ ვიცი, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ ავიღებო.

ერთი სიტყვით, ასეა. გუნდი თავისაზე კლუბის მეპატრონენი კი თავისაზე დგანან...

— თუ არ სურთ, გუნდი ჰყავდეთ, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა გადადგნენ. საცოდაობაა ამ გუნდის დაშლა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ გვინახავს, რომ გუნდს ძალით შლიდნენ — ამბობენ არმიელები.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ჩალაძემ რიგის პოლიცია გაანადგურა

ლატვიის ჩემპიონატის ლიდერმა რიგის „სკონტომ“ ეროვნული რეკორდი დაამყარა — 12 უპასუხო გოლი გაუტანა სტუმრად რიგელ პოლიციელთა გუნდს.

სამართალდამცველთა რბევაში თავი განსაკუთრებით ქართველმა დავით ჩალაძემ გამოიჩინა, მან ექვსჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

ამ გამარჯვებამ „სკონტოს“ საშუალება მისცა, 5 ქულით გადაესწრო მეორე ადგილზე მყოფ „მეტალურგისთვის“, თანაც რიგელებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

**სიმონ მენაბდე**

## ინგლისი

# ჩელსი ევროპის ჩემპიონს ანადგურებს

IX ტური

**ნიუკასლი 2:1 მიდლსბრო**

1:0, 2:0 შირერი (17, 44), 2:1 დინი (89)
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, დაბიზასი, გომა, დომი, დაიერი, ლი, სპიდი, სოლანო (გლასი 88), შირერი, გალახერი (რობინსონი 83)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, პალისტერი (ვიკერსი 9), კუპერი, ციგე, მასტო, ინსი, ონილი, დინი, ჟუნინიო (კემპბელი 45)
გაფრთხილება: დაბიზასი, გომა, კუპერი, ფესტა, ფლემინგი
მსაჯი: ს. ლოჯი

**ტოტენჰემი 2:3 ლესტერი**

0:1 იზეტი (25პ), 1:1, 2:1 ივერსენი (26, 35), 2:2 იზეტი (69), 2:3 ტაგარტი (76)
ტოტენჰემი: უოლკერი, ქარი, პერი, იანგი (ვეგა 72), ტარიკო, ლეონარდსენი, შერვუდი, ფროინდი, ჟინოლა (ნილსენი 71), ივერსენი, არმსტრონგი
ლესტერი: ფლაუერსი, გილკირსტი (მარშალი 67), ელიოტი, ტაგარტი, იმპი, სევიჯი, ლენონი, იზეტი, გაპი, ჰესკი, კოტი
გაფრთხილება: ლეონარდსენი, შერვუდი, ნილსენი, ლენონი
მსაჯი: ჯ. ბარბერი

**ჩელსი 5:0 მანჩესტერი**

1:0 პოიეტი (1), 2:0 სატონი (16), 3:0 პოიეტი (54), 4:0 ბერგი (59ს.კ.), 5:0 მორისი (81)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ჰოგი, ლებეფი, ბაბაიარო, პეტრესკუ (ლე სო 77), უაიზი (მორისი 65), დეშამპი, პოიეტი, სატონი, ძოლა (ფლო 69)
მანჩესტერი: ტაიბი, ირვინი, ბერგი, სტამი, სილვესტრე, ბექემი (სოლსკიაერი 65), ბათი, სქოულზი (შერინგემი 65), ნევილი, იორკი, კოული (უილსონი 65)
გაფრთხილება: უაიზი, დეშამპი, სქოულზი
გაძევება: ბათი (23)
მსაჯი: დ. გალაჰერი

**ევერტონი 1:1 ქოვენთრი**

1:0 ჯეფერსი (2), 1:1 მაკალისტერი (11)
ევერტონი: ჟერარდი, გაფი, ვეირი, დანი (ჯემილი 84), ბოლი, ბარმბი (კადამარტერი 46), კოლინზი, პაჩისონი, შავიერი, კემპბელი, ჯეფერსი
ქოვენთრი: ჰედმანი, ედუორთი, შოუ, კონიჩი (უილიამსი 57), კინი, პალმერი, ჩიპო, მაკალისტერი, ტელფერი, ჰალი, ჰაჯი
გაფრთხილება: დანი, ედუორთი, ჰოლი
მსაჯი: ნ. ბერი

**შეფილდი 5:1 უიმბლდონი**

1:0 იონკი (9), 1:1 ჰარტსონი (14), 2:1 დე ბილდე (23), 3:1 რუდი (70), 4:1 დე ბილდე (82), 5:1 სიბონი (90)
შეფილდი: სრნიჩეკი, ათერტონი, ტომი, უოლკერი, ნოლანი, რუდი, ალექსანდერსონი, იონკი, სონერი (დონელი 84), ბუთი (სიბონი 88), დე ბილდე
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ტეჩერი, ბლექუელი, ანდერსენი (კიმბლი 35), რობერტსი (ლიბერნი 74), ბადირი (ირლი 56), იუელი, გეილი, კორტი, ჰარტსონი
მსაჯი: პ. დარკინი

**უოტფორდი 1:2 ლიდსი**

1:0 უილიამსი (42), 1:1 ბრიჯესი (45), 1:2 კიუელი (70)
უოტფორდი: ჩემბერლენი, ლაიტლი (გიბსი 45), პეიჯი, უილიამსი, რობინსონი, ჰიდი, პალმერი, კენედი (ისტონი 80), ნგონგე, ფოლი (მილერი 69), ვუტერი
ლიდსი: მარტინი, კელი, ბეტი, ვუდგეიტი, ჰარტი, რადებე (მილსი 42), ბაკე, ჰოპკინი (ჰოლანდი 86), კიუელი, ბრიჯესი (ჰაკერბი 69), სმიტი
გაფრთხილება: რობინსონი, პეიჯი, ჰარტი
მსაჯი: ა. დურსო

**ბრედფორდი 0:4 სანდერლენდი**

0:1 რაე (17), 0:2 ქუინი (68), 0:3, 0:4 ფილიპსი (88, 90)
ბრედფორდი: უოლში, ჰალე, ვეზერალი, ობრაიენი, მაიერსი, ბლეიკი, მაკოლი, უინდესი, ბიგრი, მილსი, სონდერსი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბოულდი, ბატლერი, გრეი, სამერბი, რაე (უილიამსი 73), მაკანი (როი 61), შვარცი, ქუინი (დიკიო 86), ფილიპსი
გაფრთხილება: ბიგრი, უინდესი, რაე, სამერბი, მაკანი, მაკინი
მსაჯი: ს. ბენეტი

**ასტონ ვილა 0:0 ლივერპული**

ასტონ ვილა: ენკელმანი, დილანი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბარი, ბოატენგი (მერსონი 67), ტეილორი, ჰენდრი (სტოუნი 80), ტომპსონი, დაბლინი, იოაკიმი
ლივერპული: ვესტერვილდი, სონგი, ჰიიპია, ენჩოსი, სტონტონი, შმიცერი (ჟერარდი 32), ჰამანი (კარაგერი 76), რედნეპი, ბერგერი, მაიერი, ოუენი (კამარა 81)
გაფრთხილება: ბოატენგი, ტომპსონი, ბარი, ჰიიპია, რედნეპი, ენჩოსი, ჰამანი, მაიერი, კამარა
გაძევება: სტონტონი (31)
მსაჯი: რ. ჰარისი

**ვესტ ჰემი 2:1 არსენალი**

1:0, 2:0 დი კანიო (29, 72), 2:1 შუკერი (77)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, [illegible], ფერდინანდი, [illegible], სინკლერი, ლომასი, ლამპარდი, ფოე, მანკური (მარგასი 87), დი კანიო, ვანჩოპე (კიტსონი 80)
არსენალი: სიმენი, ლუჟნი (ოვერმარსი 72), კიოუნი, ადამსი, სილვინიო, ანრი (კანუ 72), ვიეირა, გრიმანდი, ლიუნგბერგი, შუკერი, ბერხკამპი
გაფრთხილება: ვანჩოპე, ლომასი, მანკური, კოე, ბერხკამპი, კიოუნი, ანრი, გრიმანდი
გაძევება: ვიეირა (84)
მსაჯი: მ. რიდი

**საუთჰემპტონი 3:3 დერბი**

0:1 დილეპი (21), 1:1 პახარსი (22), 2:1 ოკლი (35), 3:1 რიპლი (66), 3:2 ლაურსენი (75), 3:3 ბეკი (90)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ბენალი, ოკლი, რიჩარდსი, ჰაილი, რიპლი, ჰიუზი, პახარსი, ლე ტისიე (ბიტი 78), კჰლუოლი (მორტი 89)
დერბი: ჰოულტი, კარბონარი (ჰარპერი 56), შნური, პაუელი, დორიგო, იონსონი, სტარიჯი, დილეპი, ლაურსენი (ბორბოკისი 82), პრაიორი, ფუერტესი (ბეკი 52)
გაფრთხილება: ჰიუზი, პრაიორი, ლაურსენი, შნური, ჰოულტი, პაუელი, იონსონი
მსაჯი: გ. პოლი

„სტემფორდ ბრიჯზე" დატრიალებული ამბების შემდეგ გაირკვა, რომ პრემიერლიგას ახალი ლიდერი ჰყავს — „ლიდს იუნაიტედი". „ლიდსმა" მაიკლ ბრიჯესისა და ჰარი კიოუელის გოლების წყალობით უოტფორდში მოიგო და „მანჩესტერ იუნაიტედს" ქულით გადაუსწრო. ფერგიუსონის გუნდის დამანგრეველ „ჩელსის" მხოლოდ მეოთხე საფეხური უჭირავს, მაგრამ დასავლეთ ლონდონელთა ტაქტიკიდან და თამაშის დონიდან გამომდინარე, ორი გამოტოვებული თამაში სულაც არ გულისხმობს მხოლოდ ორ ქულას და ამიტომ „ჩელსი" პოტენციურ ლიდერად უნდა მივიჩნიოთ.

„მანჩესტერისთვის" გადასწრება შეეძლო „არსენალსაც", რომელიც „აპტონ პარკზე" ბოლო ხანს ფეხათრეული „ვესტ ჰემის" დამარცხების შემთხვევაში „ლიდსს" ამოუდგებოდა მხარში. მაგრამ მეთოფეებმა ქულაც ვერ წამოიღეს ისტენდიდან.

პაოლო დი კანიომ ორჯერ გაუტანა სტუმრებს. დავორ შუკერის ერთადერთი გვიანი საპასუხო უკანმოუხედავი, შტურმისაკენ უბიძგებდა მეთოფეებს, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთი რჩებოდა, უკვე მერამდენედ ვერ მოითმინა პატრიკ ვიეირამ და წითელი ბარათით დასჯილი გავიდა მოედნიდან.

ამან საშუალება მისცა წინა დღით ბრედფორდის მძლეველ „სანდერლენდს" მესამე ადგილი დაეჭირა. სანდერლენდელთა ოთხი მშრალი გოლიდან ორი კევინ ფილიპსმა გაიტანა და ათი ბურთით მეგოლეთა სიას მოექცა სათავეში. თუმცა, მხოლოდ ერთი დღით. კვირას „ნიუკასლმა" 2:1 მოუგო „მიდლსბროს" და გამარჯვებულთაგან ორივე გოლი... სწორია, სწორი. ადვილი მისახვედრია, ვინც გაიტანდა. ასე რომ, ახლა ალან შირერსაც ათი ბურთი აქვს ანგარიშზე.

თუმცა, ეს ყველაფერი, რომ აღარ ვახსენოთ „ლესტერის" მიერ „ტოტენჰემის" ძლევა მაზი იზეტის ასევე ორი ბურთით და გერი ტაგარტის ნაჯაფარი გოლით; ან კიდევ ბედკრული „უენსდის" პირველი გამარჯვება და მის ბენილუქსელ მოთამაშეთა გამოღვიძება; ეს ყველაფერი, დიდად არაფრად სჩანს „სტემფორდ ბრიჯზე" დატრიალებულ ამბავთან.

„მანჩესტერ იუნაიტედის" 0:5 სამი წელიწადი იყო არ წაეგო (მაშინ ეს საქმე კიგანის „ნიუკასლმა" დამართა) და პრემიერლიგაშიც არ წაეგო გასული წლის 19 დეკემბრის შემდეგ (ეს კი „მიდლსბრომ" მოახერხა „ოლდ ტრეფორდზე"). და ჰა, რაკილა მოხერხდა ეს საქმე, თანაც, არა უბრალოდ წაგებით, არამედ ჩემპიონთა სრული განადგურებით, ინგლისში ძალიან ბევრმა გაიხარა. ხარობდნენ არა მხოლოდ „სტემფორდ ბრიჯზე", არამედ ლამის ყველგან — როგორც იქნა აღსრულდაო, ყველას განადგურება შეიძლებაო.

დიახაც, ასე იყო. ჯანლუკა ვიალის საუკეთესო სამწვრთნელო მატჩი დიდხანს ემახსოვრება ყველას. ვიალის კი გვერდით ედგა მისი თანაშემწე, გრემ რიქსი, რომელიც ორიოდ დღის წინათ გამოსულიყო ციხიდან, სადაც არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირისთვის გაეტარებინა ზაფხული. რიქსი თილისმასავით დაუბრუნდა „სტემფორდ ბრიჯს", დიდი იღბალი დააბრუნა სტადიონზე. აი, სერ ალექსი კი ჯიუტად იდგა პირველ ტაიმში მოვარდნილი თქეშის ქვეშ და საკლუბო კოსტუმი დასველებოდა. როცა წვიმა წამოვიდა, თამაშის მთავარი მოვლენები უკვე მომხდარიყო.

მე თუ მკითხავთ „ჩელსის" ფიჭურ ყაიდაზე აწყობილი განლაგება „მანჩესტერ იუნაიტედის" დაჯაბნევის პირველი ფაქტორი იყო. მეორე ფაქტორი ალბერტ ფერერის ორი (პირველ ტაიმში ხუთჯერ ჩააწოდა და ხუთივე სახიფათოდ) ჩაკიდება იყო მარჯვენა ფრთიდან, რომლებსაც გუსტავო პოიეტმა და კრის სატონმა დაუხვედრეს თავები, დენის ირვინი და ჰენინგ ბერგი კი სადღაც გაუჩინარდნენ.

უკვე მეორე კვირაა ინგლისური ფეხბურთის ულმობელ სინამდვილესთან შეჯახებას ვერ უძლებს მასიმო ტაიბი. დევიდ ბექემი მგონი საერთოდ არ იყო „სტემფორდ ბრიჯზე", პოლ სქოულზი კი წიხლებს იქნევდა.

თამაში საბოლოოდ დასრულდა 23-ე წუთზე, როცა „მანჩესტერის" წამხდარ ნახევარდაცვას საყრდენი გამოეცალა. ლონდონელთა კაპიტანმა დენის უაიზმა ბრუს ლის ყაიდაზე გაიბრძოლა ბურთისთვის და ნიკი ბათს ლამის გულისფიცარი და ყბა შეუნგრია. ორივენი წაიქცნენ და ბუცგამძვრალმა უაიზმა ზემოდანაც კარგა მაღლიანად დააგინა ბათს. ამანაც, წამოდგნენ, თუ არა, ხურდა დაუბრუნა — მუხლი ფერდში ამოსცხო უაიზს, რომელიც ისე გაკოტრიალდა, რომ ნაღდად ნანახი ჰქონდა ინგლის-არგენტინის ბოლო შეხვედრა. მსაჯმა დერმოტ გალაჰერმა ბარათები ამოალაგა: უაიზს ყვითელი, ბათს წითელი.



ჩელსი — მანჩესტერი 5:0. გუსტავო პოიეტმა უკვე 28-ე წამზე დაიწყო მანჩესტერის განადგურება

REUTERS ლონდონიდან

თამაშიც აქ დამთავრდა. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. ტექნიკა „ჩელსის" იმდენი აქვს, რომ უპროცენტოდ გასესხებაც შეუძლია. და რა თქმა უნდა, ბერგი. მას რომ არ გაეტანა, სენსაცია იქნებოდა. ბერგი მეთოდურად მიდიოდა ამ გოლისკენ. ჯერ კიდევ გასული ოთხშაბათიდან.

დაძმარებული ფერგიუსონი იდგა და იმახსოვრებდა. მისი გუნდის გასამართლებლად შეიძლება ჩამოვთვალოთ ტრავმები, რომლებმაც დატანჯეს კაპიტანი კინი, გარი ნევილი, რაიან გიგზი და რონი იონსენი. ასევე, ტაიბის პრობლემები დაცვასთან ლაპარაკისას, ასევე ის, რომ მანჩესტერელთა დაცვას ამ სეზონში არცერთხელ არ უთამაშია ერთნაირი შემადგენლობით, ასევე, გადაღლილობა და რამდენიმე გახსნილი ფრონტი.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონმა 0:5 უნდა წააგოს.

„ჩელსი" კი ბრწყინვალე იყო. უფერული სამი კვირის და ვიალის გადაყენების შესახებ ატეხილი ხმაურის შემდეგ, გაირკვა: ჯანლუკას არავინ გაუშვებს. თან — რიქსიც დროზე წამოეშველა. რიქსი კი ყოველთვის ავტორიტეტი იყო „ჩელსიში".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლიდსი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:12 | 7 | 22 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 10 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:7 | 4 | 12 |
| 2 მანჩესტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 23:15 | 8 | 21 | 5 | 3 | 2 | 0 | 15:5 | 10 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:10 | -2 | 10 |
| 3 სანდერლენდი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:8 | 10 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 5 | 11 | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 9 |
| 4 ჩელსი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:3 | 12 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:0 | 11 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 5 არსენალი | 10 | 6 | 1 | 3 | 13:9 | 4 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 7 |
| 6 ევერტონი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:10 | 6 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 6 |
| 7 ლესტერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:13 | 4 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 |
| 8 ასტონ ვილა | 10 | 5 | 2 | 3 | 11:9 | 2 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 6 |
| 9 ვესტ ჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 4 |
| 10 ტოტენჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:14 | 2 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 12:10 | 2 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 11 მიდლსბრო | 10 | 4 | 0 | 6 | 11:15 | -4 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 6 |
| 12 ლივერპული | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 0 | 11 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:5 | -1 | 3 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 |
| 13 საუთჰემპტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:19 | -3 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:10 | -3 | 4 |
| 14 ქოვენთრი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 0 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | -2 | 3 |
| 15 უოტფორდი | 10 | 3 | 0 | 7 | 6:11 | -5 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 1:5 | -4 | 3 |
| 16 დერბი ქაუნთი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:18 | -8 | 9 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | -8 | 3 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 |
| 17 უიმბლდონი | 10 | 1 | 5 | 4 | 14:23 | -9 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:15 | -7 | 5 |
| 18 ბრედფორდი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 8 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | -7 | 2 | 5 | 2 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 6 |
| 19 ნიუკასლი | 10 | 2 | 1 | 7 | 20:23 | -3 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 14:7 | 7 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 6:16 | -10 | 0 |
| 20 შეფილდ უენსდი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:25 | -17 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 7:9 | -2 | 3 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:16 | -15 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 10 |
| შირერი (ნიუკასლი) | 10 |
| იორკი (მანჩესტერი) | 7 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 7 |
| იზეტი (ლესტერი) | 7 |

X ტური

16 ოქტომბერი
არსენალი — ევერტონი
ქოვენთრი — ნიუკასლი
დერბი — ტოტენჰემი
ლიდსი — შეფილდი
ლესტერი — საუთჰემპტონი
ლივერპული — ჩელსი
მანჩესტერი — უოტფორდი
უიმბლდონი — ბრედფორდი
17 ოქტომბერი
მიდლსბრო — ვესტ ჰემი
18 ოქტომბერი
სანდერლენდი — ასტონ ვილა

## პირველი დივიზიონი

IX ტური

**ქრიუ 0:2 ტრანმერი**

0:1, 0:2 ელისონი (74, 85)

**ვულვზი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 აკინბი (41), 1:1 კარბონი (76)

**ჩარლტონი 1:0 ბირმინგემი**

1:0 შილდსი (27)

**კრისტალ პალასი 4:0 პორტსმუთი**

1:0 სვენსონი (20), 2:0 კარლისლი (59), 3:0 ჟაი (63), 4:0 მალინსი (90)

**გრიმსბი 2:1 იფსვიჩი**

1:0 დონოვანი (39), 1:1 მეგილტონი (54), 2:1 ეშკროფტი (56)

**ჰადერსფილდი 4:1 შეფილდ იუნ.**

1:0 ბიჩი (14), 2:0 ვინჰარდი (28), 2:1 მერფი (49), 3:1, 4:1 სტიუარტი (57, 90)

**სიტი 2:1 პორტ ვეილი**

1:0, 2:0 ბიშოპი (30, 36), 2:1 ფოილი (63)

**ნორვიჩი 1:2 ფულემი**

1:0 ფორბესი (29), 1:1 რიდლე (73), 1:2 ჰეილსი (88)

**ქუინზ პარკი 0:0 ბლექბერნი**

**სუინდონი 0:4 ბოლტონი**

0:1 კოქსი (9), 0:2 ჰოლდსუორთი (22), 0:3 გარდნერი (26), 0:4 ელიოტი (43)

**უოლსოლი 1:2 სტოკპორტი**

0:1, 0:2 დაინიგი (32პ, 46), 1:2 რიკეტსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:7 | 19 |
| სიტი | 10 | 6 | 1 | 3 | 14:6 | 19 |
| ფულემი | 9 | 5 | 4 | 0 | 13:5 | 19 |
| ბირმინგემი | 10 | 5 | 3 | 2 | 19:12 | 18 |
| იფსვიჩი | 9 | 5 | 2 | 2 | 20:10 | 17 |
| ჰადერსფილდი | 9 | 5 | 1 | 3 | 19:12 | 16 |
| ბარნსლი | 9 | 5 | 1 | 3 | 23:18 | 16 |
| სტოკპორტი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:12 | 16 |
| გრიმსბი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:13 | 14 |
| ბოლტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:12 | 12 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:9 | 12 |
| კრ. პალასი | 10 | 3 | 3 | 4 | 16:18 | 12 |
| ნორვიჩი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:14 | 12 |
| პორტსმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:16 | 12 |
| შეფილდ იუნ. | 9 | 3 | 2 | 4 | 14:19 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 1 | 7 | 0 | 8:7 | 10 |
| ნოტინგემი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:12 | 10 |
| პორტვეილი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:15 | 10 |
| ქუინზ პარკი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 9 |
| ვულვერჰემპტონი | 9 | 1 | 5 | 3 | 7:11 | 8 |
| ქრიუ | 8 | 2 | 2 | 4 | 10:16 | 8 |
| ტრანმერი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:17 | 8 |
| სუინდონი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:17 | 8 |
| უოლსოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:18 | 6 |

## მეორე დივიზიონი

X ტური. კოლჩესტერი — რექსემი 2:0; როვერსი — ბლეკპული 3:1; ბარნლი — ბრენტფორდი 2:2; ბერი — კარდიფი 3:2; ჩესტერფილდი — ბორნმუთი 0:1; ჯილინგემი — მილუოლი 2:0; ოლდემი — ნოტსი 1:2; ოქსფორდი — ბრისტოლი 3:0; პრესტონი — კემბრიჯი 2:1; სტოკი — სკანთორპი 1:0; უიგანი — ლუტონი 1:0; უიკომბი — რედინგი 5:3

## მესამე დივიზიონი

X ტური. ბარნეტი — ჰალი 0:0; კარლაისლი — საუთენდი 1:1; ჩელტენემი — როტერჰემი 0:2; ჰარტლპული — დარლინგტონი 2:0; ლინკოლნი — ექსეტერი 1:0; მაკლსფილდი — ტორკი 1:2; ნორთჰემპტონი — როჩდეილი 0:1; პიტერბრო — ბრაიტონი 0:0; პლიმუთი — ლეიტონი 5:0; შრიუსბერი — ჰალიფაქსი 0:0; სუონსი — მენსფილდი 0:1; იორკი — ჩესტერი 2:2





სარბიელი

## გერმანია

### VII ტური

**ფრაიბურგი 2:1 ვერდერი**

1:0 ცაიერი (33), 1:1 ბოგდანოვიჩი (59), 2:1 სელიმი (63)
სელიმიმ ვერ გაიტანა პენალტი (83)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, ჰერმელი, კოლი (მიულერი 84), კონდე, გიუნეში (ვაისჰაუპტი 62), ბაია, ცაიერი, ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ბენ სლიმანი 42), სელიმი
ვერდერი: ფ. როსტი, როემბიაკი (დაბროვსკი 46), ფ. ბაუმანი, ვიკი, ვიდნერი (ჰერცოგი 65), ფრინგსი, აილტსი, მაქსიმოვი (აილტონი 78), ბოდე, პიზარო, ბოგდანოვიჩი
გაფრთხილება: ბაია, ბენ სლიმანი, შუმანი, ბაუმანი, როსტი, მაქსიმოვი, როემბიაკი, ვიკი
მსაჯი: ვაკი

**შალკე 1:1 ბაიერნი**

1:0 ვილმოტსი (52), 1:1 ეფენბერგი (90)
შალკე: შობერი, ტონი, აიგენრაუხი, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, კამპუისი, ალპუგანი, ნემეცი (ბიუსკენსი 86), ვილმოტსი, სანდი (გუსენსი 90), ასამოა
ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი (იერემისი 46), კუფური, ვისინგერი (შოლი 68), ეფენბერგი, ფინკი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, იანკერი, სანტა კრუზი (ელბერი 68)
გაფრთხილება: სანდი, ნემეცი, მათეუსი, ლიზარაზუ, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, კუფური
გაძევება: კუფური (80)
მსაჯი: შტრამპე

**დორტმუნდი 3:0 ჰანზა**

1:0 იკპება (56), 2:0 რეინა (64), 3:0 იკპება (88)
დორტმუნდი: ლემანი, ნიეგუსი, როიტერი, კოლერი, ევანილსონი, რიკენი (ვ. ბუტი 78), ნერლინგერი (მიოლერი 46), დედე, იკპება, რეინა, ადო (ფაიერზინგერი 83)
ჰანზა: ბროიტიგამი, ელერსი, ჰოლეჩეკი, ოსვალდი, ლანგე (ტილემანი 85), ვიბრანი, იასერი, ვაილანდტი, ემარა, არვიდსონი (განსაუგე 50), მაიაკი (აჰანფუფი 17)
გაფრთხილება: ნერლინგერი, ადო, ოსვალდი
გაძევება: ოსვალდი (49)
მსაჯი: ცერი

**ვოლფსბურგი 3:1 ლევერკუზენი**

1:0 აკპობორი (35), 2:0 სებესკენი (47), 3:0 იუსკოვიაკი (55), 3:1 ბაინლიხი (81)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი, ონილი, ტომსენი, კრიგერი, სებესკენი (დამაიერი 84), მალტრიცი, მუნტიანუ, ვაიზერი, იუსკოვიაკი (ფელდჰოფი 78), აკპობორი (ვუკი 88)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი (ჰეიდუკი 46), ნოვოტნი, ჰაპე (მამიჩი 67), რეები, შნაიდერი (პონტე 67), ემერსონი, რამელო, ბაინლიხი, ნოივილი, კირსტენი
გაფრთხილება: კრიგერი, ჰაპე
მსაჯი: კრუგი

**ლაუტერნი 4:2 უნტერჰახინგი**

0:1 ზაიტცი (14), 1:1 სფორცა (21), 2:1 კოხი (60), 3:1 ჯორკაეფი (66), 3:2 ზაიტცი (68), 4:2 ჯორკაიფი (83)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, კოხი, შიონბერგი, როოსი, რატინიო (კომლიენოვიჩი 89), სფორცა, შტრასერი, ვაგნერი (რაიხი 46), მარშალი (რიშე 85), ჯორკაეფი
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი (ზაიფერტი 79), ჰაბერი, მატიას ციმერმანი, შვარცი, კიოგლი, შტრაუბე, გრასოვი, ობერლაიტნერი, ზაიტცი, რაკლი (გარსია 72)
გაფრთხილება: რაკლი, ზაიტცი
მსაჯი: ვაგნერი

**მიუნხენი 5:0 არმინია**

1:0 მაქსი (22), 2:0 ჰესლერი (61), 3:0 მაქსი (67პ), 4:0 ტაისი (71), 5:0 აგოსტინო (89)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, პასლაკი, ვანენბურგი, კურცი (ტაპალოვიჩი 77), ჩერნი, რიდლი, ჰესლერი, ტაისი, პიურკი (ჩიჟეკი 68), შროტი (აგოსტინო 74), მაქსი
არმინია: კოხი, პიტერსი, შტრატოსი, კლიცპერა, რიდლევიჩი (ბიომე 65), მაისნერი (ვატერინკი 68), ჰოფშნაიდერი, ვაისენბერგერი, მაული (ბოდე 32), ლაბადია, ვან დერ ვენი
გაფრთხილება: კოხი, მაისნერი, ჰოფშნაიდერი
გაძევება: ვან დერ ვენი (28)
მსაჯი: ვაინერი

**ჰერტა 2:1 დუისბურგი**

0:1 შპისი (51), 1:1, 2:1 პრეეცი (66, 69)
ჰერტა: კირალი, ჰელმერი, ჰერცოგი, შმიდტი, დაისლერი, დარდაი, ვოში (სვერისონი 83), მიხალკე, სანე (როი 46, ვან ბურიკი 87), პრეეცი, დაეი
დუისბურგი: მენგერი, ჰაიტო, ემერლინგი, ვოლერტი, შნაიდერი, ცაიერი (ვედაუ 70), ოსტჰოფი, ტიოფტინგი (ბუგერა 76), ჰირში, შპისი, ბაიერლე
გაფრთხილება: ჰაიტო, ვოლერტი
გაძევება: ვოლერტი (90)
მსაჯი: ბუხჰარტი

**ულმი 1:2 ჰამბურგი**

1:0 ტრკულია (74), 1:1 ჰოოგმა (86), 1:2 იებოა (90)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, შტადლერი, კინკელი, შარინგერი, ოტო, გორა, უნზოლდი (როსლერი 69), პლოილერი (ტრკულია 60), ზდრილიჩი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი (გრუბაჩი 78), ჰოოგმა, პანადიჩი, ერნსტი, კოვაჩი, კარდოზო, ჰოლერბახი (გრამოცისი 58), მაჰდავიკია (დოლი 58), იებოა, პრეგერი
გაფრთხილება: ბოდოგი, პანადიჩი, კარდოზო, მაჰდავიკია, კოვაჩი
მსაჯი: აუსტი

**აინტრახტი 0:1 შტუტგარტი**

0:1 ბალაკოვი (47)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი (ჰელდტი 80), ბინდევალდი (დომბი 56), კრახტი, კუჩერა, გუიე-მიენი, ვებერი, ფალკი, გებჰარტი, ფიორტოფტი (ვესტერტალერი 80), სალუ
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი (კატიზონე 80), ტოდტი (ბორდონი 46), ბერთოლდი, კელერი, პინტო (შნაიდერი 82), ლისტეში, სოლდო, ბალაკოვი, გერბერი, განეა
გაფრთხილება: ფალკი, კელერი
გაძევება: კელერი (75)
მსაჯი: შტაინბორნი



REUTERS გელზენკირხენიდან

შალკე — ბაიერნი 1:1. შალკელი მარკ ვილმოტსის (№24) ამ დარტყმას ოლივერ კანი ვერ აღუდგა

# ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ფრაიბურგმა" კვირას „ვერდერს" მოუგო და მეოთხე ადგილამდე აღზევდა. ეს ფრაიბურგელებისთვის ზედიზედ მესამე საშინაო გამარჯვება გახლდათ.

„ვერდერის" წინააღმდეგ ქართველთაგან იაშვილმა და კობიაშვილმა ითამაშეს. იაშვილს, მოგეხსენებათ, ტრავმა ახალმოშუშებული აქვს და ჯერაც არაა სასურველ ფორმაში. ალბათ, ამის ბრალიც იყო, მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ 42-ე წუთზე რომ შეცვალა. კობიაშვილმა კი მთელი შეხვედრა შეუცვლელად ითამაშა. ცქიტიშვილის უთამაშებლობის მიზეზი კი ტრავმა გახლდათ.

მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა საგოლე მომენტები ორივე გუნდს საკმაო ჰქონდა, საბოლოოდ კი „ფრაიბურგს" გაუმართლა. ცაიერისა და სელიმის ორ გოლს სტუმრებმა ერთი, მაგრამ ლამაზი გოლით უპასუხეს. 83-ე წუთზე „ფრაიბურგს" მესამე ბურთის გატანის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ სელიმიმ პენალტი, რა თქმა უნდა, ვერ გამოიყენა. ცნობისთვის: ფრაიბურგელთა სასარგებლოდ განვლილ შვიდ ტურში ექვსი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, თუმცა მათ მხოლოდ ორი გაიტანეს.

კიდევ ერთი დეტალი. „ფრაიბურგმა" ყველა მატჩში შეძლო გოლის გატანა, თანაც ანგარიშს ყოველთვის თავად ხსნიდა. თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ან განმტკიცება მხოლოდ სამჯერ მოახერხა.

გელზენკირხენში სტუმრობის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულით გაზარდა ქულათა მარაგი მიუნხენის „ბაიერნმა". სავსებით შესაძლებელი გახლდათ, „ბაიერნი" მიუნხენში სულაც ხელცარიელი დაბრუნებულიყო, მაგრამ, პირველი ტურის მსგავსად, ბავარიელებს მხსნელად კვლავაც კაპიტანი შტეფან ეფენბერგი მოევლინათ, რომელმაც 90-ე წუთზე ვილმოტსის გოლი გაქვითა და საზეიმოდ გამზადებული 62 ათასზე მეტი ქომაგი დაამწუხრა. არადა, ამ დროს „ბაიერნი" კუფურის გაძევების გამო რიცხობრივ უმცირესობაში იმყოფებოდა.

„ჩვენ ამ მატჩის მოგება გვმართებდა, მაგრამ შეცდომები დავუშვით. 1:0-ის შემდეგ ბიჭები შეტევაზე აღარც ფიქრობდნენ. მიუხედავად ამისა, მთელი გუნდის მიმართ კარგის მეტი არაფერი მეთქმის" — განაცხადა შეხვედრის შემდეგ „შალკეს" მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა. მისმა კოლეგა ოტმარ ჰიცფელდმა კი ყველაფერი ტრავმებს დააბრალა, ფეხბურთელები ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდნენო. სხვათა შორის, ამ მიზეზით მიუნხენელებს ძირითადში შოლი, ელბერი, იერემისი, ტარნატი და ლინკე არ ჰყავდათ.

ამასობაში კი დორტმუნდის „ბორუსიამ" „ლევერკუზენის" მარცხით ისარგებლა და „ჰანზასთან" მოგების შემდეგ ბუნდესლიგის სათავეში მოექცა, ეს კი ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად მოხდა. დორტმუნდელთა გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა 49-ე წუთზე „ჰანზას" მცველის, კაი ოსვალდის გაძევებამ. სწორედ ამის შემდეგ გავიდა სტუმართა კარში სამი გოლი. „დორტმუნდის" ლიდერობა კი დაშავებული ბობიჩის არყოფნაში ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ იტვირთა, რომელმაც პირველი და მესამე ბურთები გაიტანა. მის გოლებს შორის ჯუზეპე რეინამ გამოიჩინა თავი. მან 64-ე წუთზე ლამაზი სოლო-რეიდი განახორციელა და „ჰანზას" მეკარე ბროიტიგამს აუღელვებლად გაუტანა.

ჩემპიონთა ლიგით გადაღლილმა „ლევერკუზენმა" მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი იწვნია. „ლევერკუზენი" „ვოლფსბურგთან" გასვლით მატჩში ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამან თამაშის მოგებას არ იკმარა. შეხვედრის დებიუტშივე გუნდებმა საგოლე მომენტები გაცვალეს. აკპობორის სახიფათო დარტყმას ნოივილმაც იმავეთი უპასუხა, თუმცა ორივე შემთხვევაში მეკარეებმა იმარჯვეს. 28-ე წუთზე სტუმრებმა კიდევ ერთი მწვავე მომენტი შექმნეს, მაგრამ იმავე ნოივილს კვლავ რაიტმაიერმა აუღო. ანგარიში 35-ე წუთზე გაიხსნა. მუნტეანუს გარჯა აკპობორიმ წყალში არ ჩაყარა და მასპინძლები დააწინაურა. მეორე ტაიმის დასაწყისში ასისტენტობა თავად აკპობორიმ იკისრა — მისი პასით სებესკენმა მეორე გოლი გაუტანა მატიშეკს, რასაც 55-ე წუთზე იუსკოვიაკმა მესამე მიაყოლა და ანგარიშიც „ლევერკუზენისთვის" კატასტროფული გახდა. 72-ე წუთზე სტუმრები ათნი დარჩნენ მინდორზე. იენს ნოვოტნი დაშავდა და თამაში ველარ გააგრძელა, არადა, კრისტოფ დაუმს თამაშის ხსნის იმედით სამი შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდა. თამაშის მიწურულს ბაინლიხმა ჯარიმიდან ჩინებული დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა და თავისიანები სირცხვილს გადაარჩინა — 1:3.

„მატჩის დასაწყისში კარგად ვთამაშობდით, თითქოს ჩვენი თამაშიც ვიპოვეთ, მომენტებიც შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ამიტომ ეს მარცხი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. ისე, ბოლო წუთებში ბედმა გაგვიღიმა, თორემ უფრო დიდი სხვაობით წავაგებდით — განაცხადა ნამატჩევს კრისტოფ დაუმმა.

გაიმარჯვეს „კაიზერსლაუტერნმა" და „ჰერტამ". ორივე კლუბი ჩემპიონატამდე ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ცუდი სტარტის შემდეგ ბევრმა ჩამოწერილად ჩათვალა. ხოლო ეს რომ ნაადრევია, ამ ტურმაც გვიჩვენა. „ჰერტა" 66-ე წუთამდე აგებდა, მაგრამ 69-ეზე ანგარიში უკვე 2:1 იყო მის სასარგებლოდ. საბოლოოდ თამაში ასეც დასრულდა. „ლაუტერნმა" კი „უნტერჰახინგს" ჯორკაეფის ძალისხმევით შინ 4:2 მოუგო. საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა სტუმრებს ორი გოლი გაუტანა.

„მიუნხენ 1860"-მა პარასკევს „ოლიმპიაშტადიონზე" ბუნდესლიგაში წლეულს დაბრუნებული „არმინია" გამოიჭირა და საშინელ დღეში ჩააგდო. სტუმართა გოლკიპერის — კოხის ცოდვა ორჯერ მაქსმა, ერთხელაც ჰესლერმა, ტაისმა და აგოსტინომ დაიდეს.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ | 7 | 5 | 1 | 1 | 11:3 | 8 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 |
| 2 | ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ | 7 | 4 | 2 | 1 | 17:9 | 8 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 |
| 3 | ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘ | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 5 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 5 |
| 4 | ᲤᲠᲐᲘᲑᲣᲠᲒᲘ | 7 | 3 | 2 | 2 | 15:8 | 7 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 5 | ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 7 |
| 6 | ᲕᲝᲚᲤᲡᲑᲣᲠᲒᲘ | 7 | 3 | 2 | 2 | 12:13 | -1 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:9 | 0 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 7 | ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ | 7 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 8 | ᲰᲔᲠᲢᲐ | 7 | 2 | 4 | 1 | 11:11 | 0 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 4 | 8 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:7 | -4 | 2 |
| 9 | ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲢᲘ | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 2 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 6 |
| 10 | ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ | 7 | 2 | 3 | 2 | 16:8 | 8 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 5 |
| 11 | ᲨᲐᲚᲙᲔ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 12 | ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲐ | 7 | 2 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 4 |
| 13 | ᲚᲐᲣᲢᲔᲠᲜᲘ | 7 | 3 | 0 | 4 | 10:16 | -6 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:12 | -9 | 0 |
| 14 | ᲐᲘᲜᲢᲠᲐᲮᲢᲘ | 7 | 2 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 15 | ᲣᲜᲢᲔᲠᲰᲐᲮᲘᲜᲒᲘ | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | -3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | -7 | 0 |
| 16 | ᲰᲐᲜᲖᲐ | 7 | 2 | 1 | 4 | 8:18 | -10 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | -13 | 0 |
| 17 | ᲣᲚᲛᲘ | 7 | 1 | 2 | 4 | 8:12 | -4 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 1 |
| 18 | ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ | 7 | 0 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სალუ (აინტრახტი) | 5 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 5 |
| მაქსი (მიუნხენი) | 5 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 5 |

**VIII ტური**

16 ოქტომბერი

ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ - ᲚᲐᲣᲢᲔᲠᲜᲘ
ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘ - ᲣᲚᲛᲘ
ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲐ - ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ
ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ - ᲰᲔᲠᲢᲐ
ᲣᲜᲢᲔᲠᲰᲐᲮᲘᲜᲒᲘ - ᲕᲝᲚᲤᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ - ᲤᲠᲐᲘᲑᲣᲠᲒᲘ
ᲰᲐᲜᲖᲐ - ᲐᲘᲜᲢᲠᲐᲮᲢᲘ
ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲢᲘ - ᲨᲐᲚᲙᲔ
ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ - ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ

## მეორე ბუნდესლიგა

### VII ტური

**კიოლნი 3:0 ვალდჰოფი**

1:0 ლოტნერი (20), 2:0 კურტი (45), 3:0 ტიმი (81)

**ზტ. პაული 1:1 ოფენბახი**

0:1 მაიერი (21), 1:1 კლასნიჩი (59)

**ალემანია 1:1 ფორტუნა**

0:1 შპანირი (65), 1:1 შმიდტი (82)

**კარლსრუე 1:2 მაინცი**

0:1 პოლიკელა (71), 0:2 ჰოკი (82), 1:2 კრიგი (89)

**კიკერსი 0:0 ბოხუმი**

**ფიურტი 2:0 ბერლინი**

1:0 რაიხელი (14), 2:0 ვალტერი (34)

**ობერჰაუზენი 1:1 გლადბახი**

0:1 ვან ლენტი (53), 1:1 ტობორგი (88)

**კოტბუსი 2:4 ქემნიცი**

1:0 ფრანკლინი (8), 1:1 ტეცნერი (15), 2:1 ლაბაკი (48), 2:2 იენდროსეკი (69), 2:3 მელჰორნი 73), 2:4 კუნცი (84)

**ჰანოვერი 2:0 ნიურნბერგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 7 | 4 | 3 | 0 | 9:4 | 15 |
| კიოლნი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:7 | 14 |
| ალემანია | 7 | 4 | 2 | 1 | 13:12 | 14 |
| ჰანოვერი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:9 | 13 |
| ნიურნბერგი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 13 |
| კოტბუსი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:6 | 12 |
| ბერლინი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:9 | 12 |
| ქემნიცი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| კარლსრუე | 7 | 2 | 3 | 2 | 12:11 | 9 |
| მაინცი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:9 | 9 |
| კიკერსი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:11 | 9 |
| ბოხუმი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:9 | 8 |
| გლადბახი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | 7 |
| ფორტუნა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | 7 |
| ზტ. პაული | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| ობერჰაუზენი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:13 | 5 |
| ვალდჰოფი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | 5 |
| ოფენბახი | 7 | 0 | 3 | 4 | 5:13 | 3 |

## იტალია

# შთაბეჭდილებების ცვლა სტადიო ოლიმპიკოზე

V ტური

### ლაციო 4:4 მილანი

1:0 ვერონი (17), 1:1 მიხაილოვიჩი (35 ს.კ.), 2:1 სიმეონე (36), 3:1 სალასი (38), 3:2, 3:3, 3:4 შევჩენკო (35, 57პ, 69), 4:4 სალასი (72)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (პანკარო (34), ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, კონსეისაო, სიმეონე (ს. ინძაგი 71), ალმეიდა, ვერონი, სალასი, ბოკშიჩი (მანჩინი 61)
მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, აიალა, მალდინი, გული, ალბერტინი, ამბროზინი, სერჟინიო (ნგოტი 76), ჯუნტი (ლეონარდო 71), შევჩენკო (გატუზო 86), ვეა
გაფრთხილება: ალმეიდა, მარკეჯანი, კოსტაკურტა, შევჩენკო
მსაჯი: ბიძოლი

### იუვენტუსი 1:0 ვენეცია

1:0 კონტე (90)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, მირკოვიჩი (ძამბროტა 62), ბაკინი, კონტე, ტაკინარდი, პესოტო, ზიდანი (ესნაიდერი 68), ფ. ინძაგი, დელ პიერო
ვენეცია: კონსელი, ბრიოსკი, ბილიკა, ლუპი, ვალტოლინა (მარანგონი 74), ბერგი, იაკინი, პედონე (პავანი 90), დელ კანტო, პეტროვიჩი (ნანამი 53), მანიერო
გაფრთხილება: პედონე, ზიდანი, კონტე, ტაკინარდი, ბერგი, კონსელი
მსაჯი: დე სანტოსი

### ბარი 1:1 უდინეზე

1:0 ინოჩენტი (11), 1:1 ვარლეი (81)
ბარი: მანჩინი, გრაცია, ინოჩენტი, დე როზა, დელ გროსო, კოლაუტო (ჯორჯეტი 61), ოლივარესი (ფერარი 50), ანდერსონი, პეროტა (მარკიჩი 66), ოსმანოვსკი, მასინგა
უდინეზე: ტურჩი, სოტილი, გარგო, ძანკი, ბისგაარდი (სოსა 49), ჯანიკედა, ფიორე, იორგენსენი, ლოკატელი (ვან დელ ვეგტი 64), პოჯი, მუცი (ვარლეი (74)
გაფრთხილება: მუცი, ჯანიკედა, სოტილი, ვან დერ ვეგტი
მსაჯი: ბორიელო

### ფიორენტინა 1:3 რომა

0:1 კაფუ (18), 0:2 ტომაზი (59), 0:3 კაფუ (67), 1:3 ბატისტუტა (75)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო (ადანი 62), პიერინი (ამოროზო 80), დი ლივიო, კოისი (ოკონი 68), რუი კოშტა, ჰაინრიხი, კიეზა, ბატისტუტა, მიატოვიჩი
რომა: ანტონიოლი, რინალდი, ძაგო, ალდაირი, კაფუ, ტომაზი, ასუნსაო, კანდელა, ტოტი, მონტელა (დი ფრანჩესკო 68), დელ ვეკიო (ფაბიო ჟუნიორი 83)
გაძევება: ტოტი (86), ჰაინრიხი (86)
გაფრთხილება: ასუნსაო, ძაგო, ოკონი, რონალდი, ამოროზო, კაფუ
მსაჯი: მესინა

### პარმა 3:0 ვერონა

1:0 ამოროზო (3), 2:0 ორტეგა (7), 3:0 კრესპო (35)
პარმა: ბუფონი, ლასისი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, ბოგოსიანი, დ. ბაჯო, ვანოლი (სერენა 84), ორტეგა, კრესპო (სტანიჩი 69), ამოროზო (ვალემი 65)
ვერონა: ბატისტინი, ჯანდებიაჯი, ფილიპინი, მეძანო, ფალსინი, ბროკი, მარასკო, ფრანჩესკეტი (სერიჩი 46), კოლუჩი, მელისი (ფრეი 55), კამარატა (ადაილტონი 68)
გაძევება: ბატისტინი (8)
მსაჯი: პრესკერნი

### პერუჯა 2:1 რეჯინა

1:0 სტოვინი (9 ს.კ.), 2:0 ნაკატა (27), 2:1 ჯაკეტა (47)
პერუჯა: მაძანტინი, დაინო, ბიზოლი, მატერაცი, სუსი, ესპოზიტო, ოლივე, ტედესკო (კამპოლო 88), რაპაიჩი, ნაკატა, მელი (ამორუზო 79)
რეჯინა: ორლანდონი, ჩირილო, სტოვინი, ჯაკეტა, მარტინო (რეგი 62), ბრევი (პირლო 53), ბარონიო, პრალია, ბერნინი (დიე 83), პოსანძინი, კალონი
გაძევება: ჯაკეტა (64)
გაფრთხილება: ბარონიო, ოლივე, პოსანძინი, ტედესკო, მელი
მსაჯი: ბერტინი

### კალიარი 1:1 ტორინო

1:0 მბომა (7), 1:1 ფერანტე (51პ)
კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, რგასადონია, ამერანო, ბერეტა, დე პატრე, მაჩელარი, მორფეო (მოდესტო 46), ოლივეირა, მბომა (კორადი 61)
ტორინო: ბუჩი, ბონომი, კრუზი, დიავარა (კუდინი 86), ასტა (სილენცა 45), პეკია, მენდესი, სკარკილი, კოკო, ფერანტე, სომესე (ტრიკარიკო 75)
გაძევება: პეკია (45, ვილა (44)
გაფრთხილება: ბონომი, კოკო, დიავარა, დე პეტრე, ფერანტე
მსაჯი: პაპარესტა

### ბოლონია 2:0 ლეჩე

1:0 სავინო (23 ს.კ.), 2:0 სინიორი (34)
ბოლონია: პალიუკა, ბოსელი, ბია, ტარანტინო, ნერვო (ბინოტო 56), ინგესონი, ზე ელიასი, ვომე (ფალკონე 84), ფონტოლანი (ერიბერტო 67), ანდერსონი, სინიორი
ლეჩე: კიმენტი, ვიალი, დე სოუზა, პივოტო, სავინო, ბალერი, კონტიკო (პიანჯერელი 46), ლიმა, ტრავერსა (ბონომი 68), სესა (ბილიოტი 54), ლუკარელი
გაფრთხილება: დე სოუზა, ბია
მსაჯი: როსი

### ინტერი 2:1 პიაჩენცა

1:0 პანუჩი (59), 2:0 რონალდო (70), 2:1 დიონიჯი (81პ)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, სიმიჩი, მორიერო (დომორო 83), ძანეტი, სოუზა (რონალდო 52), დი ბიაჯო, გეორგატოსი, სამორანო (კოე 77), ვიერი
პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, პოლონია, დელი კარი, მანიგეტი, საკეტი (დი ნაპოლი 60), კრისტალინი, მაცოლა, სტატუტო (ლამაკი 54), დიონიჯი, რასტელი (გაუტიერი 82)
გაფრთხილება: ძანეტი, საკეტი, ლამაკი, პერუცი, რონალდო, დიონიჯი, სამორანო
მსაჯი: ტრენტალანჯე




ლაციო — მილანი 4:4. მილანელი ანდრეი შევჩენკო (№7) ალესანდრო ნესტას წინააღმდეგ

უკრაინული ფეხბურთის ვარსკვლავმა, კიევის „დინამოდან" „მილანში"გადასულმა ანდრეი შევჩენკომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის ისეთ ლიგაში თამაში, სერია A რომ არის, სირთულეს არ წარმოადგენს. შევჩენკო, როგორც ჩანს, გარდა ნიჭიერებისა შრომისმოყვარეობით, მტკიცე ხასიათით და წარმატებების წყურვილითაც გახლავთ დაჯილდოვებული...

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" ანდრეი შევჩენკომ ჰეთ-თრიკი შეასრულა: „ლაციო" — „მილანი" 4:4.

მილანელები 1:3-ს აგებდნენ, შემდეგ კი 4:3 დაწინაურდნენ... მაგრამ შევჩენკოს ბოლო გოლიდან სამ წუთში მასპინძელთა ჩილელმა ვარსკვლავმა მარსელო სალასმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

ამ შედეგმა „ლაციოს" მესამე ადგილი შეუნარჩუნა. მის წინ „ინტერი" და „რომა" არიან.

„რომას" თანაქალაქელებთან შედარებით გატანილ-გაშვებულ ბურთთა სხვაობა აქვს უკეთესი. მან ფლორენციაში „ფიორენტინას" აჯობა 3:1.

აღსანიშნავია, რომ „ფიორენტინას" საკუთარ სტადიონზე 1998 წლის იანვრის შემდეგ არ ჰქონდა მარცხი ნაწვნევი.

„იუვენტუსს" „ვენეციას" დასამარცხებლად მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში დასჭირდა საგანგებო მონდომების გამოვლენა — ანტონიო კონტემ დაარღვია 0:0-ის მდუმარება.

„რეჯინა", მოგეხსენებათ, სერია A-ში პირველადაა და ერთობ ზლაპრულადაც დაიწყო სეზონი — „იუვენტუსთან" სტუმრად 1:1, „ფიორენტინასთან" 2:2, ბოლონიაში 1:0, „პიაჩენცასთან" 1:0 — მაგრამ ზღაპარს წერტილი „პერუჯამ" დაუსვა — 1:2, თანაც, იმ დღეს, „რეჯინას" კარში პირველად მისივე მოთამაშის, ლორენცო სტოვინის ავტოგოლი გავიდა.

„პარმა" უეფას თასზე, კრივოროგში გამარჯვების შემდეგ, ეტყობა, გამოცოცხლდა. „ვერონასთან" თამაშის დაწყებიდან 7 წუთში ანგარიში უკვე 2:0 იყო. მერე, მე-8 წუთზე ვერონელებს გოლკიპერი გრაციანო ბატისტინი გაუძევეს მოედნიდან და მატჩი საბოლოოდ 3:0 დასრულდა.

მაგრამ მთავარი შეხვედრა, ცხადია, „ლაციო" — „მილანი" გახლდათ. რომაელთათვის ეს უნდა ყოფილიყო ანგარიშსწორება გუნდთან, რომელმაც გასული პირველობის უკანასკნელ ტურში გამოსტაცა ხელიდან სკუდეტო, მაგრამ...

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. არგენტინელმა ხუან სებასტიან ვერონმა რობერტო აიალას შეცდომით ისარგებლა და მე-17 წუთზე დააწინაურა თავისიანები, მაგრამ 35-ე წუთზე წონასწორობა აღდგა: ბრაზილიელი სერჟინიოს დაბალმა პასმა ჟორჟ ვეას ფეხისა და სინიშა მიხაილოვიჩის თავის გაკვრით ეპიზოდი ავტოგოლით დასრულა.

ერთი წუთის შემდეგ მიხაილოვიჩმა კუთხური ჩააწოდა, ხოლო დიეგო სიმეონემ თავურით კვლავ რომაელები დააწინაურა, რასაც სალასის ჩინებული და შედეგიანი თავურიც მოჰყვა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „მილანი" განადგურებულია.

ეს შთაბეჭდილება ტაიმის ბოლო, მსაჯის დამატებულ წუთამდე გაჰყვა მაყურებელს, სანამ შევჩენკომ ლუკა მარკეჯანი არ ჩამოიტოვა და ერთობ ეფექტური სვლა გოლით დაასრულა.

შესვენების შემდეგ მილანელებმა პენალტი მოინადირეს. ზუსტი დარტყმა შევჩენკომ შეასრულა, რომელიც 69-ე წუთზე ჯუზეპე პანკაროს ზურგსუკნიდან გამოხტა და ჰეთ-თრიკი შეასრულა.

ახლა შთაბეჭდილება საპირისპიროდ შეიცვალა. ამ შეხვედრაში მერვე გოლიც თუ გავიდოდა, ალბათ, ბევრს აღარც ეგონა, მაგრამ გუნდს, რომელსაც ოთხი თვის წინ სკუდეტო გაატანეს, რომაელები სამ ქულას ნამდვილად ვეღარ უძლვნიდნენ — ვერონისა და სალასის კომბინაციის შედეგად ტაბლოზე 4:4 აინთო.

... როგორც გითხარით, „არტემიო ფრანკიზე" „ფიორენტინას" ლამის ორი წელიწადი არ წაეგო. მასპინძელთათვის ავის მომასწავებელი გოლი „რომას" ბრაზილიელმა მცველმა, კაფუმ გაიტანა. მე-18 წუთზე კაპიტნის, ფრანჩესკო ტოტის მიერ ჯარიმიდან დარტყმული ბურთი კედელმა აისხლიტა და კაფუს მიუგორდა. რომელმაც, დაახლოებით 25 მეტრიდან ქვემეხივით დააქუხა ფრანჩესკო ტოლდოს კარის მაღალ კუთხეში.

მასპინძლები გოლის გაშვებას იოლად ვერ შეეგუენ. მეტიც, „რომამ" პირველი ტაიმი მოგებით რომ დაასრულა, ბედს მადლობა უნდა მოუხადოს, რადგან გაბრიელ ბატისტუტამ საჯარიმო დარტყმით ძელი შეაზანზარა, ხოლო რუი კოშტამ თავისი წილი საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან.

შესვენების შემდეგ კი რომაელთა კონტრშეტევები მეტად და მეტად მწვავე გახდა: 59-ე წუთზე ტოტიმ დამიანო ტომაზის გაატანინა, ხოლო 67-ზე კაფუმ კიდევ ერთხელ შეაგდო შორეული დარტყმით.

75-ზე ბატისტუტას მიერ სამ თამაშში გატანილი მეხუთე გოლი ფორმალობა იყო და მეტი არაფერი.

**პაპუნა კედია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 9 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 2 | რომა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 11 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 |
| 3 | ლაციო | 5 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 4 | იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 5 | მილანი | 5 | 2 | 3 | 0 | 14:8 | 6 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 7:7 | 0 | 3 |
| 6 | ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 7 | რეჯინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 8 | პერუჯა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 9 | უდინეზე | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 2 |
| 10 | ბარი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 11 | პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | -4 | 1 |
| 12 | ლეჩე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 13 | ტორინო | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | -3 | 2 |
| 14 | ბოლონია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 |
| 15 | ვერონა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | -8 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | -9 | 0 |
| 16 | ვენეცია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 17 | პიაჩენცა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 18 | კალიარი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 5 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 5 |
| შევჩენკო (მილანი) | 5 |
| სალასი (ლაციო) | 3 |
| ვერონი (ლაციო) | 3 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 3 |

### VI ტური

17 ოქტომბერი

ფიორენტინა — პარმა
ლეჩე — რეჯინა
მილანი — კალიარი
პიაჩენცა — ბოლონია
რომა — იუვენტუსი
ტორინო — ბარი
უდინეზე — ლაციო
ვენეცია — ინტერი
ვერონა — პერუჯა

## სერია B

VI ტური

### ვიჩენცა 6:0 ემპოლი

1:0 ლუიზო (6), 2:0 კომანდინი (7), 3:0 ლუიზო (11), 4:0 ტამბურინი (29), 5:0 კომანდინი (37), 6:0 ლუიზო (68)

### სავოია 2:2 კოზენცა

0:1, 0:2 ტატი (11, 23), 1:2, 2:2 გირარდელო (44, 63პ)

### სამპდორია 2:2 ტერნანა

1:0 ესპოზიტო (14), 1:1 არტიკო (43), 2:1 ესპოზიტო (71), 2:2 ვინესტრა (80)

### მონცა 1:1 რავენა

0:1 მურჯიტა (2), 1:1 ამბროზი (17)

### ფერმანა 1:1 ტრევიზო

0:1 ბალარინი (6), 1:1 ფანეზი (69)

### კიევო 1:0 ჯენოა

1:0 მარაძინა (13)

### ჩეზენა 1:1 ალძანო

1:0 ტალდო (32), 1:1 ფერარი (52)

### ბრეშა 2:0 პისტოიეზე

1:0, 2:0 უბნერი (44, 57)

### ატალანტა 3:1 პესკარა

1:0, 2:0 კარერა (14, 30), 3:0 ნაპი (73), 3:1 პალუმბო (48)

### სალერნიტანა 1:1 ნაპოლი

0:1 შვოხი (44), 1:1 ფუსკო (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 6 | 5 | 1 | 0 | 12:5 | 16 |
| ბრეშა | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| პესკარა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 11 |
| სამპდორია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| ტერნანა | 6 | 3 | 2 | 1 | 6:5 | 11 |
| ვიჩენცა | 6 | 3 | 1 | 2 | 12:5 | 10 |
| ნაპოლი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| ემპოლი | 6 | 3 | 0 | 3 | 4:9 | 9 |
| სავოია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | 8 |
| ჯენოა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:5 | 7 |
| ტრევიზო | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| ალძანო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| პისტოიეზე | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| რავენა | 6 | 1 | 3 | 2 | 8:7 | 6 |
| კიევო | 6 | 2 | 0 | 4 | 7:8 | 6 |
| კოზენცა | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| ჩეზენა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| მონცა | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| სალერნიტანა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | 5 |
| ფერმანა | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

## სერია C1/A

V ტური. კარარეზე — ალბინოლეფე 2:0; ჩიტადელა — ლუკეზე 4:2; კომო — სანდონა 1:1; ლივორნო — სიენა 0:1; ლუმეცანე — ლეკო 0:0; მოდენა — ბრეშელო 0:1; მონტევარკი — პიზა 0:0; რეჯანა — სპალ 1:2; ვარეზე — კრემონეზე 0:0

## სერია C1/B

V ტური. ანკონა — ფ. ანდრია 3:1; ასკოლი — ბენევენტო 3:0; აველინო — არეცო 1:0; კატანია — ნოჩერინა 1:1; კროტონე — მარსალა 2:0; სტაბია — დი სანგრო 1:2; ლოდიჯანი — ატლეტიკო 0:0; პალერმო — გუალდო 3:1; ჯულიანოვა — ვიტერბეზე წუხელ გვიან გაიმართა

## ესპანეთი

### VI ტური

**ალავესი 0:0 სევილია**

ალავესი: ერერა, ტორეს მეტრე, კონტრა, კარმონა, ეგენი, დესიო, მორალესი (ნან რივერა 46), პაბლო, ხავი მორენო (ხულიო სალინასი 58), მანო (განიანი 82), ასტუდილიო
სევილია: ვალენსია, ნანდო, ეკტორი, ტაბარე, მარკენა, პრიეტო, ცარტასი (ლორენი 87), პოდესტა, ფრანსისკო, ხუან კარლოსი (ოლივერა 58), ოტერო (მოია 75)
გაფრთხილება: ასტუდილიო, მეტრე, მანუ, ნანდო, ეკტორი
მსაჯი: მ. გონსალესი

**ესპანიოლი 3:1 ატლეტიკო**

0:1 ჰასელბაინკი (16), 1:1 ტამუდო (41), 2:1 ბენიტესი (46), 3:1 როტჩენი (59)
ესპანიოლი: კავალიერო, როტჩენი, პოჩეტინო, კრისტობალი, დე ლუკასი (ველამასანი 69), არტეაგა, გალკა, სერხიო, მაურო ნავასი, ბენიტესი (კასარტელი 77), ტამუდო (პოსე 76)
ატლეტიკო: აგილერა, კაპდევილა, სანტი, გამარა, გასპარი (ხოსე მარი 60), ველერონი (კორეა 87), ბარახა, ვენტურინი, ჰასელბაინკი, სოლარი (რობერტო 82), ტონი
გაფრთხილება: პოჩეტინო, დე ლუკასი, აგილერა, ბარახა, სანტი
მსაჯი: რ. სანტიაგო

**ვალიადოლიდი 0:2 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (29), 0:2 რივალდო (70)
ვალიადოლიდი: სეზარი, სანტამარია (ალბერტო 84), მარკოსი, პენია, გარსია კალვო, არილსონი (კონგო 56), ეუსაბიო, ვისკაინო, ჩემა (ლუის გარსია 69), როდრიგო, ვიქტორი
ბარსელონა: ჰესპი, სერხი (ზენდენი 80), ფ. დე ბური (ბოგარდი 37), აბელარდო, კოკუ, გვარდიოლა, ლუის ენრიკე, რ. დე ბური, რივალდო, კლუივერტი, სიმაო (პუიოლი 56)
გაფრთხილება: ლუის გარსია, პენია, სიმაო, ლუის ენრიკე, ბოგარდი, სერხი
გაძევება: ბოგარდი (75)
მსაჯი: ბ. გრიმალი

**ნუმანსია 1:1 მალაგა**

0:1 ედგარი (36), 1:1 მორალესი (89)
ნუმანსია: ნუნიესი, პოპესკუ (კასტანიო 61), ოკტავიო, ბელსუე, ივან როჩა, მუნისი, ელდერი (მორალესი 46), მორანი (ოხედა 67), ბარბუ, პაჩეტა, ნაგორე
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ლარაინსარი, ბრავო (როტეტა 46), როხასი, აგოსტინიო (ფერნანდო სანსი 71), დე ლოს სანტოსი, მოვილა (სანდრო 82), რუფეტე, ედგარი, კატანია
გაფრთხილება: ოხედა, პაჩეტა, ივან როჩა, ნაგორე, ბრავო, კატანია, დე ლოს სანტოსი
მსაჯი: გარსია არანდა

**რეალი 2:3 ვალენსია**

0:1 მენდიეტა (11პ), 0:2 ხერარდი (23), 0:3 ლოპესი (39), 1:3, 2:3 მორიენტესი (46, 65)
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, ხულიო სეზარი, ივან ელგერა (კარანკა 46), სავიო, ზეედორფი (მიჩელ სალგადო 72), ხერემი, რედონდო, მორიენტესი, რაული
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, კარბონი, ბიორკლუნდი, ანგლომა, კილი გონსალესი (ანგულო 72), ალბელდა, მენდიეტა, ხერარდი, ილიე (ფარინოსი 68), ლოპესი (სერბანი 89)
გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, იერო, მორიენტესი, მიჩელ სალგადო, კარანკა, ალბელდა, ფარინოსი, პალოპი, ანგულო
გაძევება: რობერტო კარლოსი (9)

**სარაგოსა 2:0 სოსიედადი**

1:0 არაგონი (62), 2:0 მილოშევიჩი (89)
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, აგუადო, პაკო, პაბლო, მარკოს ვალესი, არაგონი, აკუნია (ხოსე იგნასიო 80), მილოშევიჩი, ველისკა, ხუანელე (ხამელი 84)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, ლორენი, ფუენტესი, დე პედრო, არამბურუ (ალვარესი 70), გომესი (ლორენტე 84), სა პინტუ (ალდეონდო 62), ბონილა, იდიაკესი
გაფრთხილება: სუნდგრენი, ხუანელე, ველისკა, მილოშევიჩი, არაგონი, ლოპეს რეკარტე
გაძევება: არაგონი (72), ალბერტო (75)
მსაჯი: მ. დავილა

**ბეტისი 1:0 ოვიედო**

1:0 ფინიდი (33)
ბეტისი: ტონი პრატსი, კარპანი, ფილიპესკუ, ბორნესი, ოტერო, რომერო, დენილსონი, ალექსისი (მერინო 80), ფინიდი, ოლი (კროსა 67), ალფონსო (ბენხამინი 86)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ონოპკო, დანხუ, პომპეი, პაულუ ბენტუ (ნადი 52), ესკურსა, დელი ვალდესი (პინტუ 73), ლოსადა (ანია 59), დუბოვსკი
გაფრთხილება: კარპანი, რომერო, ოტერო, ესკურსა, ანია
გაძევება: ფილიპესკუ (59)
მსაჯი: პერეს ბურული

**ბილბაო 2:3 დეპორტივო**

0:1 ფლავიო კონსეისაო (35), 0:2 პაულეტა (50), 0:3 ვიკტორი (58), 1:3 ხოსე მარი (63), 2:3 ესკერო (65)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ლარაინსარი (კარლოს გარსი 89), ფელიპე, ხოსე მარი, ვარასაბალი (ხავი გონსალესი 56), რობერტო რიოსი, ალკორტა, ედუ ალონსო (ურსაისი 56), გერერო, ესკერო, ხ. ეჩებერია
დეპორტივო: სონგო, რომერო, მანუელ პაბლო, სეზარი, ნაიბეტი, ფერნანდო, ფლავიო კონსეისაო (დონატო 67), იოკანოვიჩი, მაურო სილვა, პაულეტა (მაკაი 86), ვიკტორი (სკალონი 63)
გაფრთხილება: ალკორტა, ვიკტორი, მაკაი
მსაჯი: ა. როკა

**სელტა 1:0 მალიორკა**

1:0 კარპინი (50)
სელტა: დუტრუელი, ჯოროვიჩი, სერხიო, ველასკო, სელადესი, კარპინი, მაკელელე, ხუანფრანი, მაკარტი (ტურდო 59), რევივო (ჯოვანელა 74), გ. ლოპესი (მოსტოვოი 46)
მალიორკა: ბურგოსი, ნინიო, სოლერი, სივიერო, ნადალი, ოლაისოლა, სტანკოვიჩი (ჯოკაი 55), ლორენი (არმანდო 72), იბაგასა (დიეგო 58), ენგონგა, კარლოსი
გაფრთხილება: ჯოროვიჩი, რევივო, ხუანფრანი, სტანკოვიჩი, ლორენი, ოლაისოლა, ბურგოსი
მსაჯი: პ. გარსია

**რასინგი 1:1 რაიო**

0:1 ბოლო (79), 1:1 ბესჩასტნიხი (83)
რასინგი: ლემენსი, ნერუ, არსენო, მელბერგი, ტაისი, შუსტიკოვი, ესპინა (ბესჩასტნიხი 73), ამავისკა, სალვა (რუშფელტი 46), მუნიტისი, მანხარინი (დორადო 46)
რაიო: კელერი, ლორენსი, კლოტე, ფერონი (ჰელდერი 73), ალკასარი, კოტა, ესტიბარისი, კემბრანოსი, პოშნერი (პაბლო სანსი 75), მიჩელ II (კანაბალი 73), ბოლო
გაფრთხილება: არსენო, კლოტე
მსაჯი: ლ. ომარი

# გვარების და ხელების შლა

ჩამთავრებული ტურის მიმოხილვა მომავალზე საუბრით დავიწყოთ. ამ კვირის ბოლოს ბარსელონის „კამპ ნოუზე“ ესპანური სეზონის პირველი მთავარი მატჩია. გასაგებია რაზეცაა საუბარი, მაგრამ მაინც ვთქვათ: „ბარსელონა“ „რეალს“ მასპინძლობს.

ამიტომაც, თუ ვინმე გასულ ტურს მომავლისთვის მოსამზადებელს უწოდებს, ნაწილობრივ მართალი იქნება, მით უფრო, რომ შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის საშინელება არ არის დაგეგმილი.

„მოსამზადებელ ტურში“ „ბარსელონა“ „ვალიადოლიდს“ სტუმრობდა და 2:0 მოუგო, მაგრამ მეორე დღეს კატალონიელთა მწვრთნელს ლუის ვან გაალს თავისი ფეხბურთელების სიიდან ბევრის გადაშლა მოუხდებოდა. ჰოლანდიელი მიხაელ რაიციგერი, რომელიც „არსენალთან“ შეხვედრის დროს დაშავდა — ჩემპიონთა ლიგას საშინელება ტყუილად არ ვუწოდეთ — ექიმის კაბინეტში მარტო აღარ დადის, მას თანამემამულე ფრანკ დე ბურიც ამოუდგა მხარში, რომელმაც „ვალიადოლიდთან“ შეხვედრაში მუხლის მყესები დაიწყვიტა.

ამავე შეხვედრის მეორე ტაიმში დე ბურის შემცვლელმა, კვლავ და კვლავ ჰოლანდიელმა ვინსტონ ბოგარდმა წითელი ბარათი მიიღო...

მოკლედ, დღეს „ბარსელონას“ მცველთაგან ჯანმრთელი და შეურისხავი მხოლოდ აბელარდოა.

„ეგ არაფერი“ — იხტიბარს არ იტეხს ვან გაალი — „ჯერ ერთი დე ბურის გამოჯანმრთელების შანსი კიდევ არსებობს, მეორე, ფრედერიკ დეუ მზადაა და მესამეც, ფილიპ კოკუს მცველობაც ეხერხება“.

„რა ნამუსით უწოდებენ „ბარსელონას“ სუპერგუნდს?“ — ხელები გაშალა, ამასობაში, „რეალის“ ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა — „ის, ვინც „ალავესთან“ აგებს „სუპერგუნდია?“

„ვალენსია“, ბუნებრივია, „ალავესი“ არ არის, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბოლოს წინა ადგილზეა, ხოლო „ალავესი“ მეშვიდეზე, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წაგებაც...

10 კაცამდე შემცირებულმა „რეალმა“ სეზონში პირველი საშინაო მარცხი იწვნია. ეს ჯონ ტოშაკის კარიერაშიც პირველი წაგება გახლდათ „სანტიაგო ბერნაბეუს“ შეფის რანგში.

„წაგებამ ცუდ ხასიათზე არ დამაყენა, რადგან ჩემმა ფეხბურთელებმა მეორე ტაიმში საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. ფეხი დაგვიცდა, მეტი არაფერი“ — თქვა უელსელმა.

თამაშის მეცხრე წუთზე რობერტო კარლოსმა ხელით ითამაშა და მოედნიდან გააძევეს, რის გამოც მასპინძელთა დაცვა ვერა და ვერ მოწესრიგდა დარჩენილი დროის განმავლობაში. მეკარე, გერმანელი ბოდო ილგნერიც, რომელიც ტრავმის მერე პირველად დაუბრუნდა მოედანს, ვერ იყო მთლად კარგ ფორმაში და ვალენსიელთა პირველ და მეორე გოლებში მისი დადანაშაულებაც შეიძლება. იქნებ ამიტომაც თქვა ტოშაკმა:

„ჩვენი ბრალი -ისაა, რომ რამდენ... ჯერმე ბავშვური შეცდომა დავუშვით“.

„აქამდე, რატომღაც, ვერ ვეყავით საკუთარ თავში დარწმუნებული, ამის მერე კი ყველაფერი შეიცვლება“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ვალენსიას“ მთავარმა მწვრთნელმა ექტორ კუპერმა.

მართლაც, „ვალენსია“ გაორებულია. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამარჯვებამდე გუნდს შესაძლო თხუთმეტიდან მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა მოპოვებული, ჩემპიონთა ლიგაში კი ტოლს არავის უდებდა: შინ მოუგო „გლაზგო რეინჯერსს“, ხოლო „ბაიერნთან“ და პსვ-სთან სტუმრად ფრედ ითამაშა.

ესპანური პრესის აზრით, „რეალთან“ მატჩშიც „ვალენსიას“ რაღაც უცნაურობა სჭირდა. პირველ ტაიმში იგი დაფრინავდა და მასპინძლებს ჩაგრავდა, მეორეში კი ყურები ჩამოყარა და კინაღამ დაკარგა სამი ქულა.

„ნამდვილად ვერ გეტყვით რა ეწოდება იმ გრძნობას, რომელსაც ჩვენ ვყავდით შეპყრობილი. ერთი მხრივ ეს იქნებ შიშიც იყო, მაგრამ მეორე მხრივ ჩანდა, რომ ჩინებულად შეგვეძლო თამაში“ — თავად კუპერსაც ვერაფერი გაურკვევია.

ზემოთ ვქთვით, რომ ვან გაალს სიიდან ფეხბურთელების ამოშლა მოუწევს, მაგრამ ტოშაკი უარეს დღეშია, ამოშლა საკუთარი გვარით აქვს დასაწყები — „ვალენსიასთან“ შეხვედრაში მსაჯს ულრიალა და წითელი ბარათი ალუმართეს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას „რეალის“ კაპიტნის, ფერნანდო იეროს საქმეც გასარჩევი აქვს. იერომ იმავე არბიტრს გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში უთხრა ტკბილ-ტკბილი სიტყვები. რობერტო კარლოსმაც წითელი მიიღო...

**მიხეილ სურგულაძე**



REUTERS მადრიდიდან

რეალი — ვალენსია 2:3. მადრიდელთა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა მსაჯს ულრიალა და წითელი ბარათი აღუმართეს

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 6 | 5 | 0 | 1 | 14:4 | 10 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 |
| 2 | რაიო ვალეკანო | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 3 | სელტა | 6 | 4 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 |
| 4 | ესპანიოლი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:9 | 1 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:4 | 4 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 5 | სარაგოსა | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 5 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 4 |
| 6 | დეპორტივო | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 7 | ალავესი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 8 | რეალი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:9 | 3 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 |
| 9 | მალაგა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 10 | რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 8 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 11 | ნუმანსია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 |
| 12 | სოსიედადი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | -1 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 13 | ვალიადოლიდი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | -3 | 1 |
| 14 | ბეტისი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 0 |
| 15 | მალიორკა | 6 | 2 | 0 | 4 | 8:8 | 0 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 0 |
| 16 | ოვიედო | 6 | 2 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 |
| 17 | ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 18 | სევილია | 6 | 0 | 4 | 2 | 6:8 | -2 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 19 | ვალენსია | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 20 | ატლეტიკო | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 6 |
| დანი (ბარსელონა) | 5 |
| მაკაი (დეპორტივო) | 4 |
| კატანია (მალაგა) | 4 |
| რივალდო (ბარსელონა) | 4 |
| ბენიტესი (ესპანიოლი) | 4 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 4 |

**VII ტური**

13 ოქტომბერი

სელტა — სარაგოსა
სოსიედადი — რასინგი
რაიო ვალეკანო — ესპანიოლი
ატლეტიკო — ალავესი
სევილია — ბეტისი
ოვიედო — ვალიადოლიდი
ბარსელონა — რეალი
ვალენსია — ნუმანსია
მალაგა — ბილბაო
მალიორკა — დეპორტივო

## მეორე დივიზიონი

### VII ტური

**კორდობა 2:1 ოსასუნა**

0:1 პალასიოსი (12), 1:1 არნაუ (24), 2:1 არმადა (70)

**ხეტაფე 2:2 ტენერიფე**

0:1 პინილია (1), 0:2 მისტა (47), 1:2 პულიდო (59პ), 2:2 პინედა (80)

**ლას პალმასი 7:1 ლეგანესი**

1:0 სეკუიროსი (15), 2:0 ხოსიკო (18), 3:0 ორლანდო (49), 4:0 პაბლო ლაგო (54), 5:0 სეკუიროსი (60), 5:1 ოლიასი (66), 6:1 სამვაისი (80), 7:1 ელოი (82)

**ბადახოსი 2:1 სპორტინგი**

0:1 ოსკარი (78), 1:1 ტორესი (82), 2:1 ბრაკამონტე (93)

**ლოგრონიესი 1:1 ატლეტიკო B**

1:0 ერერა (63), 1:1 კომე (94)

**ლეიდა 0:0 მერიდა**

**სალამანკა 0:0 ტოლედო**

**ალბასეტე 1:1 უელვა**

1:0 ხესუსი (60), 1:1 ბოდიპო (83)

**ეიბარი 4:2 ლევანტე**

0:1 სალესი (18), 1:1 სორია (24), 2:1 რუბენი (41), 2:2 სალესი (43), 3:2 სუანსესი (77), 4:2 იტურინო (83)

**ელჩე 1:0 ვილიარეალი**

1:0 კლაუდიო (5)

**ესტრემადურა 3:1 კომპოსტელა**

1:0 ვიაუდი (24პ), 2:0 დურე (29), 3:0 მანუელი (38), 3:1 უილიამი (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტრემადურა | 7 | 6 | 1 | 0 | 11:3 | 19 |
| ლას პალმასი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:5 | 16 |
| სალამანკა | 7 | 4 | 3 | 0 | 10:4 | 15 |
| ბადახოსი | 7 | 3 | 4 | 0 | 7:4 | 13 |
| კომპოსტელა | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 11 |
| ლევანტე | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 11 |
| ალბასეტე | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| უელვა | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | 11 |
| ოსასუნა | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| მერიდა | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 10 |
| ეიბარი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:9 | 9 |
| სპორტინგი | 7 | 3 | 0 | 4 | 11:12 | 9 |
| ვილიარეალი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| ელჩე | 7 | 1 | 5 | 1 | 7:7 | 8 |
| კორდობა | 7 | 2 | 2 | 3 | 6:6 | 8 |
| ტენერიფე | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| ლოგრონიესი | 7 | 1 | 4 | 2 | 12:13 | 7 |
| ლეიდა | 7 | 1 | 2 | 4 | 7:10 | 5 |
| ატლეტიკო B | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| ტოლედო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:12 | 4 |
| ხეტაფე | 7 | 0 | 3 | 4 | 6:12 | 3 |
| ლეგანესი | 7 | 0 | 3 | 4 | 6:16 | 3 |

## შვეიცარია

XIV ტური

**არაუ 2:1 გრასჰოპერი**

0:1 ეკოკუ (24), 1:1 ივანოვი (59), 2:1 ტარონე (81)

**ლუცერნი 2:4 სერვეტი**

0:1 ტურე (31), 1:1 თურქილმაზი (41), 2:1 მაქსი (50), 2:2 რეი (58), 2:3 ტურე (65), 2:4 პოტოჩიანუ (88)

**ბაზელი 1:2 ივერდონი**

0:1, 0:2 ჩუგა (69, 85), 1:2 კოუმანტარაკისი (87)

**ლუგანო 2:1 ქსამაქსი**

1:0 ბრუნერი (42), 2:0 ფერნანდესი (613), 2:1 ტარეკი (83)

**ციურიხი 1:3 სენტ გალენი**

0:1 ტულერი (13), 0:2 კონტინი (16), 0:3 ჟაირო (43), 1:3 ნდლოვუ (48)

ციურიხი: პასკოლო, მალაკარნე, შტოკლასა, ბარტლეტი, კვენტინი, ფრიკი, დელ სინიორი (სანტანა 46), ეიდელი, შასო (დუგლასი 68), ნდლოვუ (ყაველაშვილი 73), ჯამარაული

**ლოზანა — დელემონი**

გადაიდო

უეფას თასის საპასუხო მატჩში ბელგიური „ლიერსის" დამარცხების შემდეგ „ციურიხს" შინაურ ასპარეზზე ძალიან გაუჭირდა. კვირას ციურიხელები ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს ძალაგამოლეულნი დაუხვდნენ. „სენტ გალენმაც" ფაქტობრივად უპრობლემოდ მოიგო.

მატჩის ბედი დებიუტშივე გადაწყდა. მე-13 და მე-16 წუთებზე — ტულერმა და კონტინიმ ორი გოლი გაიტანეს და სტუმრებიც სოლიდური სხვაობით დაწინაურდნენ. ამის შემდეგ ციურიხელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, ჯამარაულს, შასოს და ბარტლეტს საგოლე მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ ხელიდან გაუშვეს. სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს ჟაირომ გამოიყენა კონტინის კარგი პასი და ანგარიში მასპინძლებისთვის კატასტროფული გახადა.

მეორე ტაიმი „ციურიხმა" უფრო აქტიურად და აგრესიულად ჩაატარა, თუმცა მხოლოდ პრესტიჟის გოლს გამორჩა. 48-ე წუთზე ნდლოვუმ ზუსტად დაარტყა და სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირა. მალე მასპინძლები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, მსაჯმა უხეში თამაშისთვის ექსმარსელელ ჟან-ჟაკ ეიდელის დაატოვებინა მინდორი. 73-ე წუთზე მასპინძელთა შემადგენლობაში მიხეილ ყაველაშვილი გამოჩნდა, თუმცა „ციურიხის" შველა ვეღარც მან შეძლო. ამ გამარჯვებით „სენტ გალენმა" ცოტა ხნის წინ დაკარგული პირველი ადგილი ისევ დაიბრუნა.

მოულოდნელი მარცხი განიცადა ლიდერმა „ბაზელმა", რომელიც საკუთარ კედლებში „ივერდონს" მასპინძლობდა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრებმა კლანჭები გამოაჩინეს — ჩუგამ ბაზელელები ორჯერ გამოიჭირა კონტრშეტევაზე — 2:0. „ბაზელმა" თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ერთი საპასუხო გოლის გატანაღა შეძლო.

გაჭირვებით მოიგო ჩემპიონობის კიდევ ერთმა კანდიდატმა „სერვეტმა". ჟენეველები „ლუცერნს" სტუმრობდნენ და დრამატულ მატჩში მისი 4:2 დამარცხება შეძლეს.

ციურიხის „გრასჰოპერმა" კი მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ თავისი უპირატესობა ქარს გაატანა და არაუში 1:2 დამარცხდა.

„ლოზანა" — „დელემონი" კი ლოზანაში დიდი წვიმის გამო გადაიდო.

ვანო ოქრობირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 14 | 7 | 5 | 2 | 26:17 | 26 |
| ბაზელი | 14 | 6 | 6 | 2 | 18:10 | 24 |
| სერვეტი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:23 | 23 |
| გრასჰოპერი | 14 | 5 | 5 | 4 | 25:19 | 20 |
| ივერდონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:16 | 20 |
| ლუცერნი | 14 | 5 | 4 | 5 | 16:19 | 19 |
| ლოზანა | 13 | 4 | 6 | 3 | 19:16 | 18 |
| არაუ | 14 | 5 | 3 | 6 | 20:27 | 18 |
| ლუგანო | 14 | 4 | 4 | 6 | 19:17 | 16 |
| ციურიხი | 14 | 3 | 5 | 6 | 11:19 | 14 |
| ქსამაქსი | 14 | 2 | 6 | 6 | 19:27 | 12 |
| დელემონი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:24 | 12 |

## საფრანგეთი

IX ტური

**ოსერი 3:2 ლანსი**

0:1 ბლანშარი (19), 1:1, 2:1 დიომედი (29, 39), 3:1 გივარში (60), 3:2 პიერ-ფანფანი (81)

**მონაკო 1:0 ლიონი**

1:0 გალიარდო (5)

**ნანტი 0:4 პსჟ**

0:1 ალჟერინო (7), 0:2 მადარი (29), 0:3, 0:4 ლ. ლერუა (66, 81)

**მარსელი 1:1 მეცი**

1:0 რავანელი (57), 1:1 პადოვანო (86)

**სტრასბური 2:2 ბორდო**

1:0 ბეიე (8), 1:1 ვილტორდი (42), 2:1 კამანდინი (65), 2:2 ვილტორდი (76)

**სედანი 2:1 ტრუა**

1:0 დი როკო (36), 1:1 გაჟი (40), 2:1 დი როკო (49)

**ლე ავრი 2:1 მონპელიე**

0:1 უედეკი (42), 1:1 დებე (48), 2:1 პუჟე (55)

**ნანსი 3:0 რენი**

1:0, 2:0, 3:0 კასკარინო (45, 66, 81)

**სენტ ეტიენი 1:1 ბასტია**

1:0 ალექსი (3), 1:1 ანდრე (81)



REUTERS მონაკოდან

„მონაკო" — „ლიონი" 1:0. მარსელო გალიარდოს გოლმა „მონაკო" ლიდერად აქცია

**არგენტინელი** პლეიმეიკერის მარსელო გალიარდოს გოლით „მონაკომ" „ლიონს" მოუგო და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა, თუმც პსჟ-სა და „ოსერს" მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს.

უკვე მეხუთე წუთზე არგენტინელი მარცხენა ფრთაზე გაიჭრა და სტუმართა მეკარე გრეგორი კუპეს შანსი არ დაუტოვა.

შემდეგშიც, „მონაკო" უპირატესობას ფლობდა, მაგრამ „ლიონის" დაცვას, რომელიც ჯერჯერობით ლიგაში ყველაზე შეუვალია, მეტი შეცდომა აღარ დაუშვია. სტუმართათვის კარის დაცვა ერთობ ძნელი გახლდათ, მათ ხომ მე-10 წუთზე დავიდ ტრეზეგესთან შეჯახებისას ძირითადის მეკარე კუპე დაკარგეს.

ნამატჩევს „ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა ბერნარ ლაკომბმა აღტაცება ვერ დამალა მონაკოელთა თამაშის გამო:

— მათ შესანიშნავად ითამაშეს და თუ ასე გააგრძელეს, საფრანგეთის ჩემპიონობას იოლად მოიპოვებენო — თქვა ლაკომბმა.

„ნანტს" კი „პარი სენ-ჟერმენთან" ქართული ამბავი დაემართა. ყოველ შემთხვევაში, თუ ფრანგ ჟურნალისტებს ვერწმუნებით, პარიზელებმა უსამართლოდ გაიმარჯვეს. „ნანტი" თურმე მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებდა ბურთს, ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ ოთხი გოლი გაუშვა და ერთიც ვერ გაიტანა. თანაც 44-ე წუთზე სტუმრები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. მსაჯმა პარიზელი პიერ დეკრუა გააძევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 9 | 5 | 2 | 2 | 19:9 | 17 |
| პსჟ | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | 17 |
| ოსერი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:11 | 17 |
| სედანი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:13 | 16 |
| ლიონი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 15 |
| მარსელი | 9 | 3 | 5 | 1 | 12:9 | 14 |
| სტრასბური | 9 | 3 | 4 | 2 | 9:9 | 13 |
| ბორდო | 9 | 3 | 3 | 3 | 15:13 | 12 |
| ნანტი | 9 | 4 | 0 | 5 | 11:10 | 12 |
| მეცი | 9 | 2 | 5 | 2 | 9:7 | 11 |
| მონპელიე | 9 | 3 | 2 | 4 | 13:16 | 11 |
| ნანსი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:13 | 10 |
| სენტ ეტიენი | 9 | 2 | 4 | 3 | 16:17 | 10 |
| ბასტია | 9 | 2 | 4 | 3 | 11:14 | 10 |
| ლე ავრი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | 10 |
| ტრუა | 9 | 3 | 0 | 6 | 7:14 | 9 |
| ლანსი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:12 | 8 |
| რენი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:17 | 8 |

### მეორე დივიზიონი

XII ტური. გენგამი — ლე მანი 3:1; ნიმი — ვასკეალი 1:2; ნიცა — ტულუზი 2:0; აიაჩო — ლუანი 3:0; შატორუ — კრეტეი 0:0; გენიონი — ლორიანი 3:0; სოშო — ვალანსი 2:0; ლილი — კანი 2:0; ლავალი — ნიორი 3:1; ამიენი — კაენი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 12 | 10 | 1 | 1 | 20:5 | 31 |
| კაენი | 12 | 6 | 4 | 2 | 16:8 | 22 |
| გენგამი | 12 | 6 | 4 | 2 | 22:16 | 22 |
| ნიმი | 12 | 6 | 3 | 3 | 14:10 | 21 |
| ამიენი | 12 | 4 | 7 | 1 | 16:13 | 19 |
| კანი | 12 | 5 | 3 | 4 | 11:12 | 18 |
| ტულუზი | 12 | 5 | 2 | 5 | 14:10 | 17 |
| სოშო | 12 | 5 | 2 | 5 | 16:14 | 17 |
| გენიონი | 12 | 4 | 5 | 3 | 14:12 | 17 |
| ლორიანი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:12 | 17 |
| ლე მანი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:16 | 17 |
| ლავალი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:13 | 15 |
| აიაჩო | 12 | 4 | 2 | 6 | 13:15 | 14 |
| ნიცა | 12 | 2 | 7 | 3 | 9:10 | 13 |
| კრეტეი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:13 | 13 |
| ვალანსი | 12 | 2 | 4 | 6 | 10:16 | 10 |
| ლუანი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:15 | 10 |
| ვასკეალი | 12 | 2 | 4 | 6 | 7:14 | 10 |
| შატორუ | 12 | 2 | 4 | 6 | 11:19 | 10 |
| ნიორი | 12 | 1 | 6 | 5 | 10:18 | 9 |

# ტრაგიკული შემთხვევა საბერძნეთში

საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, ათენში ადგილობრივ „პანათინაიკოსსა" და სალონიკის პაოკ-ს შორის გამართული მატჩის შემდეგ სტუმარი პაოკ-ის გულშემატკივრები შინ ბრუნდებოდნენ, როდესაც მათმა ავტობუსის მძღოლმა მოულოდნელად საჭე ვერ დაიმორჩილა და დაახლოებით 6 მეტრის სიმაღლიდან ხრამში გადაიჩეხა. ამ ტრაგედიის შედეგად 7 მგზავრი დაიღუპა და 26 დაშავდა, მათგან სამი უმძიმეს მდგომარეობაშია. შემთხვევა გამთენიისას ათენსა და სალონიკს შორის მდებარე ქალაქ ტემბში მოხდა. პოლიციის განცხადებით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ ავტობუსს არაკვალიფიციური მძღოლი მართავდა. შეგახსენებთ, რომ „პანათინაიკოსსა" და პაოკ-ს შორის მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

## შვედეთი

XXIII ტური. აიკ — ჰალმსტადი 0:1; ტრელებორგი — იორებრო 2:1; გიოტებორგი — ნორჩიოპინგი 2:3; ჰელსინგბორგი — კალმარი 3:0; ფრიოლუნდა — იორგრიტე 2:1; ჰამარბი — იურგარდენი 2:1; ელფსბორგი — მალმიო 5:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 23 | 14 | 4 | 5 | 36:13 | 46 |
| ჰელსინგბორგი | 23 | 14 | 3 | 6 | 40:24 | 45 |
| ჰალმსტადი | 23 | 13 | 4 | 6 | 40:22 | 43 |
| იორგრიტე | 23 | 10 | 8 | 5 | 37:21 | 38 |
| გიოტებორგი | 23 | 11 | 5 | 7 | 26:28 | 38 |
| ნორჩიოპინგი | 23 | 10 | 5 | 8 | 37:31 | 35 |
| ფრიოლუნდა | 23 | 9 | 6 | 8 | 28:29 | 33 |
| ტრელებორგი | 23 | 7 | 6 | 10 | 36:42 | 27 |
| იორებრო | 23 | 8 | 3 | 12 | 23:30 | 27 |
| კალმარი | 23 | 8 | 3 | 12 | 27:39 | 27 |
| ელფსბორგი | 23 | 7 | 5 | 11 | 37:44 | 26 |
| ჰამარბი | 23 | 6 | 5 | 12 | 26:39 | 23 |
| მალმიო | 23 | 6 | 4 | 13 | 27:42 | 22 |
| იურგარდენი | 23 | 4 | 7 | 12 | 24:40 | 19 |

## პორტუგალია

VI ტური

**ლეირია 3:0 ბრაგა**

1:0 დერლეი (6), 2:0 დუა (35), 3:0 ვუზელა (80)

**მარიტიმუ 1:0 ჟილ ვისენტე**

1:0 რამონი (15)

**სალგეირუში 0:0 ფარენსე**

**კამპომაიორენსე 1:1 რიუ ავე**

0:1 პუგო ენრიკე (9), 1:1 ნოვიაში (46)

**გიმარაეში 1:0 ალვერკა**

1:0 დალსოტო (843)

## შოტლანდია

IX ტური

**აბერდინი 2:2 ჰიბერნიანი**

1:0 ჯესი (58), 1:1 პაატალაინენი (82), 2:1 ჯილიესი (85), 2:2 ჯეკი (87)

**დანდი 2:3 რეინჯერსი**

0:1 კანჩელსკისი (30), 1:1 მაკკინინგი (57), 2:1 ფალკონერი (70), 2:2 უოლესი (80), 2:3 ამატო (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 8 | 8 | 0 | 0 | 24:6 | 24 |
| სელტიკი | 7 | 6 | 0 | 1 | 18:3 | 18 |
| დანდი იუნ. | 8 | 4 | 2 | 2 | 12:12 | 14 |
| ჰარტსი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:10 | 13 |
| სტ. ჯონსტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:13 | 11 |
| დანდი | 9 | 3 | 0 | 6 | 14:17 | 9 |
| კილმარნოკი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:8 | 7 |
| ჰიბერნიანი | 9 | 1 | 4 | 4 | 11:18 | 7 |
| მოზერუელი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:11 | 6 |
| აბერდინი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:22 | 1 |

## უკრაინა

XI ტური. მარიუპოლი — დინამო 2:3; მეტალისტი — ზაპოროჟიე 0:0; მეტალურგი — დნიპრო 5:0; ზირკა — ტავრია 2:2; ნივა — პრიკარპატია გაიმართება 6 ოქტომბერს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 7 | 1 | 0 | 19:6 | 22 |
| კრივბასი | 8 | 7 | 1 | 0 | 17:6 | 22 |
| ზაპოროჟიე | 10 | 5 | 3 | 2 | 14:10 | 18 |
| ვორსკლა | 10 | 5 | 2 | 3 | 19:12 | 17 |
| მეტალურგი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:11 | 17 |
| ტავრია | 11 | 5 | 2 | 4 | 17:15 | 17 |
| მეტალისტი | 10 | 5 | 2 | 3 | 11:10 | 17 |
| შახტარი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:2 | 16 |
| კარპატი | 10 | 5 | 0 | 5 | 18:13 | 15 |
| ცსკა | 9 | 3 | 3 | 3 | 12:8 | 12 |
| მარიუპოლი | 10 | 4 | 0 | 6 | 18:16 | 12 |
| პრიკარპატია | 9 | 1 | 4 | 4 | 7:11 | 7 |
| ნივა | 9 | 1 | 3 | 5 | 9:18 | 6 |
| დნიპრო | 10 | 1 | 3 | 6 | 7:23 | 6 |
| ზირკა | 11 | 0 | 5 | 6 | 6:21 | 5 |
| ჩორნომორეცი | 10 | 1 | 2 | 7 | 4:22 | 5 |

## საბერძნეთი

III ტური. კალამატა — ქსანთი 0:0; პანათინაიკოსი — პაოკი 1:1; პანაჰაიკი — ოფი 3:1; ეთნიკოსი — აეკ 1:3; ირაკლისი — ტრიკალა 4:1; პანილიაკოსი — კავალა 2:0; აპოლონი — ოლიმპიაკოსი 0:1; პანიონიოსი — იონიკოსი 2:0; პროდეფტიკი — არისი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 |
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| პანილიაკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| არისი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ირაკლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ეთნიკოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| პაოკ | 3 | 1 | 2 | 0 | 9:7 | 5 |
| იონიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| აეკ | 3 | 1 | 1 | 1 | 8:7 | 4 |
| პანაჰაიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ოფი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| კავალა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| ქსანტი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| კალამატა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| აპოლონი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ტრიკალა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| პრუდეფტიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

## ჩეხეთი

IX ტური. ბოჰემიანსი — ბუდეიოვიცე 0:1; ბრნო — დუკლა 0:0; ბანიკი — სპარტა 0:3; ლიბერეცი — იაბლონეცი 0:0; ბლშანი — ოპავა 1:0; ჰ. კრალოვე — ტეპლიცე 2:0; სიგმა — დრნოვიცე 1:2; სლავია — ვიკტორია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 9 | 7 | 2 | 0 | 14:4 | 23 |
| ბუდეიოვიცე | 9 | 6 | 1 | 2 | 15:11 | 19 |
| სპარტა | 9 | 4 | 4 | 1 | 20:8 | 16 |
| დრნოვიცე | 9 | 5 | 1 | 3 | 11:8 | 16 |
| ბოჰემიანსი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:6 | 13 |
| ბანიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:13 | 12 |
| ლიბერეცი | 9 | 2 | 6 | 1 | 8:7 | 12 |
| ბრნო | 9 | 3 | 2 | 4 | 10:12 | 11 |
| ტეპლიცე | 9 | 3 | 2 | 4 | 11:14 | 11 |
| ბლშანი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:14 | 11 |
| ოპავა | 9 | 2 | 3 | 4 | 13:12 | 9 |
| იაბლონეცი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:12 | 9 |
| დუკლა | 9 | 2 | 3 | 4 | 6:13 | 9 |
| ვიკტორია | 9 | 1 | 5 | 3 | 11:15 | 8 |
| სიგმა | 9 | 1 | 4 | 4 | 7:10 | 7 |
| ჰ. კრალოვე | 9 | 1 | 3 | 5 | 8:13 | 6 |

## პოლონეთი

XI ტური. რაძიონკოვი — პლოცკი 2:1; გროცლინი — ოდრა 0:1; პოლონია — ზაგლებე 1:1; რუხი — გურნიკი 2:1; ვისლა — ლკს 1:0; ვიძევი — ლეხი 2:2; პოგონი — ლეგია 2:4; ჰალექსი — ამიცა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუხი | 11 | 7 | 4 | 0 | 23:9 | 25 |
| პოლონია | 11 | 7 | 3 | 1 | 19:8 | 24 |
| ვისლა | 11 | 6 | 3 | 2 | 21:15 | 21 |
| ლეგია | 11 | 4 | 6 | 1 | 21:14 | 18 |
| ზაგლებე | 11 | 5 | 3 | 3 | 13:10 | 18 |
| ამიცა | 11 | 4 | 5 | 2 | 18:15 | 17 |
| პლოცკი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:15 | 17 |
| ჰალექსი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:14 | 16 |
| პოგონი | 11 | 3 | 6 | 2 | 15:16 | 15 |
| გურნიკი | 11 | 3 | 4 | 4 | 22:16 | 13 |
| რაძიონკოვი | 11 | 3 | 3 | 5 | 8:17 | 12 |
| ოდრა | 11 | 2 | 4 | 5 | 11:14 | 10 |
| ლკს | 10 | 2 | 4 | 4 | 5:8 | 10 |
| ვიძევი | 10 | 1 | 5 | 4 | 13:18 | 8 |
| ლეხი | 11 | 1 | 3 | 7 | 13:21 | 6 |
| გროცლინი | 11 | 0 | 1 | 10 | 6:25 | 1 |

## ნორვეგია

XXIV ტური. ბოდიო გლიმტი — ტრომსიო 1:3; კონგსვინგერი — სკეიდი 1:2; რუსენბორგი — ვიკინგი 3:2; სტრიომსგოდსეტი — მოსი 2:5; ვოლერენგა — ლილესტრიომი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 24 | 18 | 2 | 4 | 72:26 | 56 |
| ბრანი | 23 | 15 | 1 | 7 | 41:34 | 46 |
| ლილესტრიომი | 24 | 14 | 3 | 7 | 56:37 | 45 |
| მოლდე | 23 | 13 | 2 | 8 | 45:37 | 41 |
| ტრომსიო | 24 | 12 | 4 | 8 | 62:41 | 40 |
| სტაბეკი | 23 | 11 | 4 | 8 | 50:45 | 37 |
| ვიკინგი | 24 | 11 | 3 | 10 | 47:42 | 36 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 10 | 3 | 10 | 34:43 | 33 |
| ბოდიო გლიმტი | 24 | 9 | 4 | 11 | 47:50 | 31 |
| მოსი | 24 | 9 | 2 | 13 | 39:44 | 29 |
| ვოლერენგა | 24 | 7 | 3 | 14 | 36:50 | 24 |
| სტრიომსგოდ. | 24 | 7 | 3 | 14 | 41:58 | 24 |
| სკეიდი | 24 | 6 | 2 | 16 | 31:69 | 20 |
| კონგსვინგერი | 24 | 5 | 2 | 17 | 31:56 | 17 |

### თასის ნახევარფინალი

მოლდე 3:4 დ.დ. (3:3) ბრანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთი

XXVI ტური

**ჟემჩუჟინა 3:7 სპარტაკი**

0:1 შირკო (16), 0:2 რობსონი (19), 1:2 დემენკო (40), 1:3 ტიტოვი (43), 1:4 შირკო (61), 2:4 ზაცეპინი (69), 2:5, 2:6 რობსონი (72, 75), 3:6 მუსტაფინი (77), 3:7 ტიხონოვი (89)

**ლოკომოტივი 1:1 ზენიტი**

1:0 ჩერევჩენკო (72), 1:1 პეტუხოვი (76)

**კრილია 0:1 ურალანი**

0:1 ვოსკანიანი (82)

**ალანია 3:1 ჩერნომორეცი**

0:1 ზაიარნი (1), 1:1 კასიმოვი (61), 2:1 ემილიუ (77), 3:1 დემეტრაძე (81)

**დინამო 3:1 შინიკი**

1:0 კლიუევი (9), 2:0, 3:0 ტერიოხინი (43, 84), 3:1 სნიტკო (90)

**სატურნი 2:3 ცსკა**

1:0 მენშიკოვი (40), 1:1, 1:2 კულიკი (54, 62), 2:2 მედვედევი (65), 2:3 სემაკი (73)

**ტორპედო 1:2 როსტსელმაში**

0:1 ბოროვსკოი (37), 0:2 კირიჩენკო (52), 1:2 შკაპენკო (55პ)

**ნ. ნოვგოროდი 1:1 როტორი**

0:1 ტიშჩენკო (69), 1:1 ავაქოვი (73)

ვინ გახდება რუსეთის ღირსეული ჩემპიონი? ალბათ მოსკოვის „სპარტაკი", გუნდი, რომელმაც ბოლო 4 შეხვედრაში 18 გოლი გაიტანა, მიმდინარე სეზონში 11-ჯერ მოიგო დიდი ანგარიშით. გუნდი, რომელიც 16 ოქტომბერს გადამწყვეტ შეხვედრაში შინ იღებს მოსკოვის „ლოკომოტივს" და არც ერთი ფეხბურთელი არ ჰყავს ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებული. გუნდი, რომელიც რკინიგზელებთან მატჩის გარდა „დინამოსთან" ითამაშებს სტუმრად და „ალანიას" უმასპინძლებს.

თუ მოსკოვის „ლოკომოტივი" — გუნდი, რომელმაც შეძლო 11 შეხვედრა ზედიზედ მოეგო, 6-ჯერ დაამარცხა ანგარიშში დაწინაურებული მეტოქე (რუსეთის რეკორდი). გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრების 9 ფეხბურთელია... „ლოკომოტივი" „სპარტაკთან" სტუმრობის მერე შინ მიიღებს ცსკა-ს, ეწვევა ვოლგოგრადის „როტორს" და უმასპინძლებს „როსტსელმაშს".

და მაინც, ალბათ „სპარტაკი" მოიპოვებს ოქროს მედალს. 26-ე ტურმა საამისოდ მყარი საფუძველი შექმნა.

26-ე ტური ჩემპიონობის მაძიებელი „ლოკომოტივისთვის" შესაძლოა საბედისწერო გამოდგეს. რკინიგზელთა შინაურმა ფრემ ლიდერს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. დაკარგული ქულების მიხედვით „სპარტაკმა" მდევარზე 3-ით ნაკლები დაკარგა.

ოლეგ რომანცევის შეგირდებმა სოჭის „ჟემჩუჟინა" გაანადგურეს. სპარტაკელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა რობსონმა პირველი „რუსული" ჰეთ თრიქის გაკეთება შეძლო. წლევანდელ სეზონში ასეთი რამ მხოლოდ არმიელმა სემაკმა, სატურნელმა ნატალუშკომ და ალანიელმა დემეტრაძემ გაახერხეს. მეოთხე შეხვედრაა, უგოლოდ არ ტოვებს მოედანს „სპარატკის" გამთამაშებელი ეგორ ტიტოვი.

26-ე ტურში თითქმის გაირკვა ბრინჯაოსმედალოსნის ვინაობა. მოსკოვის ცსკა-ს ახლა ძნელად თუ შეეცილება ვინმე მესამე საფეხურს. ამ საქმეში არმიელებს „ტორპედო" „წამოეხმარა". მწვრთნელ ვიტალი შევჩენკოს დაბადების დღე შეგირდებმა შინ „როსტსელმაშთან" წაგებით „მიულოცეს"...

ცსკა-მ კი რამენსკოეში აჯობა მე-40 წუთზე დაწინაურებულ „სატურნს". შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა. მღელვარება ტრიბუნებსაც გადასწვდა. შედეგად — ადგილობრივი ომონელებისგან უმოწყალოდ ნაცემი სტუმართა ქომაგები და დამსხვრეული 350 ინდივიდუალური სკამი.

ქართველების „კრილიამ" კვლავ სტანდარტული მდგომარეობიდან (კუთხური) გაუშვა. ჩვენებურთაგან სამმა ითამაშა. კარს გვარამაძე იცავდა, ფოფხაძე 24-ე წუთზე შევიდა მოედანზე, წიკლაური კი თავდასხმაში მოქმედებდა. სამარელებს დიდი ბრძოლა მოუწევთ უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად.

გოგრიჭიანის პასი საგოლე გამოდგა „ნოვგოროდისა" და „როტორის" შეხვედრაში. ჩვენებურს გარჯა ავაქოვმა დაუფასა და წინ გასულ ვოლგოგრადელებს სამი ქულა არ დაანება.

სპანდერაშვილის „ჩერნომორეცი" ქართველების „ალანიას" სტუმრობდა და უსწრაფესი გოლით დაწინაურდა. ვლადიკავკაზელებმა შეძლეს მობილიზება და 3 უპასუხო ბურთი გაუტანეს მეტოქეს. რაც ყველაზე მთავარია, გიორგი დემეტრაძემ განაახლა გოლების გატანა. ისე, რომ იცოდეთ მსაჯობით უკმაყოფილო სტუმრებმა შეხვედრის შედეგი გააპროტესტეს...

და ისევ ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივზე" ვთქვათ. თუმც უკეთესია, გუნდის მთავარ მწვრთნელ იური სიომინს მოვუსმინოთ: „როცა „ზენიტს" გავუტანეთ, ბიჭებმა ზედმეტად გაიხარეს. მხოლოდ ბურთის მოცილება დაიწყეს და მეტოქემაც უმალ გაათანაბრა. რაც შეეხება ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ვფიქრობ, სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. ყველაფერი 16 ოქტომბრის შეხვედრაში გადაწყდება. ვინც იმ მატჩს მოიგებს, ჩემპიონიც ის გახდება..."

**ხვიჩა სანიკიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | 19 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | 17 |
| ავაქოვი (ნ. ნოვგოროდი) | 13 |
| ტერიოხონი (დინამო) | 13 |
| ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 13 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 27 | 20 | 5 | 2 | 68:23 | 65 |
| ლოკომოტივი | 26 | 18 | 5 | 3 | 58:26 | 59 |
| ცსკა | 26 | 13 | 9 | 4 | 48:26 | 48 |
| ტორპედო | 26 | 11 | 10 | 5 | 34:29 | 43 |
| ალანია | 26 | 11 | 6 | 9 | 49:36 | 39 |
| დინამო | 26 | 11 | 6 | 9 | 40:35 | 39 |
| ზენიტი | 26 | 9 | 9 | 8 | 32:29 | 36 |
| როსტსელმაში | 26 | 9 | 7 | 10 | 28:32 | 34 |
| ურალანი | 26 | 8 | 5 | 13 | 21:32 | 29 |
| ნ. ნოვგოროდი | 26 | 8 | 5 | 13 | 29:43 | 29 |
| სატურნი | 26 | 7 | 7 | 12 | 25:35 | 28 |
| ჩერნომორეცი | 26 | 7 | 7 | 12 | 25:40 | 28 |
| როტორი | 26 | 6 | 8 | 12 | 31:46 | 26 |
| კრილია | 27 | 6 | 6 | 15 | 33:45 | 24 |
| ჟემჩუჟინა | 26 | 5 | 9 | 12 | 25:47 | 24 |
| შინიკი | 26 | 4 | 8 | 14 | 17:39 | 20 |



ჟემჩუჟინა — სპარტაკი 3:7. მოსკოველმა რობსონმა (მარცხნივ) რუსეთის ჩემპიონატში პირველი ჰეთ თრიქი გაახერხა

## ჰოლანდია

VII ტური

**ტილბურგი 3:6 აიაქსი**

0:1, 0:2 კნოპერი (3, 15), 0:3 მახლასი (31), 1:3 ბომბარდა (43), 2:3 სანუ (52), 2:4 მახლასი (53), 2:5 ლაუდრუპი (87), 3:5 გალაშეკი (89), 3:6 ბაბანგიდა (90)

**ალკმარი 0:0 ფეიენოორდი**

**უტრეხტი 1:2 როდა**

1:0 მარტელი (29), 1:1 პეეტერსი (49პ), 1:2 დომერნიკი (90)

**ვიტესი 5:1 ნაიმეგენი**

1:0 ვან ჰოიდონკი (17), 1:1 დ. ჰესპი (20), 2:1 ვან ჰოიდონკი (26), 3:1 სიკორა (65), 4:1 ვან ჰოიდონკი (87), 5:1 ამოა (90)

**ტვენტე 3:2 დენ ბოსხი**

1:0 დე ვიტე (2), 2:0 ჰოიბახი (5), 2:1 ჯონსი (30), 2:2 პ. ვან დერ ლაანი (48პ), 3:2 ა. ვან დერ ლაანი (58პ)

**პსვ 7:0 სპარტა**

1:0 ვან ბომელი (1), 2:0 ვან ნისტელროი (26), 3:0 ნილისი (45), 4:0 ვან ნისტელროი (56), 5:0 ხოხლოვი (63), 6:0 კოლკა (72), 7:0 ვან ნისტელროი (85პ)

**სიტარდი 4:1 კამბური**

1:0 ვოლმერი (11), 2:0 ჰამინგი (14), 2:1 ვან დერ ჰაიდე (30პ), 3:1, 4:1 ჰამინგი (55, 73)

**ვალვაიკი 2:1 გრააფსხაპი**

0:1 მეერდინკი (41), 1:1 დე გრეფი (74), 2:1 ჰოოგენდორპი (76)

**მაასტრიხტი 1:3 ჰერენვენი**

1:0 პერესი (35), 1:1 ტალანი (42), 1:2, 1:3 ლურლინგი (65, 77)

ამ უქმეებზე ჰოლანდიაში ნამდვილი გოლთაცვენა იყო. 9 მატჩში 42 ბურთი გავიდა. სამმა ფეხბურთელმა ჰეთ თრიკი შეასრულა.

შოთა არველაძის გარეშე მოთამაშე „აიაქსმა" გასვლაზე ჩემპიონთა ლიგის მონაწილე „ტილბურგი" დაიბრიყვა 3:6. პირველი ორი ბურთი რიხარდ კნოპერმა შეაგდო. ორივე საჯარიმოს მისადგომებიდან. მერე ამას ბერძენი ნიკოს მახლასის წყვილიც მოჰყვა. მეორედ, 53-ე წუთზე მან ეფექტური თავურით დააგვირგვინა ბრიან ლაუდრუპის გადაცემა. ბოლო სამ წუთში ლაუდრუპმა და ტიჯანი ბაბანგიდამ მასპინძელთა განადგურებას წერტილი დაუსვეს. საინტერესოა, რომ „ტილბურგმა" პრაღის „სპარტასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის ჩათვლით, ბოლო სამ შეხვედრაში 16 ბურთი გაუშვა.

„აიაქსმა" 17 ქულა მოაგროვა და ერთით ჩამორჩება პსვ-ს, რომელსაც 6 თამაშის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი მოუგროვდა და ამ ჯერზე როტერდამის „სპარტა" გაალამტვერა 7:0. სამი ბურთი ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდმა, შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლემ, 23 წლის რუდ ვან ნისტელროიმ გაიტანა. ეს ვან ნისტელროის მეორე ჰეთ თრიკია მიმდინარე სეზონში და ახლა 11 გოლით ბომბარდირთა სიას ლიდერობს. საერთო ჩათვლაში მასზე ერთით ნაკლები გაიტანა „ვიტესის" თავდამსხმელმა პიერ ვან ჰოიდონკმა, რომელმაც ბოლო ტურში „ნაიმეგენთან" ასევე სამჯერ შეაგდო. მესამე მეჰეთთრიკე კი „სიტარდის" რონალდ ჰამინგი გახლავთ. ამ შაბათს „კამბურის" მეკარეს მან სამჯერ გამოატანინა ბურთი ბადიდან.



ტილბურგი — აიაქსი 3:6. ბრიან ლაუდრუპი ნიკოს მახლასს (№9) მეორე გატანილ გოლს ულოცავს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 6 | 6 | 0 | 0 | 27:5 | 18 |
| აიაქსი | 7 | 5 | 2 | 0 | 24:11 | 17 |
| ფეიენოორდი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| ვალვაიკი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| როდა | 7 | 4 | 1 | 2 | 12:9 | 13 |
| ტილბურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 17:18 | 13 |
| ვიტესი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:14 | 11 |
| ტვენტე | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 10 |
| ჰერენვენი | 7 | 3 | 1 | 3 | 13:12 | 10 |
| ალკმარი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| უტრეხტი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | 9 |
| დენ ბოსხი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:12 | 6 |
| სპარტა | 6 | 2 | 0 | 4 | 8:14 | 6 |
| სიტარდი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:13 | 4 |
| გრააფსხაპი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:9 | 3 |
| კამბური | 7 | 0 | 2 | 5 | 6:20 | 2 |
| მაასტრიხტი | 7 | 0 | 2 | 5 | 8:24 | 2 |
| ნაიმეგენი | 5 | 0 | 1 | 4 | 8:16 | 1 |

## ბელგია

VIII ტური

**ჰარელბეკე 2:3 ლოკერენი**

ჰარელბეკედან: პაასი, ვერპუნი; ლოკერენიდან: ვან გენოიგდენი, პენიკა, იანსენსი

**აალსტი 1:0 გეელი**

1:0 დელმანსი (17)

**ვესტერლო 1:0 ბრიუგე**

1:0 პელიჩი

**ანდერლეხტი 2:2 ბეერსხოტი**

ანდერლეხტიდან: კოლერი, რაძინსკი; ბეერსხოტიდან: ჰოფმანსი, დეგრიზი

**გენკი 2:2 ლიერსი**

0:1 ვან დე ვეიერი (59), 1:1 ნსუმბუ (80), 1:2 ჰიუსმანსი (85), 2:2 შტრუპარი (92)

**მეხელენი 3:2 სტ.ტრუიდენი**

მეხელენიდან: ვან ჰუტი, რიბუსი, ელიასი; სტ. ტრუიდენიდან: ფიერსი, მერტენსი

**გენტი 6:2 ლომელი**

1:0 არსტი (3), 2:0, 3:0 სხეპენსი (12, 39), 3:1 დეკელვერი (45), 4:1 არსტი (51), 5:1 სხეპენსი (60), 5:2 გრანტი (92), 6:2 ჟოლი (95)

**სტანდარდი 3:1 ბევერენი**

1:0, 2:0 ტიისი (82, 86), 2:1 დე მეიერი (87), 3:1 მ. მპენზა (80)

**შარლერუა 2:1 მუსკრონი**

1:0 ბრონო (13პ), 1:1 დუგარდენი (43), 2:1 კაკლამანოსი (90)

კვირას, ბელგიის ჩემპიონატის მორიგ ტურში, სტუმრად „გენკთან" ნათამაშევი ფრის შემდეგ საქართველოს ნაკრების მცველის, გელა შეყილაძის „ლიერსი" ცხრილის სათავეში მოექცა. მისმა უშუალო კონკურენტმა „ანდერლეხტმა" შინ მხოლოდ ფრე — 2:2 გაახერხა „ბეერსხოტთან", ხოლო „ბრიუგემ" საერთოდ დათმო შეხვედრა სტუმრად „ვესტერლოსთან" და მიმდინარე სეზონში პირველი წაგება ჩაიწერა. „ლიერსი" „გენკთან" შეხვედრაში ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო მატჩის მოგება, დამატებულ დროში „გენკში" მოთამაშე ხორვატმა ფორვარდმა ბრანკო შტრუპარმა ანგარიში გაქვითა და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა — 2:2.

მას შემდეგ, რაც „ლიერსმა" ორი ქულა დაკარგა, მის უახლოეს მდევარ „ანდერლეხტს" ჩემპიონატის ლიდერობის მშვენიერი შანსი მიეცა, მაგრამ 3 ქულის აღება მანაც ვერ მოახერხა, თუმც თეორიულად მაინც ინარჩუნებს პირველობის შანსს, რადგან „ლიერსს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება და მასზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ვერ მოიგო თამაში მეორე მდევარმა, „ბრიუგემ", რომელმაც მას შემდეგ, რაც უეფას თასზე ისრაელის ჰაპოელის „ჰაიფა" გაანადგურა, ეტყობა, ძალები ველარ მოზომა, გადაილალა და ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად გაუმართლა „ვესტერლოსთან" 1:0-ზე მეტი რომ არ წააგო. მატჩში აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა „ვესტერლოსა" და ბელგიის ჩემპიონატის ბომბარდირმა ტონი ბრონომ, რომელმაც ორი მეტრიდან ააცილა კარს: ახლა „ბრიუგე" „ლიერსს" სამი ქულით ჩამორჩება, მაგრამ მასაც „ანდერლეხტის" მსგავსად მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

გათამაშების ცხრილის ძირში მყოფმა „ლოკერენმა" სეზონში პირველად გაიმარჯვა სტუმრად „ჰარელბეკესთან" ანგარიშით 2:3.

კიდევ ერთი მატჩი „აალსტსა" და „გეელს" შორის ამ უკანასკნელის მარცხით დასრულდა — 1:0. „გეელს" მიმდინარე სეზონში მხოლოდ ოთხი გოლი აქვს გატანილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიერსი | 8 | 6 | 1 | 1 | 20:10 | 19 |
| ანდერლეხტი | 7 | 5 | 2 | 0 | 21:12 | 17 |
| ბრიუგე | 7 | 5 | 1 | 1 | 20:4 | 16 |
| გენტი | 8 | 5 | 0 | 3 | 24:15 | 15 |
| ბეერსხოტი | 8 | 4 | 2 | 2 | 17:13 | 14 |
| ვესტერლო | 7 | 4 | 2 | 1 | 16:12 | 14 |
| გენკი | 8 | 3 | 4 | 1 | 22:14 | 13 |
| აალსტი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:12 | 13 |
| შარლერუა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:11 | 13 |
| სტანდარდი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:14 | 10 |
| მეხელენი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:19 | 10 |
| მუსკრონი | 8 | 2 | 2 | 4 | 14:17 | 8 |
| ჰარელბეკე | 8 | 1 | 3 | 4 | 9:14 | 6 |
| ლოკერენი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:14 | 6 |
| ლომელი | 8 | 1 | 3 | 4 | 12:20 | 6 |
| სენტ ტრუიდენი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:18 | 6 |
| გეელი | 8 | 0 | 5 | 3 | 4:12 | 5 |
| ბევერენი | 7 | 0 | 1 | 6 | 8:23 | 1 |

## ავსტრია

XIV ტური. ტიროლი — აუსტრია 0:2; ბრეგენცი — ლუსტენაუ 2:0; ლინცერი — ზალცბურგი 2:4; გრაცერი — შტურმი 1:0; რაპიდი — რიდი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 14 | 11 | 0 | 3 | 27:12 | 33 |
| რაპიდი | 14 | 8 | 3 | 3 | 24:14 | 27 |
| აუსტრია | 14 | 7 | 3 | 4 | 20:15 | 24 |
| შტურმი | 14 | 6 | 4 | 4 | 22:11 | 22 |
| რიდი | 14 | 6 | 2 | 6 | 23:16 | 20 |
| გრაცერი | 14 | 6 | 2 | 6 | 20:21 | 20 |
| ზალცბურგი | 14 | 5 | 3 | 6 | 12:14 | 18 |
| ლუსტენაუ | 14 | 4 | 2 | 8 | 13:23 | 14 |
| ბრეგენცი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:33 | 11 |
| ლინცერი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:25 | 9 |

## ლატვია

23-ე ტური. დინაბურგი — მეტალურგსი 0:1; ვენტსპილსი — რეზეკნე 7:1; რიგა — ვალმიერა 0:0; პოლიციასი — სკონტო 0:12

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 21 | 18 | 0 | 3 | 69:11 | 54 |
| მეტალურგსი | 22 | 15 | 3 | 4 | 60:19 | 48 |
| ვენტსპილსი | 22 | 15 | 2 | 5 | 49:19 | 47 |
| დინაბურგი | 23 | 11 | 5 | 7 | 30:24 | 38 |
| ვალმიერა | 23 | 7 | 5 | 11 | 27:37 | 26 |
| რიგა | 23 | 6 | 4 | 13 | 21:38 | 22 |
| პოლიციასი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:66 | 20 |
| რეზეკნე | 23 | 0 | 2 | 21 | 10:75 | 2 |

## დანია

X ტური. ვაილე — ოდენსე 1:1; ბრიონდბიუ — ორჰუსი 3:0; აკადემისკი — კოპენჰაგენი 1:2; ჰერფიოლგე — ვიბორგი 2:1; ლიუნგბიუ — სილკებორგი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 10 | 6 | 4 | 0 | 19:11 | 22 |
| აკადემისკი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:6 | 21 |
| ბრონდბიუ | 10 | 6 | 1 | 3 | 18:11 | 19 |
| ოლბორგი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:11 | 17 |
| ვიბორგი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:13 | 17 |
| სილკებორგი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:9 | 14 |
| ლიუნგბიუ | 10 | 4 | 1 | 5 | 13:13 | 13 |
| კოპენჰაგენი | 10 | 4 | 1 | 5 | 9:10 | 13 |
| ოდენსე | 10 | 1 | 5 | 4 | 8:14 | 8 |
| ვაილე | 10 | 1 | 5 | 4 | 9:18 | 8 |
| ორჰუსი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:17 | 6 |
| ესბიერგი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:21 | 4 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# სტანდარტული დასაწყისი

**საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური**

თბილისი. ვერის ბაღი
2 ოქტომბერი

**სსუ 70:107 თსუ**

I ტაიმი 38:58
სსუ: გ. ჟღენტი (7), ბ. ბერიშვილი (29), თოდუა (10), ფენდერავა (4), ბ. ვაშაკიძე (4); ლაცუზბაია (2), ტატუნაშვილი, ერქვანია (3), სორდია (11)
თსუ: ვეფხვაძე (6), ხეცურიანი (16), ნონელია (20), მარკოიშვილი (22), არსიაშვილი (10); ნათობაძე (2), მშვილდაძე (2), გელაშვილი (7), ქარჩავა (2), თაბუაშვილი (7), სანიკიძე (9), გ. ბერუაშვილი (4)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური**

თბილისი. ვერის ბაღი
2 ოქტომბერი

**შევარდენი 57:84 სტუ**

I ტაიმი 32:45
შევარდენი: ორჯონიკიძე (9), კაზანჯიანი (12), შ. გაგნიძე (17), მაჭავარიანი (10), ლვინეფაძე (4); მესხი (5)
სტუ: მიქაძე (9), თორთლაძე (12), ორმოცაძე (13), მინაშვილი (18), ოთიურიძე (10); კორძაძე (8), მოისწრაფიშვილი (11), სულაძე, ლოსაბერიძე (3)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**როლანდ ლაბუჩიძე**

შაბათს გამართული შეხვედრებიდან პირველნი მოედანზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი სოხუმის ფილიალის კალათბურთელები გამოვიდნენ.

მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის წინ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს ორივე გუნდის წარმომადგენლებმა. ლევან ქარაბაკთან ერთად, რომელიც საკალათბურთო მოღვაწეობას ესტონეთის „ბკ ტალინის“ რიგებში აგრძელებს, თსუს შემადგენლობაში აღარ ჩანან გამოცდილი არჩილ ხელაშვილი, ოდისეი დიმიტრიადი და ლევან მგალობლიშვილი. თბილისელთა გუნდის უფროსის ვლადიმერ უგრეხელიძის თქმით, ეროვნებით ბერძენ და საქართველოში აღზრდილ დიმიტრიადის საბერძნეთის მოქალაქეობა მიუღია და, ბუნებრივია, კალათბურთსაც ისტორიულ სამშობლოში ითამაშებს. მის მეგობარ მგალობლიშვილს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, მაგრამ ალბათ ისიც საბერძნეთს მიაშურებს, ოღონდ, ოდისეისგან განსხვავებით, მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პასპორტით. რაც შეეხება ხელაშვილს, იმდენად დაკავებულია სამსახურით, რომ წუთითაც არ აქვს მოცლა და თუ დრო გამონახა, აუცილებლად დაგვეხმარებაო — დასძინეს ბოლოს თსუ-ს წარმომადგენლებმა.

სწორედ ხელაშვილის მოუცლელობით შეიძლება აიხსნას, რომ თსუ-ს რიგებში გამოჩნდა 37 წლის ცენტრი გიორგი („ჯაგა“) ბერუაშვილი, რომელმაც ბოლოს სამი წლის წინ, რუსთავის „აზოტის“რიგებში ითამაშა. არმიიდან თსუ-ს დაუბრუნდა ირაკლი გელაშვილი. „მართვედან“ მოწვეულ რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენთან ერთად თსუ-ს დებიუტანტები არიან ექს-დინამოელები — შიო ხეცურიანი, ზურაბ სანიკიძე და ლაშა ახოიშვილი.

რაც შეეხება სოხუმელთა რიგებს. თუ დავით უგრეხელიძე და ირაკლი კეიდია სლოვენიაში გადაბარგდნენ, გუნდის კიდევ ერთმა წამყვანმა კალათბურთელმა ლევან კვაჭაძემ ბათუმს მიაშურა და ექსთანაკლუბელ გოგიტა ბერიასთან ერთად ახალი საკალათბურთო სეზონიდან „ბასკოში“ ითამაშებს. ლევან ქარუმიძეს კი უთქვამს: სწავლაში ხელი მეშლება და მთელი დრო იურისპუდენციის შესწავლას უნდა დავუთმოო. სოხუმელთა მთავარი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია თავის მხრივ გულს იმშვიდებს — 15 წლის დავით ერქვანიასა და კიდევ რამდენიმე იმედისმომცემი კალათბურთელის სახით ისეთი ბავშვები აღმოვაჩინე, ცქიტიშვილი და უგრეხელიძე მონაგონი იქნებაო. ვაჟა კვარაცხელიამ, ერქვანიასთან ერთად, იმედისმომცემ კალათბურთელად, ალბათ ირაკლი სორდია იგულისხმა, რომელმაც რამდენიმე სამქულიანი ჩააგდო და ფარქვეშიდან ისე ოსტატურად მოათავსა ბურთი თბილისელთა კალათში, რომ გამოცდილ სპორტსმენსაც შემშურდებოდა. გუნდის ლიდერი კი უდავოდ ანატოლი (ბუბა) ბერიშვილი იყო. ბერიშვილმა, რომელმაც ბოლო დროს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ხელმძღვანელობასაც მოაწონა თავი, დაცვაში კარგ თამაშთან ერთად თავდასხმაშიც იყოჩაღა.



შევარდენი — სტუ. გოდერძი კორძაძემ (№4) პირველად ითამაშა სტუდენტთა რიგებში

ბევრად უფრო გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ თსუ-ს გამარჯვებაში (რაშიც თამაშამდე ეჭვი არავის შეჰპარვია) განაცხადში შეყვანილმა ათივე კალათბურთელმა დაიდო წილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხეცურიანი და სანიკიძე, რომლებიც კარგად მოერგნენ ახალ გუნდს, რაც შეეხება გიორგი ბერუაშვილს, იგივე „ჯაგას“, იგივე „ვასილიჩს“, მისი სათამაშო ფორმის ავკარგიანობაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან იგი მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე და თანაც უკვე გადაღლილ და ახალგაზრდა, გამოუცდელი კალათბურთელებით დაკომპლექტებული სსუ-ს წინააღმდეგ.

სტუ — „შევარდენის“ შეხვედრის წინ ფავორიტად მიჩნეული სტუდენტების უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო მაშინ გახდა, როდესაც მეტოქემ ათი კალათბურთელის ნაცვლად ექვს სპორტსმენს ძლივს მოუყარა თავი და პირველი ტურის რიგით მეხუთე შეხვედრა ჩაშლას გადაურჩა. მეცხრე ეროვნულის წინა დღით, 30 სექტემბერს კალათბურთის ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით „შევარდენს“ უბრუნდებოდნენ ორჯონიკიძე, ქევხიშვილი, გიგაური (ყველა სდასუ), ნუცუბიძე და აკოლაშვილი (ორივე ასკ). „შევარდენის“ მთავარი მწვრთნელის გივი კოშკელოვის თქმით, ტრიბუნებზე მსხდომ ქევხიშვილსა და გიგაურს მცირე ტრავმა აწუხებდათ და მალე გუნდში იქნებიანო. რაც შეეხება ნუცუბიძეს და აკოლაშვილს, სამხედრო სავალდებულო სამსახური ჯერაც არ დაუმთავრებიათ და ასკ-მა არ დაგვანებაო. სხვა კალათბურთელების ლიცენზიებისათვის კი დრო არ გვეყოო — თქვა კოშკელოვმა.

შეხვედრის კომისრის, ნოდარ დარახველიძის თქმით, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდს თუ სათადარიგოთა სკამზე ხუთზე ნაკლები კალათბურთელი უზის, ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე, უნდა დაჯარიმდეს სამასი ლარით. როდესაც ფედერაცია ჩემპიონატის დებულებას დაიცავს, ალბათ მაშინ უფრო ისწავლის საქმისადმი სერიოზულ მიდგომას „შევარდენის“ ხელმძღვანელობა.

ამიტომაც იყო, რომ ისედაც ფავორიტად მიჩნეულ სტუ-ს გამარჯვება რეალობასთან ძალზე ახლოს იყო. მართალია, მერვე ეროვნულის ბრინჯაოს პრიზიორმა რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი მოისაკლისა (გიგი ნაცვლიშვილი, შალვა ცხვედიანი, ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი გაგნიძე...), მაგრამ სამაგიეროდ ისეთი შევსება მიიღო (გოდერძი კორძაძე, ამროსი ორმოცაძე, ზურაბ ჩუბინიძე, დავით თორთლაძე), რომ მეცხრე ეროვნულში უკეთესი შედეგის მიღწევის შანსი გაუჩნდა.

ექვსი კალათბურთელით მოთამაშე „შევარდენმა“ სანამ ძალა ეყო, იბრძოლა. კაზანჯიანის სროლის შემდეგ მეოთხე წუთზე ანგარიში საყაიმო იყო — 9:9. მართალია წინ გასვლა ვერ მოახერხა, მაგრამ არც მეტოქეს აძლევდა დიდი ანგარიშით დაწინაურების საშუალებას. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ტაიმის ბოლოს შეუცვლელად მოასპარეზე „შევარდენს“ დაღლა დაეტყო, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. საავიაციო ქარხნის გუნდმა პირველი შეცვლა მეთოთხმეტე წუთზე გააკეთა, როდესაც ანგარიშში სხვაობა თანდათან იზრდებოდა სტუს სასარგებლოდ. შეცვლაზე შესულ ირაკლი მესხს თავი დიდად არ გამოუჩენია და მხოლოდ ერთი ქულით შეეწია თანაგუნდელებს.

მეორე ტაიმში შეხვედრამ ფორმალური სახე მიიღო. სტუდენტებმა თამაში ახალგაზრდა ცენტრ ვახტანგ მინაშვილზე ააგეს, რომელმაც პირველ ტაიმში მოპოვებულ ორ ქულას მეორეში თექვსმეტი დაუმატა.

მართალია სტუს „შევარდენის“ დამარცხება არ გასჭირვებია, მაგრამ მსაჯების მიმართ ბილწსიტყვაობას მაინც ვერ ავცდით. შეიძლება ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მსაჯს, ლაშა თოიძეს მართლაც ჰქონდა შეცდომები, მაგრამ სტუდენტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის ვაჟა ჭკუასელის მხრიდან თოიძის უცენზურო სიტყვებით „შემკობა“, აშკარად მოულოდნელი იყო.



ბასკო — გორი. ვალერი კილაძე (№7) გორელთა ფარს უტევს

# ორმხრივი დებიუტი

**საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური**

ბათუმი
3 ოქტომბერი

**ბასკო 89:72 გორი**

I ტაიმი 47:33
ბასკო: მაისურაძე (7), აბრამიძე (14), დავითულიანი (26), ბეჟანიშვილი (10), კეშელავა (5); ვ. კილაძე (14), კვაჭაძე (1), ჭეიშვილი (10), ბერია (2)
გორი: დ. იაშვილი (8), გრძელიშვილი (13), ნინოშვილი (13), ფსუტური (12), მანველიშვილი (6); ცაცებაშვილი (2), კურტანიძე (18), აბრამიშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე სპორტსკოლის პატარა, კოპწია დარბაზში ანშლაგი იყო: კვირას იქ მეცხრე ეროვნულმა საკალათბურთო სეზონმა შეაბიჯა. წავიდა ის დრო, როცა მხოლოდ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში შეყუჟულიყო ჩვენი საკალათბურთო ელიტა. ამიერიდან ჩემპიონატის თამაშებს ბათუმშიც ნახავენ, სადაც საკალათბურთო ტრადიციებს ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

ახალი სეზონის საზეიმო გახსნა შთამბეჭდავი გამოუვიდათ მასპინძლებს. მილოცვის შემდეგ კაპიტნებმა ირაკლი ჭეიშვილმა და დავით იაშვილმა ეროვნული ჰიმნის ფონზე ეროვნული ალამიც აღმართეს. ბათუმში სეზონის გახსნას თვით ასლან აბაშიძემ დასდო პატივი იქ მობრძანებით.

დასაწყისში ორივე გუნდი ღელავდა. ეს არც არის გასაკვირი, ორივენი ხომ დებიუტანტები არიან. თამაშის და „ბასკოს“ პირველი ქულა საჯარიმოთი ალეკო დავითულიანმა ჩააგდო. გორელთა პასუხმაც არ დააყოვნა და გრძელიშვილის სამქულიანით სტუმრები პირველად და, როგორც გაირკვა უკანასკნელად გავიდნენ წინ. პირველ წუთებში დავითულიანი ვერ შეჩერეს. თავად განსაჯეთ: მასპინძელთა საწყის 11 ქულაში, მისი წილი 9 ქულა გახლდათ და მხოლოდ მაისურაძემ შეძლო ორ ქულიანით ჩაზიარება. დავითულიანს სხვებმაც კარგად აუბეს მხარი და მე-12 წუთისათვის სხვაობა უკვე — 22:12 გახდა.

„გორი“ ამას არ შეეპუა და კურტანიძის და ფსუტურის მეოხებით სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანა. მაგრამ ამან აჭარლები ერთობ გაალიზიანა და ისევ დავითულიანმა, კეშელავამ და ჭეიშვილმა ზედიზედ შედეგიანად ისროლეს, ხოლო მაისურაძის ერთმა საჯარიმომ პირველ ტაიმში 14 ქულიანი სხვაობა დააფიქსირა — 47:33.

„ბასკო“ დებიუტანტი კია, მაგრამ შემადგენლობით ბევრს არ ჩამოუვარდება. მაისურაძე, ბეჟანიშვილი, დავითულიანი და აბრამიძე ხომ საკმაოდ დიდი ძალაა. ჰოდა, სწორედ ამათი კარგი თამაში არავისთვის არ იყო მოულოდნელი. თუმცა, მამუკა აბრამიძეს პირველ ტაიმში კაცი ვერ იცნობდა. მას თავიდანვე უილბლობა დასჩემდა, ერთი სროლაც კი არ გამოუვიდა და ბათუმელთა მწვრთნელმა ალთაბაევმა სათადარიგოთა სკამზე დასვა კიდეც. მეორე ახევარში აბრამიძე ყველასგან გამორჩეულად ათამაშდა და ტაიმის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი აღმოჩნდა 14 ქულით.

„ბასკო“ თანდათან მძლავრობდა და სხვაობაც ნელნელა იზრდებოდა. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე „გორი“ უკვე 26 ქულას ჩამორჩებოდა — 49:75. ქართლელებმა ერთი კიდევ წაიბრძოლეს, სხვაობა 14 ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ აბრამიძის ჩინებულმა თამაშმა ყველაფერი ნათელჰყო. ზედიზედ ჩაგდებული ოთხი ბურთი და ისევ 26 ქულა — 87:61.

ბოლო ორ წუთში გორელებმა მოშვებულ მასპინძლებს 11 ქულა „ამოუქაჩეს“, ამას კი, ბასკოელმა აბრამიძემ მხოლოდ ერთი შედეგიანი სროლით უპასუხა. თუმცა, ამით მერე რა? გორელებისთვის არც არაფერი.

**საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 1 | 1 | 0 | 107:70 | 2 |
| სტუ | 1 | 1 | 0 | 84:57 | 2 |
| მაკაბი | 1 | 1 | 0 | 83:60 | 2 |
| აზოტი | 1 | 1 | 0 | 94:73 | 2 |
| ბასკო | 1 | 1 | 0 | 89:72 | 2 |
| ვითა | 1 | 1 | 0 | 93:84 | 2 |
| სდასუ | 1 | 0 | 1 | 84:93 | 1 |
| გორი | 1 | 0 | 1 | 72:89 | 1 |
| ასკ | 1 | 0 | 1 | 73:94 | 1 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 60:83 | 1 |
| შევარდენი | 1 | 0 | 1 | 57:84 | 1 |
| სსუ | 1 | 0 | 1 | 70:107 | 1 |

# უფროსილდით დაუფასებელს!

## სლოვენია

IV ტური

**სლოვანი 62:68 მარიბორი**

სლოვანი: ლაკოვიჩი (18), ჟაკელი, შინკოვეცი (8), ჯურკოვიჩი (4), კოვაჩი (1), პავიჩი, ბოისა (11), მარავიჩი (7), შუშტარშიჩი (11), ცქიტიშვილი (2)

მარიბორი: პეტროვიჩი (8), გლადოვიჩი, რავნიკარი (17), ბროლიჰი (6), ტოვორნიკი (21), რიტონია (9), ლოვშე (7), ვიდენშეკი

„სლოვანს" ახლა კი ნამდვილად შეეტყო ახალგაზრდობა და გამოუცდელობა. ყველა მეტოქეს რომ დაფასება უნდა, ლიუბლიანელმა კალათბურთელებმა გვიან გააზრეს და ამიტომაც დათმეს შეხვედრა აუტსაიდერ „მარიბორთან".

„სლოვანს" არ ჰყავდა ლიდერი ერნესტ ნოვაკი: წინა ტურში, „როგლა ატრასის" წინაამდეგ იჩხუბა და დისკვალიფიკაცია მისცეს. მიუხედავად ამისა, ლიუბლიანელებმა მაინც ფავორიტებად ითვლებოდნენ. მათმა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა ექსპერიმენტს მიმართა და სასტარტო ხუთეულში ვლადიმერ ბოისას ნაცვლად ნიკა ცქიტიშვილი დააყენა.

ცქიტიშვილმა 13 წუთი ითამაშა და ერთადერთხელ ნასროლი ბურთი ჩააგდო. ბოისამ 27 წუთი დაჰყო მოედანზე, ექვსიდან სამი ორქულიანი და ექვსიდან ხუთი საჯარიმო გამოიყენა, ამას 8 მოხსნა, ერთი პასი და 3 ჩაჭრა დაურთო.

„სლოვანმა" უგულისყუროდ დაიწყო მატჩი, რითაც ისარგებლა მეტოქემ და დაწინაურების შანსი ხელიდან არ გაუშვა. შესანიშნავად ითამაშა „მარიბორის" ლიდერმა, სლოვენიის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა მატიაჟ ტოვორნიკმა. ამ 40 წლის კაცმა პირველ ტაიმში 18 ქულა გააკეთა, ხოლო მისი გუნდი შესვენებაზე ოთხქულიანი უპირატესობით (35:31) წავიდა.

„სლოვანმა" ყველა სტატისტიკური მონაცემით დაჩაგრა მეტოქე, გარდა ერთისა: „მარიბორმა" ნასროლი სამქულიანების 57 პროცენტი ჩააგდო, „სლოვანმა" — 26. სწორედ შორმა სროლებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი: დასასრულისკენ ანგარიში თანაბარი იყო, მაგრამ მარიბორელებმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდეს და ისედაც მოშლილი „სლოვანი" მთლად გამოიყვანეს წონასწორობიდან.

დავით უგრეხელიძეს არ უთამაშია. სულ 8 წუთი იყო მოედანზე „სლოვანის" ძირითადი ცენტრი პაველ ჯურკოვიჩი. „მარიბორი" დაბალი გუნდი ყოფილა (ყველაზე მაღალი მოთამაშე 2 მეტრია), ამიტომ ლიუბლიანელთა მწვრთნელს ტომო მაჰორიჩს უცენტროდ თამაშის ტაქტიკა აურჩევია, რამაც, საბოლოოდ, ვერ გაამართლა.

მომდევნო ტურში „სლოვანი" ნოვო მესტოში ესტუმრება „კრკას".

# იუტას თეთრები დარჩნენ

30 სექტემბერს გადაწყდა, რომ „იუტა ჯაზი" ახალ სეზონში მაყურებელს ძველი შემადგენლობით წარუდგება. გუნდში კვლავ დარჩება ორი ვეტერანი თეთრი უკანახაზელი ჯონ სტოქტონი და ჯეფ ჰორნაჩეკი. კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ისტორიაში უძლიერეს პასის მიმცემ და ბურთის ჩამჭრელ ჯონ სტოქტონს „ჯაზმა" ორწლიანი და 22 მილიონიანი კონტრაქტი დაუდო, მისი მეწყვილე უკანა ხაზში, ჰორნაჩეკი კი კონტრაქტის მიხედვით ერთ წელიწადში 5,2 მილიონს მიიღებს.

„მოხარული ვარ, რომ კვლავ ამ გუნდში ვრჩები და კარიერასაც აქ დავასრულებ" — ამბობს ჯონ სტოქტონი, რომელიც აგერ უკვე 15 წელიწადია, იუტას ერთგულია და თუ გუნდი რაიმეს წარმოადგენს და რაიმესთვის მიუღწევია, ყველაზე მეტად სწორედ მისი და კარლ მელოუნის დამსახურებაა. მართალია, დღესდღეობით სტოქტონი ის აღარ არის, რაც თუნდაც ამ ხუთი წლის წინ იყო, მაგრამ იგი მაინც ითვლება ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გამთამაშებლად, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 37 წლისაა.

არც სტოქტონის დამხმარე ჯეფ ჰორნაჩეკია პატარა ბიჭუნა, მასაც უამრავი სეზონი გაუტარებია პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში და ახლა 36 წლისა გახლავთ. „იუტაში" მან ექვსი სრული სეზონი გაატარა.

ასე რომ, „იუტამ" შეინარჩუნა ის შემადგენლობა, რომლითაც თავის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდ წარმატებას მიაღწია — 1997 და 1998 წლებში ორჯერ გავიდა პლეი ოფის ფინალში. კლუბის ხელმძღვანელობამ რამდენიმე კვირის წინ გუნდის ლიდერს კარლ მელოუნს ოთხწლიანი და 67 მილიონიანი კონტრაქტი დაუდო.

**ივანე ძოზიაშვილი**

# თავისუფალი აგენტების ბაზარი

30 სექტემბერი — 3 ოქტომბერი

***იუტა ჯაზი:*** შეინარჩუნა უკანახაზელი ჯონ სტოქტონი (ორწლიანი კონტრაქტი); შეინარჩუნა უკანახაზელი ჯეფ ჰორნაჩეკი (ერთწლიანი კონტრაქტი)

***მაიამი ჰითი:*** აიყვანა უგუნდო უკანახაზელი კორი ბრუერი; აიყვანა უგუნდო ფორვარდი ჯეიმი უოტსონი; აიყვანა უგუნდო ფორვარდი ჯერმენ უოლკერი; დაითხოვა ფორვარდი მარკ დევისი

***ნიუ იორკ ნიქსი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდი აივენო ნიუბილი; აიყვანა უგუნდო ფორვარდი ანტონიო სმიტი

***ვაშინგტონ ვიზარდსი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდი მაიკლ სმიტი

***ორლანდო მეჯიქი:*** დაითხოვა ფორვარდი ჰარვი გრანტი

***საკრამენტო კინგზი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდი ტაირონ კორბინი

# პიპენის ფასი მქვსი კაცია

ამ უქმეებზე მომხდარი გაცვლა, სეზონთაშორის გაცვლა-გადასვლებს შორის უმნიშვნელოვანესად შეირაცხა. „ჰიუსტონ როკიტსის" მსუბუქი თავდამსხმელი ანუ ჩვენებურად ფრთა სკოტი პიპენი ახალ გუნდში „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში" გადაბარგდა. სამაგიეროდ, „ბლეიზერსმა" არც მეტი, არც ნაკლები ექვსი კაცი გაიღო — უოლტ ვილიამსი, სტესი ოგმონი, კელვინ კატო, ედ გრეი, ბრაიან შოუ და კარლოს როჯერსი. ხანმოკლე აღმოჩნდა პიპენის „ჰიუსტონური" კარიერა, სულ რაღაც რვა თვე დაჰყო ექვსგზის ჩემპიონმა ამ გუნდში და ეს დრო ვარსკვლავების კრეფაში არ გაუტარებია. ახლა პიპენი მოხარულია, რომ „ჰიუსტონელი" აღარაა.



სკოტი პიპენი (ბურთით) „პორტლენდში" გადავიდა

როდესაც უძლეველი „ჩიკაგო ბულზი" დაიშალა, გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა სკოტი პიპენმა ქალაქ ჰიუსტონს მიაშურა იმ იმედით, რომ აქაურ „როკიტსში" თავის ისედაც ბრწყინვალე სპორტულ კარიერას წარმატებით გააგრძელებდა და მეშვიდედ შეეთამაშებოდა ლიგის ჩემპიონობას, მაგრამ სეზონი ჩაუვარდა და ამაში მის გარდა დამნაშავე არავინაა. „ჩიკაგოს" შეუცვლელი წევრი ადვილად ვერ შეეგუა ახალ, განსხვავებულ გარემოს და თავისი არცთუ ხეირიანი თამაშით თანაგუნდელებიც და უამრავი თაყვანისმცემელიც გაწბილა. რეგულარული სეზონის დამთავრების შემდეგ მის ანგარიშზე საშუალოდ მხოლოდ 14,5 ქულა მოდიოდა, რაც მის 12-წლიან კარიერაში უარესი შედეგია, პირველი სეზონის შემდეგ. გაწბილებულ (ალბათ თავისი თავით) კალათბურთელს სხვა გუნდისკენ გაექცა თვალი. განსაკუთრებით „ლეიკერსი" ხიბლავდა, მით უმეტეს, რომ იქ მთავარ მწვრთნელად „ჩიკაგოს" ექვსჯერ გამაჩემპიონებელი ფილ ჯეკსონი დაინიშნა. პიპენის სხვაგან გადასვლა იმანაც დააჩქარა, რომ მისმა თანაგუნდელმა ჩარლზ ბარკლიმ იგი აუგად მოიხსენია. პლეი ოფში პიპენის ურიგო თამაშით უკმაყოფილო სერ ჩარლზმა საჯაროდ თქვა, სკოტიმ დიდად გამიცრუა იმედები და სადაც უნდა, იქ წავიდესო: არც პიპენი ჩამორჩა აწ უკვე ყოფილ თანაგუნდელს, პარასკევს მიცემულ ინტერვიუში ერთგვარად დასცინა კიდეც ბარკლის და მას მსუქანი, თან ეგოისტურად თავმოყვარე უწოდა. ერთი დღის შემდეგ კიდეც გამოეთხოვა „ჰიუსტონს". აღსანიშნავია, რომ როდესაც პიპენი „ჩიკაგოდან" მიდიოდა, მაშინაც ვერ ფარავდა აშკარა უკმაყოფილებას. მან „ბულზის" გენერალურ მენეჯერს ჯერი კრაუზეს წიწილა უწოდა.

არც ერთი მხარე, არც „ჰიუსტონი" და არც „პორტლენდი" პიპენის ექვს მოთამაშეში გაცვლას კომენტარს არ უკეთებს. დუმს პიპენის აგენტი ჯიმი სექსტონიც, მაგრამ მაინც ცნობილი გახდა, რომ კალათბურთელი პირველი სეზონში 14 მილიონ დოლარზე მეტს მიიღებს. პიპენს უცილობლად გაამწესებენ ძირითად ხუთეულში, სავარაუდოდ, ფრთის პოზიციაზე და შემცვლელად წლეულს სიეტლიდან გადმოსულ დეტლეფ შრემპფს დაუყენებენ.

არც „ჰიუსტონია" გაცვლით უკმაყოფილო. გუნდის მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი ყოველივე კარგს უსურვებს თავის ყოფილ შეგირდს და იმედოვნებს, რომ კალათბურთელი ახალ გუნდში მაინც მიაღწევს იმას, რაც ვერ შეძლო „როკიტსში": „ჩვენ რეალურად ვუყურებთ შექმნილ სიტუაციას და აქედან გამომდინარე, მთავარი ის კი არაა, ვინ დავკარგეთ, არამედ ის, თუ ვინ შევიძინეთ" — ამბობს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კარლ დოუსონი.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია „CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XIII ტური** | | | |
| | 7 ოქტომბერი | | | |
| 001 | ლორიანი — სოშო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **პორტუგალია. VI ტური** | | | |
| | 5 ოქტომბერი | | | |
| 002 | სანტა კლარა — სეტუბალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | **ავსტრია. XV ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 003 | აუსტრია — ბრეგენცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 004 | ლინცერი — ტიროლი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 005 | ლუსტენაუ — რიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 006 | ზალცბურგი — გრაცერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 007 | შტურმი — რაპიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **დანია. XI ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 008 | სილკებორგი — ვიბორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 009 | კოპენჰაგენი — ჰერფიოლგე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 010 | ოლბორგი — აკადემისკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 011 | ორჰუსი — ესბიერგი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 012 | ოდენსე — ბრიონდბიუ | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 013 | ლუინგბიუ — ვაილე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **უკრაინა. XI ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 014 | ნივა — პრიკარპატია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **ჰოლანდია. თასი** | | | |
| | 5 ოქტომბერი | | | |
| 015 | ჰერენვენი — გრააფსხაპი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | **ბელგია. ლიგის თასი** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 016 | კორტრაიკი — ანდერლეხტი | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 017 | ანტვერპენი — მუსკრონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| | 5 ოქტომბერი | | | |
| 501 | შოტლანდია — ბოსნია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 502 | საბერძნეთი — ალბანეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | **კალათბურთი. ევროლიგა. III ტური** | | | |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 801 | ეფესი (თურქეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 802 | შოლე (საფრანგეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 803 | პაოკ (საბერძნეთი) — ცსკა (რუსეთი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | 7 ოქტომბერი | | | |
| 804 | ულქერი (თურქეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 805 | ჟალგირისი (ლიტვა) — თოფაში (თურქეთი) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 806 | კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ფორტიტუდო (იტალია) | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 807 | რეალი (ესპანეთი) — ალბა (გერმანია) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 808 | ბენეტონი (იტალია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 809 | ვილერბანი (საფრანგეთი) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 810 | ვარეზე (იტალია) — მაკაბი (ისრაელი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 811 | პო ორტეზი (საფრანგეთი) — ციბონა (ხორვატია) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 812 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | **ჰოკეი. NHL** | | | |
| | 5 ოქტომბერი | | | |
| 813 | რეინჯერსი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 814 | დეტროიტი — დალასი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 815 | ნეშვილი — კოლორადო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 816 | ფინიქსი — ანაჰაიმი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | 6 ოქტომბერი | | | |
| 817 | ტორონტო — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 818 | ფლორიდა — ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 819 | კალგარი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 820 | ედმონტონი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 821 | ვანკუვერი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | 7 ოქტომბერი | | | |
| 822 | ოტავა — ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 823 | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 824 | ფილადელფია — კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 825 | ტამპა ბეი — ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 826 | ატლანტა — დეტროიტი | 3,4 | 4,4 | 1,4 |
| 827 | სან ხოსე — ედმონტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | **ჰოკეი. ევროლიგა** | | | |
| | 5 ოქტომბერი | | | |
| 828 | ფილახი (ავსტრია) — მეტალურგი (რუსეთი) | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| 829 | ვშეტინი (ჩეხეთი) — სლოვანი (სლოვაკეთი) | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 830 | მოდო (შვედეთი) — მანჰაიმი (გერმანია) | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 831 | ვოლერენგა (ნორვეგია) — ტურკუ (ფინეთი) | 2,4 | 4,4 | 1,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# მსოფლიოს თასი

# რაგბიც გაჩაღდა!

## დედიშობილა ქალ-ვაჟის ხუნტრუცით

### A ჯგუფი

**ესპანეთი 15(6):27(10) ურუგვაი**

**შოტლანდია 29(16):46(13) სამხრეთ აფრიკა**

ამ ჯგუფში პირველივე ტურში სუსტი სუსტს შეხვდა, ძლიერი კი — ძლიერს. ევროპელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე მატჩი წააგეს.

ურუგვაის ძალიან გაუჭირდა ესპანელებთან, რომლებიც შეხვედრის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ და წარმატების იმედიც ბოლომდე ჰქონდათ. მათ რიგებში საუკეთესო დამრტყმელი კოვალენკო იყო, რომელმაც 6-დან 5-ჯერ გაატარა ოვალური ბურთი მეტოქის ძელებს შორის და თავის გუნდს 15 ქულა შესძინა. ურუგვაის თამაშში არანაირი სიახლე არ შეიმჩნეოდა. ის უპირატესობის მოპოვებას ძირითადად შერკინების ხარჯზე ცდილობდა და კარგადაც გამოსდიოდა, რადგან მისი წინახაზელები ესპანელებისაზე გაცილებით ჯანიანები და გამოცდილები იყვნენ. თუმცა სამხრეთამერიკელ დამრტყმელთა უგერგილობამ და მთლიანად გუნდის ხელით თამაშისას დაშვებულმა შეცდომებმა (ბურთი 13-ჯერ გადაუვარდათ წინ) ანგარიშში დიდი სხვაობის დაფიქსირება შეუძლებელი გახადა.

მატჩს ორივე ნაკრებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დარჩენილ ორ ტურში არც ერთი აღარაა მომგები და მსოფლიოს თასზე ერთადერთი გამარჯვება ორივესთვის სასახელო იქნებოდა. ანგარიში ესპანელებმა გახსნეს, თუმცა ტაიმის შუაწელში ურუგვაელებმა ათი ქულის მოხვეჭა შეძლეს და შესვენებაზეც ოთხქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მეორე ნახევრის დასაწყისში კოვალენკომ ზედიზედ ორი საჯარიმო გაიტანა და კვლავ ევროპელები დაწინაურდნენ. მერე კი სამხრეთამერიკელთა შერკინებამ იძალა და დანარჩენი ლელოები და საბოლოო გამარჯვებაც მისი დამსახურებაა.

ევროპის მოწინავე ნაკრებსა და ბრიტანეთის ყოფილ სამხრეთულ კოლონიას შორის პირველმა ჯახმა ყველა იმედი გაამართლა. რაგბის მოყვარულები მშვენიერი თამაშის მოწმენი შეიქნენ. ევროპელთა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებაში აშკარა უპირატესობა ეკვატორის ქვემოთ მყოფ ქვეყნებს აქვთ და ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე მათ ჩემპიონობას შეედავოს.

საწყის ნახევარ საათში სამხრეთაფრიკელთა წინააღმდეგ შოტლანდიელებმა ბევრი ვერაფერი გააზერხეს. ისინი თავს გააფთრებით იცავდნენ და მეტოქეს მცირედ შეცდომასაც არ პატიობდნენ, მაგრამ წინ მაინც „ქურციკები“ იყვნენ — 13:6. ტაიმის ბოლო ათი წუთი კი მთლიანად სკოტებისა გახლდათ. მათ მოწინააღმდეგე საკუთარ 22-მეტრიან ზონას მიაჯაჭვეს და ლელოც მომწიფდა. მარტინ ლესლიმაც ლამაზი ლელოს გატანა დიდხანს არ დააყოვნა და ტაიმი შოტლანდიამ მოიგო — 16:13.

თუმცა ეს მხოლოდ ერთი ტაიმი იყო. შესვენების შემდეგ „ქურციკების“ შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდა. სკოტების მარცხს საფუძველი ფლეკმა ჩაუყარა 43 წუთზე, რასაც კიდევ ოთხი ლელო მოჰყვა. თუმცა მანამდე შოტლანდიამ ერთხელ მოახდინა გარდატეხა — ლოგანის მეოთხე ზუსტი საჯარიმოს შემდეგ ისევ დაწინაურდა, მაგრამ მას მშვენივრად მოთამაშე ჯონ ლესლი გამოაკლდა და 58-ე წუთიდან თამაში ფაქტობრივად მხოლოდ მის ნახევარზელა მიმდინარეობდა.

დაბოლოს, შოტლანდიამ ერთი უსიამოვნო ტრადიციის დარღვევა ვერ მოახერხა — აი, უკვე 30 წელია, სამხრეთ აფრიკასთან არ მოუგია.



ახალი ზელანდია — ტონგა 45:9. რას გახდებოდნენ ტონგელები ახალზელანდიელებთან, მითუმეტეს ჯონა ლომუსთან (ბურთით)?!

### B ჯგუფი

**ინგლისი 67(34):7(7) იტალია**

**ახალი ზელანდია 45(13):9(9) ტონგა**

შარშან, მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ინგლისმა იტალიას მოუგო — 23:15. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ინგლისი მოღონიერდა და ევროპელთაგან უმთავრესი კანდიდატიცაა ჩემპიონობის. იტალია კი სულ უკან-უკან წავიდა. ჯერ საშინელი ტურნეები ჩაატარა, მერე მწვრთნელი შეიცვალა და მიუხედავად ავსტრალიელებით გაძლიერებისა (ზისტი და პინი), მაინც ვერაფერიშვილია.

პირველ ტურში, დაიწყო თუ არა თამაში, აპენინელები დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ. ბრიტანელთა შეტევების შეჩერებას ისინი მხოლოდ წესების დარღვევით ახერხებდნენ. უილკინსონი იმ დღეს საჯარიმოებს ზუსტად ურტყამდა და ქულას ქულაზე აგროვებდა. იტალიამ ერთადერთი ლელო ინგლისელთა ერთადერთი შეცდომის შემდეგ გაიტანა, როცა დიეგო დომინგესმა ბურთი ჩაჭრა და მეტოქის სალელოე მოედნამდე ვერავინ დაეწია. მეტი ხიფათი „სკუადრა აძურამ“ ბრიტანელებს ვეღარ შეუქმნა, თვითონ კი 8 ლელოს გატანის საშუალება მისცა და ყველამ დაინახა, რომ ინგლისი ახალ ზელანდიასთან სათამაშოდ მზადაა.

„ოლ ბლექსმა“ კი ქართველთათვის კარგად ნაცნობ ტონგას გამოუყვანა წირვა. მიუხედავად მშვენიერი ბურთაობისა, ამ მატჩში ყველაზე საინტერესო საცქერი, ალბათ, მაინც დასაწყისი იყო. ახალზელანდიელებმა მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურად დასათრგუნად ტრადიციული ჰაკა წამოიწყეს, მაგრამ „ზღვის არწივები“ იოლად დასაფრთხობები ნამდვილად არ არიან, მათ „შავებს“ იმწამს თავიანთი „სიპიტაუ“ შესთავაზეს, რომლის ნახვის საშუალებაც ამ გაზაფხულზე ჩვენს „ეროვნულზე“ მოგვეცა ტონგას სტუმრობისას. სანახაობით დიდად გაერთო ბრისტოლის „ეშტონ გეიტზე“ თავმოყრილი 22 ათასი მაყურებელი და თამაშიც დაიწყო.

პირველ ტაიმში ტონგა კი გაუძალიანდა სახელოვან მეტოქეს, მეორე ორმოცწუთეულიც კარგად დაიწყეს, მაგრამ მერე გამოცდილებამ და კლასმა თავისი, ახალმა ზელანდიამ კი ოთხი ლელო გაიტანა და შეხვედრაც ზელანდიელთა გამარჯვებით დამთავრდა.

### C ჯგუფი

**ფიჯი 67(43):18(6) ნამიბია**

**საფრანგეთი 33(18):20(10) კანადა**

რაგბიში ფიჯელები იგივენი არიან, რაც ფეხბურთში ბრაზილიელები. ისინი თავდაპირველად სანახაობრიობაზე ფიქრობენ და მხოლოდ მერე შედეგზე. როცა მეტოქე გაცილებით სუსტია, ფიჯი მას იოლად სჯობნის, როცა ძლიერია კი... ამაზე საფრანგეთი — ფიჯის მატჩი მეტყველებს.

ნამიბიელებთან ოკეანეთელებს დიდად არ გასჭირვებიათ, მათ ყველა გემოვნების ლელო გაიტანეს და პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს.

ფიჯის ჯგუფში მეორე ძლიერი გუნდი საფრანგეთია, რომელსაც კანადის დამარცხება ერთობ გაუჭირდა. „მამლებს“ ჯერ კიდევვერ უპოვიათ ოპტიმალური შემადგენლობა, მსოფლიოს თასი კი უკვე დაიწყო და მათ წარმატების ძალიან მცირე შანსი აქვთ. ჟან-კლოდ სკრელამ თავისი გუნდი ამ თამაშშიც ექსპერიმენტების პოლიგონად აქცია და უკანახაზელებს ისე გაუცვალა ერთმანეთში ადგილები, თვით მორაგბეებიცძლიერ დააბნია. თუმცა კანადა იმ დონის ნაკრები არაა, ფრანგთა საბედნიეროდ, ასეთი მეტოქის ბანკში გამეფებული ქაოსით რომ იოლად ესარგებლა და „მამლებიც“ გადარჩნენ კისრის მოგრეხას. აი, ფიჯისთან კი იგივე რამ დაუსჯელი აღარ დარჩება

### D ჯგუფი

**უელსი 23(13):18(9) არგენტინა**

**სამოა 43:9 იაპონია**

მსოფლიოს თასის გახსნის მატჩში განახლებულ „მილენიუმ სტეიდიუმზე“ უელსელები არგენტინელებს დაუპირისპირდნენ და გაჭირვებით მოუგეს. ორივე გუნდიდან საუკეთესოები დამრტყმელები იყვნენ — ნილ ჯენკინსი და გონსალო კესადა. მათ მიერ გატანილი საჯარიმოებით ხან ერთი გუნდი იყო წინ და ხან — მეორე. ტაიმის მიწურულს კი ჩარვისმა ტურნირის პირველი ლელო გაიტანა და [illegible]

შესვენების შემდეგ თამაში უელსის შეტევებით დაიწყო და ჰოვარტ-ჯეიმს-ტომას-ტეილორის კომბინაცია მშვენიერი ლელოთი დასრულდა, რომელიც ჯენკინსმა გარდასახა. „პუმები“ მეტოქეს უკვე თერთმეტი ქულით ჩამორჩნენ, მაგრამ არ დანებდნენ და მასპინძლებს გამარჯვება ძლივს „დაუთმეს“.

ჯგუფის მეორე მატჩში სამოელებმა იაპონელებს იოლად აჯობეს. დასაწყისში ამომავალი მზის ქვეყნელებმა მეტოქე წინ არ გაუშვეს და 15 წუთის შემდეგ ანგარიშში თანაფარდობა იყო — 6:6. თუმცა მეორე სამოას უანა ხაზმა აიწყვეტა და ლელოს ლელო მიაყოლა. საბოლოოდ 43:9, რაც იაპონიისთვის წინა მსოფლიოს თასზე ახალ ზელანდიასთან ნაწნევი მარცხის შემდეგ (17:154) ცუდი შედეგი ნამდვილად არაა.

### E ჯგუფი

**ირლანდია 53(24):8(8) აშშ**

**ავსტრალია 57(24):9(3) რუმინეთი**

ამ შეხვედრის გმირი ირლანდიელი კეიტ ვუდი იყო. მატჩის მთავარი მოვლენა კი ვუდის მიერ გატანილი ოთხი ლელო. ამერიკელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს „უტეხი სულის“ ირლანდიელებს, თუმცა არც ისე გატყდნენ, როგორც რამდენიმე კვირის წინ ინგლისთან (8:106) და მხოლოდ 45 ქულით დამარცხდნენ. პირველ ტაიმში კი მეტოქეს გვარიანი წინააღმდეგობაც გაუწიეს და ლელოც გაიტანეს.

შესვენების შემდეგ ირლანდიამ მოწინააღმდეგეს ფაქტობრივად ერთი შეტევის განხორციელების შესაძლებლობაც არ მისცა, თვითონ კი ნელ-ნელა აგროვა ქულები და პირველი იოლი გამარჯვებაც მოიპოვა.

ავსტრალიამ რუმინეთთან „გაისეირნა“. „ვოლაბებისთვის“ ეს მატჩი ერთგვარი ვარჯიში იყო. თავიდან ბოლომდე უპირატესობას სამხრეთელები ფლობდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში დიდი ძალ-ღონე არ დაუხარჯავთ რუმინელთა გასანადგურებლად. ისინი ბურთის გაკონტროლებით კმაყოფილდებოდნენ და თამაშის ტემპს მხოლოდ ხანდახან ზრდიდნენ და, რა თქმა უნდა, მაშინვე უამრავ თავსატეხს უჩენდნენ ევროპელებს. საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა და ავსტრალიამაც დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია.

შეხვედრის ბოლო კი სტრიკერთა წყვილმა გაამხიარულა. სტრიკერები ის ხალხია, სპორტული ღონისძიებების დროს მოედანზე დედიშობილები რომ შეცვივიან ხოლმე. ამ დროს წესრიგის დამცველნი უმალ მოარიდებენ ხოლმე მათ ხალხის თვალს. ახლა კი უცნაური ქალ-ვაჟი რამდენიმე წუთის განმავლობაში არავის გახსენებია და ხალხსაც მათი ავლადიდების ცქერა კარგა ხნის მანძილზე შეეძლო.

**გაიოზ თალაკვაძე**



ინგლისი — იტალია 67:7. ბრიტანელებმა იტალია ჩაყლაპეს



შოტლანდია — სამხრეთ აფრიკა 29:46. აფრიკელებმა სკოტები ისევე „დაამუხრუჭეს“, როგორც ოზ დურანმა ბაჯ პუტნი (ბურთით)

## ხელბურთი

# უკრაინა — ბევრი, საქართველო — ცოტა

2 ოქტომბერს თბილისის „სტუ-შევარდენმა“ ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩი გამართა ზაპოროჟიეში იქაური ტრანსფორმატორების ქარხნის გუნდთან. ეს იყო მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა. ამ ეტაპის გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგაში გადის. იმის მიუხედავად, რომ საპასუხო შეხვედრა ჯერ კიდევ წინაა, ახლავე შეიძლება ითქვას — უკრაინელებმა მჭიდროდ მოგვიხურეს ლიგის კარი. ჩვენმა გუნდმა საკმაო სხვაობით — 12:31 და, როგორც ჩანს, ლიგაზე ოცნებას კარგა ხნით გამოემშვიდობა.

## ჰოკეი

# ის მოვიდა... გრეცკიმ ჰოკეი დაამობლა

1 ოქტომბერი, ნჰლ-ის 83-ე რეგულარული ჩემპიონატის პირველივე დღე და მართლაც მოვლენები: დიდი უეინ გრეცკის გაცილება, მარიო ლემიეს დებიუტი პიტსბურგის მფლობელის რანგში, დალასში საჩემპიონო დროშების აღმართვა და ორი უაღრესად საინტერესო მატჩი, რომლებიც უდავოდ დაძაბულ სეზონს პირდება ჰოკეის ქომაგებს

1 ოქტომბერი

**ედმონტონი — რეინჯერსი 1:1**

0:0 1:1 0:0 0:0

1:0 სმიტი 21'57 (1); 1:1 ტეილორი 26'41 (1)

„ოდესღაც ამ არენაზე ბიჭუნა მოგვევლინა. ის მოვიდა და სრულიად გარდაქმნა ეს თამაში, თვითონ კი ლეგენდად იქცა“ — ედმონტონის გენერალური მენეჯერის, გლენ საზერის ეს სიტყვები მთლიანად იტევს იმ საყოველთაო აღტაცებასა და პატივისცემას, რომელსაც დიადი უეინ გრეცკი იმსახურებს. რაოდენ სამწუხაროა, რომ 1999 წლის 1 ოქტომბერს ჰოკეიში დამთავრდა დიდი ეპოქა — გრეცკის ეპოქა. მისი გაცილება განუმეორებელ მოვლენად უნდა ქცეულიყო და ასეც მოხდა. უეინი საუცხოო ავტომანქანით შეაგრიალეს ყინულზე, მერე კი, 17-ათასიანმა აუდიტორიამ ოვაციებით გული რომ იჯერა, ძველმა მეგობრებმა და პარტნიორებმა — იარი კურიმ, მარკ მესიემ, დეივ სემენკომ გრეცკის სამახსოვრო პორტრეტი მიართვეს. ამის შემდეგ კი „სკაირიჩ სენტრში“ დროშა აფრიალდა დიადის 99-ე ნომრის გამოსახულებით. აღელვებულმა უეინმა სათქმელი ძლივს თქვა: არ ვნანობ, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე. და მაინც... ბოლო თვემ, როცა 21 წლის განმავლობაში პირველად არ გამოვცხადდი საწვრთნელ ბანაკში, მთლად გამტეხა. ასეთი ემოციები არასდროს განმიცდია“.

ყოველივე ამის შემდეგ იყო თამაში. სიმბოლურია, რომ ერთმანეთს გრეცკის პირველი და ბოლო გუნდები შეხვდნენ. ვერაფერს იტყვი — მათ დღესასწაული მოუწყვეს ყოფილ თანაკლუბელს. მატჩამდე ერთი დღით ადრე რეინჯერსმა პეტერ პოპოვიჩის ნაცვლად პიტსბურგიდან უმაღლესი კლასის მცველი კევინ ჰეჩერი შეიძინა, რამაც გუნდის ისედაც უძლიერესი დაცვა (ლიჩი, ქინტალი, შნაიდერი, ლეფევრი) მთლად გაუვალი გახადა. ედმონტონმა კი, თავის მხრივ, ჩემპიონატის დაწყების წინადღეს წამყვან მცველ რომან ჰამრლიკთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

ერთი სიტყვით, პირველივე წუთებიდან საინტერესო თამაში გაჩაღდა. უფრო მასპინძლები ყოჩაღობდნენ და, რომ არა ხშირი გაძევებები, ედმონტონი, ალბათ, თავიდანვე დაწინაურდებოდა. მეორე პერიოდის დაწყებისთანავე ბრაიან სმიტმა ჩინებული სწრაფი კონტრშეტევა ლამაზი დარტყმით დაასრულა. ამას სტუმართა აქტიურობა და საპასუხო გოლი მოჰყვა. თუმც გოლი ფლერიმ ან კამენსკიმ (პასი მიითვალა) კი არ გაიტანეს, არამედ რეინჯერსის ახალწვეულთაგან ყველაზე ნაკლებცნობილმა ტიმ ტეილორმა. საბოლოოდ კი თამაშმა და განსაკუთრებით მესამე პერიოდმა დაადასტურა, რომ ფული ყოველთვის არ წყვეტს ყველაფერს. ბოლო მესამედში ახალგაზრდა, „იაფმა“ მასპინძლებმა ისეთი გამოცდა მოუწყვეს სტუმართა მილიონერებს, რომ არა მათი მეკარის ბრწყინვალე თამაში, ისინი მარცხს თავს ვერ დააღწევდნენ — ტოდ მარჩანტსა და ეტიენ მორის დიდებული შანსი ჰქონდათ უმცირესობაში თამაშისას, მაგრამ მაიკ რიხტერი შეუდარებელი იყო. ამიტომაც ჩემპიონატის პირველივე დღეს მიეცა მაყურებელს საშუალება, ეხილა ლიგის ერთ-ერთი სიახლე — ოვერტაიმში 4X4-ზე თამაში. დამატებით 5 წუთში აუდიტორიას არ ჰქონდა მოსაწყენი დრო.



REUTERS ედმონტონიდან

დიადი გააცილეს! ამიერიდან უეინ გრეცკი მშობლებს, მეუღლესა და სამ შვილს უფრო მეტ დროს დაუთმობს

1:1 და მატჩის შემდეგ ყველაზე გახარებული უეინ გრეცკი იყო, რადგან არც ერთი და არც მეორე მისი გუნდი არ დაზარალდა. „მადლობა ბიჭებს ასეთი ლამაზი სანახაობისთვის, მათ ჰოკეისთან დამშვიდობების ტკივილი შემიმსუბუქეს“ — თქვა დიადმა და საბოლოოდ დაამობლა ჰოკეი.

**დალასი — პიტსბურგი 6:4**

2:1 3:1 1:2

0:1 მილერი 3'10 (1); 1:1 ნუინდაიკი 7'21 (1); 2:1 ჰალი 18'29 (1); 3:1 მოდანო 23'02 (1); 4:1 ლინდი 24'45 (1); 4:2 ტიტოვი 33'10 (1); 5:2 ლანგებრუნერი 35'18 (1); 6:2 მოდანო 50'19 (2); 6:3 ბრაუნი 53'53 (4); 6:4 მილერი 55'05 (2).

რაც გვეთქმის, თასის მფლობელებმა მარიო ლემიეს კარგი მაგალითი უჩვენეს იმისა, თუ როგორ უნდა საჩემპიონო გუნდის ჩამოყალიბება. მართალია, კევინ ჰეჩერის გაყიდვით მიღებული ფული ლემიემ გაფიცული მცველის, დარიუს კასპარაიტისის მორჯულებას (ორწლიანი და 3 მილიონდოლარიანი კონტრაქტი გაუფორმა) მოახმარა, მაგრამ ლიტველმა ეს თამაში გამოტოვა. ერთიანად დასუსტებულმა სტუმართა დაცვამ კი ვერაფერი გააწყო ჩემპიონთა წინააღმდეგ. თუმც იმ დღეს სტუმრებს ვერც კასპარაიტისი და ჰეჩერი უშველიდათ და ვერც ვინმე სხვა. მასპინძლები, რომლებმაც თამაშის დაწყებამდე „რეუნიონ არენა“ საჩემპიონო დროშით დაამშვენეს, საზეიმო განწყობილების გაფუჭებას სულაც არ აპირებდნენ. მართალია, სტუმართა სუპერვარსკვლავ იარომირ იაგრის ძალისხმევით თავიდან პიტსბურგი დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ დალასმა ისე გაუტია, რომ მხოლოდ ბოლო ათ წუთსლა დამშვიდდა, მაშინ, როცა ანგარიში 6:2 იყო. განსაკუთრებით იაქტიურეს ბრეტ ჰალმა (1+2), ჯო ნუინდაიკმა (1+2) და მაიკ მოდანომ (2 შაიბა).

2 ოქტომბერი

**სან ხოსე — კალგარი 5:3**

2:0 2:1 1:2

1:0 სტიუარტი 17'17 (1); 2:0 რაგნარსონი 18'09 (1); 3:0 სუტერი 24'30 (1); 4:0 ნოლანი 26'25 (1); 4:1 სტილმანი 32'57 (1); 4:2 კორბე 41'46 (1); 5:2 შტურმი 46'21 (1); 5:3 ბურე 47'35 (1)

**ატლანტა — ნიუ ჯერსი 1:4**

0:0 1:2 0:2

0:1 ოლივა 28'58 (1); 0:2 ჰოლიკი 29'38 (1); 1:2 ბუკბერგერი 31'26 (1); 1:3 ბრილინი 46'31 (1); 1:4 ჰოლიკი 52'37 (2)

**ბოსტონი — კაროლინა 1:3**

0:0 1:2 0:1

1:0 ბურკი 21'42 (1); 1:1 კაპანენი 24'30 (1); 1:2 მანდერვილი 25'50 (1); 1:3 ჯ. დენიელსი 52'30 (1)

**მონრეალი — ტორონტო 1:4**

0:1 0:1 1:2

0:1 სუნდინი 6'05 (1); 0:2 ჰოგლუნდი 37'13 (1); 1:2 რუსინსკი 47'02 (1); 1:3 კაბერლე 50'23 (1); 1:4 ბერეზინი 59'30 (1)

**ფილადელფია — ოტავა 0:3**

0:1 0:2 0:0

0:1 ბონკი 7'20 (1); 0:2 სალო 21'40 (1); 0:3 პროსპალი 34'53 (1)

**დეტროიტი — ბუფალო 2:0**

1:0 1:0 0:0

1:0 დრეიპერი 18'32 (1); 2:0 ჰოლმსტრიომი 25'15 (1)

**ფლორიდა — ვაშინგტონი 4:3**

2:1 2:1 0:1

1:0 ბურე 3'28 (1); 1:1 ბულისი 5'52 (1); 2:1 უიტნი 18'21 (1); 3:1 უიტნი 22'59 (2); 3:2 შვეიკოვსკი 26'58 (1); 4:2 კოზლოვი 35'22 (1); 4:3 ბულისი 56'59 (2)

**ტამპა — აილენდერსი 4:2**

0:1 2:0 2:1

0:1 ჩერკავსკი 15'00 (1); 1:1 ნიულანდერი 30'41 (1); 2:1 გულა 31'35 (1); 2:2 ი. ჯონსონი 54'10 (1); 3:2 მოდინი 57'59 (1); 4:2 სილინჯერი 59'50 (1)

**დალასი — ანაჰაიმი 2:0**

1:0 1:0 0:0

1:0 სიდორი 11'25 (1); 2:0 კინი 32'23 (1)

**ნეშვილი — ლოს ანჯელესი 0:2**

0:1 0:0 0:1

0:1 შტუმპელი 4'10 (1); 0:2 პობიტაილი 52'11 (1)

**სენტ ლუისი — ფინიქსი 1:2**

0:1 1:0 0:1

0:1 კარნი 6'23 (1); 1:1 კურტნოლი 33'47 (1); 1:2 ლუმე 42'49 (1)

**ვანკუვერი — რეინჯერსი 2:1**

1:0 1:1 0:0

1:0 ჯოზეფი 7'14 (1); 1:1 იორკი 22'53 (1); 2:1 ნესლუნდი 31'56 (1)

სამველ ღარიბიანი

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ვიქტორ სანეევი**

**მძლეოსნობა, სამხტომი**

დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ექვსგზის (1968-71, 73, 75) ჩემპიონი, ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატების რვაგზის (1969-72, 74-77) გამარჯვებული, მეხიკოს (1968), მიუნხენის (1972) და მონრეალის (1976) ოლიმპიადების ჩემპიონი, მოსკოვის (1980) ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, ოლიმპიური ორდენის კავალერი



1. საუკეთესო მოგონება მეხიკოს ოლიმპიადაა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. ეს იყო სპორტის ნამდვილი დღესასწაული.

2. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს — თითქმის ათი წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. თუმცა ვცდილობ, საქმის კურსში ვიყო იმის თაობაზე, თუ რა ხდება ჩვენს სპორტში. სამ მომენტზე გავამახვილებდი ყურადღებას. პირველი ისაა, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო დაირღვა სპორტულ თაობებს შორის ბუნებრივი კავშირი. ცოტაა ახალი სახელები. საშიშროებაა იმისა, რომ სიდნეისშემდგომ ოლიმპიადაზე არც რაოდენობრივად მეტი და არც ხარისხობრივად უკეთესი გუნდი არ გვყავდეს. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, სასწრაფოდ უნდა მიეხედოს ბავშვთა და ახალგაზრდულ სპორტს. მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებში. ალბათ, სპეციალური პროგრამაც კი უნდა შემუშავდეს. მეორე — ჯერ კიდევ კომუნისტების დროს საქართველო სპორტული ბაზებითა ღარიბი იყო. აშენდა რამე უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში? როგორც მეუბნებიან, ადრე აშენებულიც გაპარტახდა და დაინგრა. უამისოდ კი არათუ დიდი სპორტის, არამედ ზოგადად მოსახლეობის გაჯანსაღების პრობლემებიც კი ვერ მოგვარდება. არ ვიცი, როგორ ვითარდება საქართველოში მოძრაობა „სპორტი ყველასათვის“, მსოფლიოს ყველა, დიდ თუ პატარა ქვეყანაში რომაა გავრცელებული. და მესამე — ჩემი აზრით, სპორტს არაფერ ეშველება სახელმწიფოს დახმარების გარეშე. სპორტში სახელმწიფო ინვესტიციების ჩადება უთუოდ მომგებიანი იქნება ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა — აქ ხომ ბევრი ტალანტი იზრდება.

3. ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო სალუქვაძე;
ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია, რამაზ ჩოჩიშვილი.



## CARTU & TBILISI LADIES OPEN

# ნევროზი და კოჭები

*რიგით მესამე ქართუ თბილისის ქალთა ღია პირველობა შაბათს მეტად იმედგაცრუებულად დასრულდა — ერთეულებშიც და წყვილებშიც ჩემპიონებს გამარჯვება მეტისმეტად იოლად ერგოთ.*

ფინალი: **ჟულია აბე (2, გერმანია) — ტატიანა პუჩეკი (1, ბელარუსი) 6:2, 6:0.**

ერთეულების ფინალის შემყურე ქომაგს ერთადერთი კითხვა თუ გაუჩნდებოდა — რატომ იყო ბელარუსი პუჩეკი ტურნირზე პირველად განთესილი, ან როგორ მიაღწია გადამწვეტ მატჩამდე? 19 წლის ჩოგბურთელს ამ დღეს კორტზე აბსოლუტურად არაფერი გამოსდიოდა — ისეც საკმაოდ სუსტი ფორჰენდი მეორე მხარეს ძლივს ვარდებოდა, საფირმო ბექჰენდიც ხელის რაღაც მოუქნელი მოძრაობის შემდეგ გამუდმებით ბადეში ეხვეოდა.

არადა, ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე იმავე პუჩეკმა სასტიკად დაჯაბნა არცთუ ურიგო მეტოქე მარია გოლოვიზნინა და ფინალამდე ერთი სეტიც არავის დაუთმო.

ასეთი გარდაქმნის მიზეზი ბელარუსის მეტისმეტი ემოციურობა და ნერვიულობა გახლდათ ფინალურ მატჩში, რაც ხშირად ზომიერების ფარგლებს სცილდებოდა.

პუჩეკს ერთი მავნე ჩვევა აქვს, რომლის გამოც ჯერ კიდევ შარშან ბევრი კოლეგა დასცინოდა თბილისში ზურგს უკან — საკუთარი თავით უკმაყოფილების დროს ჩოგანს ფეხებზე ირტყამს, თანაც ისე, რომ წლების მანძილზე იუნიორებში თამაშისას კოჭები სულ ჩალურჯებული ჰქონდა.

ქვედა კიდურებს შაბათსაც შავი დღე დაადგა: ხშირი შეცდომებით გალიზიანებული ბელარუსი ჯავრს ხან ფეხებზე იყრიდა, ხან ჩოგანზე, რომელსაც მთელი ძალით კორტზე ახეთქებდა, ხან კი ცას ახედავდა და ღმერთს ეკითხებოდა, ასეთი რა დავაშავეო.

ერთადერთი ნათელი წერტილი მთელ მატჩში პუჩეკს 0:3-ზე ჰქონდა პირველ სეტში. მან ჯერ რის ვაი-ვაგლახით მოახერხა მოწოდების შენარჩუნება, მერე კი მოულოდნელად ანერვიულებული აბეს ზედიზედ სამი ორმაგი შეცდომის ხარჯზე ბრეიკი გააკეთა და ანგარიში შეამცირა.

მატჩის უმნიშვნელოვანესი მომენტი მომდევნო გეიმი გამოდგა. ბელარუსი 40:15-ით დაწინაურდა და ანგარიშის გათანაბრებამდე ერთი ნაბიჯილა უკლდა, მაგრამ ზედიზედ რამდენჯერმე უხეიროდ შეცდა, მოწოდება წააგო და გონს შეხვედრის ბოლომდე აღარც მოსულა.

ასე რომ აბეს მოსაგებად დიდი ჯაფა არც დაღგომია: საკმარისი იყო, ბურთი ბადის მეორე მხარეს გადაეგდო და მეტოქის შეცდომას დალოდებოდა, ხანდახან კი პუჩეკის კიდევ უფრო გასანერვიულებლად მსაჯთან რაიმე გადაწყვეტილებაზე ეკამათა, ან ხმამაღლა გაემხნევებინა თავი.

მოკლედ, როდესაც გერმანელმა პირველივე მატჩ-პოინტი გამოიყენა, კორტიდან გაქცევის მსურველმა პუჩეკმაც ამოისუნთქა, ამ უკანასკნელის ცოდვით დამწვარმა მაყურებელმაც და თავად ტურნირის ჩემპიონმაც.

მერე იყო დაჯილდოების ცერემონიალი და მცირე შეცდომები სპონსორთა და სტუმართა წარდგენაში. აბემ ქალაქი, სტუმართმოყვარეობა და ტურნირის კარგი ორგანიზაცია შეაქო, ლეილა მესხისგან 3920 დოლარის უზარმაზარი ჩეკი მიიღო, სამადლობელში სპონსორთა სახელების წაკითხვისას კი საკმაოდ იყორჩალა და გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ „ხვანჭკარას" წარმოთქმისას წაიფორხილა.

კორტზე გერმანულად მიზანსწრაფული, მეტოქეების მიმართ არცთუ მორიდებული ჟულია მის მიღმა სულ სხვა ხასიათის, ძალიან გულღია ადამიანი გამოდგა და რამდენიმე კითხვასაც დიდი სიამოვნებით უპასუხა.

**— ელოდით, რომ ფინალში ასე იოლად გაიმარჯვებდით?**

— არა, სიმართლე გითხრათ, არა. მეტოქის თამაში ნანახი მქონდა და მეტ-ნაკლებად ვიცოდი მისი სისუსტეების შესახებ, თუმცა, ალბათ, დიდი როლი იმანაც ითამაშა, რომ ის დღეს ძალიან ნერვიულობდა.

**— როდესაც თბილისში ჩამოხვედით, მიზნად მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობას ისახავდით, თუ ნახევარფინალში, ან ვთქვათ, ფინალში გასვლაც დაგაკმაყოფილებდათ?**

— როდესაც რაიმე ტურნირში ვმონაწილეობ, ფინალზე ან მსგავს რამეზე არასოდეს ვფიქრობ. მთავარია, ყურადღება მომდევნო მეტოქეზე გაამახვილო, მის დამარცხებას შეეცადო. ასე რომ, შემდეგ წრეზე წინ არასოდეს ვიხედები.

**— რომელი მატჩი იყო ყველაზე ძნელი თქვენთვის ამ ტურნირზე?**

— ნებისმიერ ტურნირზე ყველაზე მძიმე პირველი შეხვედრაა, სანამ გარემოს, საფარს, ბურთებს შეეჩვევი, მოკლედ,მთელ ატმოსფეროს. აქ პირველ მატჩში კორტზე ჩრდილი იყო და ძალიან გამიჭირდა. საუკეთესო ჩოგბურთელი კი, ვინც დავამარცხე, დანიელი ევა დირბერგი იყო, მგონი, მეოთხედფინალში. ჩემი აზრით, იგი პუჩეკსაც ჯობდა.

**— ბათუმის ტურნირის მოგებასაც აპირებთ?**

— არა, როგორც უკვე გითხარით, ასეთ მიზნებს ტურნირის დასაწყისში არ ვისახავ, მხოლოდ მომდევნო შეხვედრაზე ვფიქრობ. ისე, სწრაფი და სწორი საფარი უფრო მირჩევნია თიხნარს, აქ ბურთი ზოგჯერ ცუდად სხლტებოდა ხოლმე მიწიდან.

**— ინგლისურად თითქმის უაქცენტოდ საუბრობთ, ინგლისურენოვან ქვეყანაში ხომ არ ცხოვრობდით ან ვარჯიშობდით დიდი ხნის მანძილზე?**

— არა, აშშ-სა და ინგლისში დიდი ხნით არასოდეს დავრჩენილვარ. უბრალოდ, სკოლაში 9 წელი ვსწავლობდი, თანაც მუსიკის სმენა და ტექსტზე აყოლით სიმღერა ძალიან მიყვარს და თანდათან ინლისურიც გავიუმჯობესე.

**— ჩოგბურთის შემდეგ მომღერლის კარიერაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— არა, უფრო ჩემთვის ვმღერივარ, ხანდახან ჩოგბურთელთა წვეულებებზე სხვა გოგონებიც შემომიერთდებიან ხოლმე და კარგად ვერთობით.

**— ვინ მღერის საუკეთესოდ ჩოგბურთელთა შორის?**

— არ ვიცი. მე (იცინის). კონკურსი არასოდეს ჩაგვიტარებია.

**— ცოტა რამ გვიამბეთ საკუთარ თავზე, სად ცხოვრობთ, ჩოგბურთი რატომ აირჩიეთ...**

— მე ბილეფილდში დავიბადე და ვცხოვრობ, ჰანოვერიდან 100 კილომეტრშია, მყავს უფროსი და. სხვა რა გითხრათ? მამაჩემი ჩოგბურთელი იყო, მერე კი მწვრთნელიც. დედაჩემი სულ დაკავებული იყო და მეც მამას დავყავდი კლუბში, სადაც, ბუნებრივია, თამაშის სურვილი გამიჩნდა. პირველივე ტურნირზე, როცა 7 წლის ვიყავი, ფინალში გავედი, ამ წარმატების გამო კიდევ უფრო მეტი დრო დავუთმე ჩოგბურთს და...

**— ჩოგბურთის გარდა რა გაინტერესებთ?**

— როგორც ყველას, კინო, წიგნები, მუსიკა. ძალიან მიყვარს ცხოველები, შინ კი კატა მყავს. მიყვარს ფეხბურთიც, ჩვენი ქალაქის გუნდი — „არმინია" გერმანიის უმაღლეს ლიგაშია.

**— საშინელი გუნდია.**

— არა, ამას რატომ ამბობთ? არაა საშინელი, მეცხრე ადგილზეა.

**— გუშინ ნახეთ თამაში? მიუნხენთან 5:0 წააგო.**

— არა! ღმერთო ჩემო! არა უშავს, შინ ვიძიებთ შურს.

**— ჟულია, რომელმა მარცხმა დაგწყვიტათ ყველაზე მეტად გული თქვენს კარიერაში?**

— რომელმა მარცხმა (კითხვის ნიშნად იგი თანმხლებ მაღალ გერმანელს მიუბრუნდა)? ამაზე არ დავფიქრებულვარ. ო, ვიცი. წლეულს აშშ-ის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირის ფინალში მარია ალეხანდრა ვენტოსთან წავაგე მესამე ხელის ტაიბრეიკზე. მოგების დიდი შანსები მქონდა, მართლა დიდი, მაგრამ კუნთების კრუნჩხვებმა შემიშალეს ხელი.

**— ეს თქვენი ბოიფრენდია?**

— დიახ, ბოიფრენდიც, მწვრთნელიც, ყველაფერი. ჩვეულებრივ ბოიფრენდებად მწვრთნელად აყვანის შემდეგ ხდებიან, ჩვენთან კი პირიქით იყო. ერთად ვსწავლობდით სკოლაში და მას მერეც სულ ერთად ვართ. ფილიპი ჩემს გამო დაინტერესდა ჩოგბურთით, თორემ ისე ფეხბურთელია.

**— დაბოლოს, რისი მიღწევა გსურთ ჩოგბურთში?**

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საუკეთესო ასეულში მოვხვდე. მაშინ დიდ ტურნირებზე, „მეიჯორებზე" სათამაშოდ კვალიფიკაციის გავლა აღარ მომიხდება, რაც გაცილებით გამიიოლებს ყველაფერს.

წყვილების ფინალი: **მარია გოლოვიზნინა და ეკატერინა პანიუჩკინა** (რუსეთი) **— ეკატერინა სისოევა (რუსეთი) და ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი) 6:0, 6:2.**

ერთეულების მოსაწყენი ფინალის შემდეგ ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიას შერჩენილ მაყურებლებს ეგონა, წყვილების თამაშის ყურებით მაინც გამოიკეთებდა გუნებას, მაგრამ აქაზე გამოდგა ნათქვამი, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო.

მძლავრი ფორჰენდის პატრონმა მარია გოლოვიზნინამ და ბადესთან ქალებისთვის უჩვეულოდ, ძალიან ტექნიკურად და ლამაზად მოთამაშე ეკატერინა პანიუჩკინამ მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს და სასტიკად დაჩაგრეს.

შეხვედრა მხოლოდ ბოლოს, ორიოდ წუთით გამოცოცხლდა, როდესაც სისოევა — ოსტროვსკაიამ ექვსი მატჩ-პოინტის გადარჩენა მოახერხეს და თითქოს თამაშში გარდატეხის შეტანას აპირებდნენ, თუმც ესეც განწირულის უკანასკნელი გაფართხალება გამოდგა.

**ავთანდილ სვანიძე**





ბადრი კეთილაძის ფოტოები

ემოციები ფინალის მერე: ტატიანა პუჩეკი და ჟულია აბე

# მდიდარი ოჯახი

მიუნხენი. გერმანია. „დიდი სლემის თასი". დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 6,7 მილიონი $

ქალები. ნახევარფინალი: **ვინუს უილიამსი (4, აშშ) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:2, 6:7 (6:8), 9:7; სერენა უილიამსი (3, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:3, 6:4**

ფინალი: **სერენა — ვინუსი 6:1, 3:6, 6:3**

უილიამსების ოჯახი ამ უქმეებზე 1,3 მილიონი დოლარით გამდიდრდა: 900 ათასი „დიდი სლემის თასის" მოგებისთვის შავი დებიდან უმცროსს, სერენას ერგო, 400 კი ამ უკანასკნელის მიერ გადამწყვეტ მატჩში ძლეულ ვინუსს.

როგორც ეტყობა, შავი ფინალების ხილვა მომავალშიც ძალიან ხშირად მოგვიწევს: დები უილიამსები სულ უფრო ზევით მიიწევენ კლასიფიკაციაში, სულ უფრო ხშირად იბრიყვებენ ყველა მეტოქეს და ქალთა ჩოგბურთში მათ გაბატონებასაც წინ, ალბათ, ვერაფერი დაუდგება.

„სწორედ ამისკენ ვისწრაფვოდით ყოველთვის, როდესაც კარგად ვთამაშობ, ჩემი დამარცხება ძალიან, ძალიან ძნელია. როდესაც ვინუსი თამაშობს კარგად, ისიც უძლეველია. ასე რომ, მალე პირველ ჩოგნობასაც შევწვდებით" — განაცხადა სერენამ, პირველად პროფესიულ კარიერაში, თავისი უფროსი დის დამარცხების შემდეგ.

ბოლო ნახევარი წელია, სერენა უდავოდ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად შეიძლება მივიჩნიოთ. უმცროსმა უილიამსმა უკანასკნელად როლან გაროსზე, მაისში წააგო მერი ჯო ფერნანდესთან, მერე კი ზედიზედ 16 მატჩი და სამი ტურნირი მოიგო, თანაც ორ-ორჯერ სძლია პირველ-მეორე ჩოგნებს ლინდსი დევენპორტსა და მარტინა ჰინგისს, ამჯერად კი ვინუსიც იმსხვერპლა.

„ვიცი, რომ არ შეიძლება მუდმივად გაიმარჯვო. ზედიზედ 1000 მატჩი არავის მოუგია, თუმცა ამჟამად წაგება ჩემს გეგმებში საერთოდ არ შედის. იმედია, ვინუსი არ გამინაწყენდება" — აღნიშნა სერენამ.

კაცები. ნახევარფინალი: **გრეგ რუზეცკი (ინგლისი) — ანდრეი მედვედევი (3, უკრაინა) 6:3, 3:6, 7:6 (7:1), 7:5; ტომი ჰაასი (გერმანია) — ტომას ენკვისტი (4, შვედეთი) 6:3, 6:4, 6:7 (4:7), 6:4**

ფინალი: **რუზეცკი — ჰაასი 6:3, 6:4, 6:7 (5:7), 7:6 (7:5)**

21 წლის ტომი ჰაასს ფინალში 11 ათასი გულშემატკივრის ხმაურიანმა მხარდაჭერამაც ვერ უშველა: ინგლისელი გრეგ რუზეცკი და მისი ტყვიასავით მოწოდება (რომელიც მიუნხენში 228 კმ/სთ სიჩქარეს აღწევდა) ყველა მეტოქისთვის გადაულახავი დაბრკოლება გამოდგა.

არადა, მომავალი ჩემპიონი მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ტურნირზე მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ სხვა მონაწილეებად შეგულებულებმა ან ტრავმები მიიღეს (სამპრასი, რაფტერი) ან ფულს არ დახარბდნენ (ჰენმანი, მარტინი) და სიაში მე-17 რუზეცკისაც უკანასკნელი, მე-12 საგზური ერგო.

გრეგმა ღვთით მოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვა და 1,3 მილიონი დოლარიც ჩაიჯიბა: „აქ მოთამაშეთაგან ყველას საბანკო ანგარიშზე ისეც დიდი თანხები გვაქვს, ასე რომ, აქ მარტო ფულის გამო არ ჩამოვსულვართ. მთავარი მოგებაა და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონობამაც ძალიან გამახარა, მე ხომ ბოლო ხანებში ცუდ ფორმაში ვიყავი."

ბუქარესტი. რუმინეთის ღია პირველობა. თიხნარი
საპრიზო 345 ათასი $

ნახევარფინალი: **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) **— ალბერტ კოსტა (3, ესპანეთი) 6:4, 6:3; ქარიმ ალამი** (მაროკო) **— ალბერტო ბერასატეგი 7:6 (8:6), 6:3**

ფინალი: **მარტინი — ალამი 6:3, 6:3**

21 წლის ალბერტო მარტინმა პირველ წრეში ადრიან ვოინეასთან 10 მატჩ-პოინტი გადაარჩინა, რის შემდეგაც ტურნირის ბოლომდე ერთი სეტიც აღარ წაუგია.

ტულუზის ღია პირველობა. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 400 ათასი $

ნახევარფინალი: **დანიელ ვაცეკი** (ჩეხეთი) **— ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) 6:1, 5:7, 6:2; ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) **— მარკ როსე (5, შვეიცარია) 7:6 (8:6), 6:4**

ფინალი: **ესკუდე — ვაცეკი 7:5, 6:1**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli